PRIME Time

N36 (286) ორშაბათი 15 სექტემბერი 2014 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

EXCLUSIVE ექსკლუზიური ინტერვიუ გარდაცვლილი პატიმრის მამიდასთან

„დავრწმუნდი, რომ ლევანი დაკვეთითაა მოკლული, რასაც პირველივე დღიდან ვამბობდი“

რატომ ჩამოაშორეს ბუტა როგაქიძის საქმეს პროკურორი ჩიქოვანი?

EXCLUSIVE

„პირდაპირ გეუბნები და შეგიძლია, სიტყვასიტყვით დაწერო, – დიდუბე-ჩუღურეთის მაშინდელმა პროკურორმა მითხრა, მე ვარ ირაკლი ოქრუაშვილისა და ზურაბ ადეიშვილის წნეხის ქვეშო“

სკანდალური ექსკლუზივი

ექსკლუზიური ინფორმაცია ზურაბ ჟვანიას საქმიდან

EXCLUSIVE

გოგლა ჟვანია: „საქმე გახსნილად წელს აუცილებლად გამოცხადდება!“

„სააკაშვილისთვის ისედაც ბევრი ბომბია მზად...“

EXCLUSIVE

დავით საგანელიძე: „დაპირისპირება არ ჰქვია ამას, თუმცა, რა თქმა უნდა, უთანხმოება და გაურკვევლობა არის და საკმაოდ სერიოზულიც“

EXCLUSIVE

რამდენი მილიონი ლარის დახარჯვას აპირებს „ნაციონალური მოძრაობა“ სახელმწიფო გადატრიალების მოსაწყობად

ნიკა მელანიშვილი: „როგორც ვიცით, საუბარია დაახლოებით მილიარდ ლარზე. ისინი ამ თანხას ხელისუფლების გადასატრიალებლად გამოიყენებენ“

EXCLUSIVE

იღებს თუ არა სამინისტრო პასუხისმგებლობას მოსალოდნელ უბედურებაზე?

EXCLUSIVE

რეპორტაჟი დევნილთა დასახლებიდან

„ჯიპიაის“ მხრიდან 2 000 ლარის დაზოგვის გამო, მერაბ ქარჩხაძემ თავი მოიკლა



სტატია, რომლის გამოც „ჯიპიაი ჰოლდინგმა“ „პრაიმტაიმს“ ეთიკის ქარტიის საბჭოში უჩივლა

EXCLUSIVE

თვითმკვლელი მამის ტრაგედია

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ტურისტების ბუმი საქართველოში - ზაფხულის სეზონის შეჯამება

ნანა შონია

ქართული თვითმყოფადი კულტურა, ტრადიციები, ადგილობრივი ბუნება და ცხოვრების სტილი სულ უფრო მეტი უცხოელი ტურისტის ყურადღების ცენტრში ექცევა. წინა წლების ზაფხულის პერიოდთან შედარებით წელს, საქართველოთი დაინტერესებული ვიზიტორების რაოდენობა მკვეთრად გაზრდილია.

ოფიციალური სტატისტიკის თანახმად 2014 წლის იანვარიდან აგვისტოს პერიოდში ქვეყანაში უკვე 3 685 834 საერთაშორისო ვიზიტი განხორციელდა, რაც ბევრად აღემატება 2013 წლის ანალოგიური საანგარიშო პერიოდის მაჩვენებელს.

ტურისტთა ნაკადის ზრდა განსაკუთრებულად შესამჩნევი გახდა ზაფხულის სეზონზე. ამ პერიოდში საქართველოში საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობამ 1 895 060 შეადგინა. ტურისტთა რაოდენობამ კი, იგივე პერიოდში 892 413 შეადგინა, რაც 13% ით აღემატება გასული წლის ზაფხულის სეზონის მაჩვენებელს (789 958).

ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, დაყოფის მიხედვით, 8 თვის მონაცემებით, ხვედრითი წილის ურთიერთმიმართება შემდეგია:

ა) ტურისტი - 1 566 646 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 42,5%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 12%);

ტურსტების რაოდენობის მატება სახელმწიფოს სხვადასხვა უწყებების კომპლექტური მუშაობის შედეგია. ამ მხრივ კი განსაკუთრებულია ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის როლი. ადმინისტრაციამ ქვეყანაში ტურისტების რაოდენობის ზრდის კუთხით არაერთი ღონისძიება განახორციელა და არა ერთ საერთაშორისო გამოფენაში მიიღო მონაწილეობა. სათავგადასავლო ტურიზმის მოყვარულთათვის შეთავაზებული მრავალფეროვანი ტურებიდან კი გამორჩეული ქართული კანიონინგის პროექტი გახლდათ, რომელიც, წელს პირველად, სამეგრელოში, მდინარე ხობის წყლის შესართავებთან განხორციელდა და უცხოელი თუ ადგილობრივი ტურისტების ყურადღების ცენტრში მოხვდა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ წელს, ისე როგორც არასდროს, ქვეყანაში შიდა ტურისტების ზრდა შეიმჩნევა. ზაფხულის სეზონზე, საზღვაო კურორტების პარალელურად, განსაკუთრებით დატვირთული იყო მთის კურორტები. ამ კუთხით კი განსაკუთრებით დატვირთული აღმოჩნდა სასტუმრო „რუმს ყაზბეგი“ (სადაც წინა წელთან შედარებით წელს 40%-იანი ზრდა დაფიქსირა) და სასტუმრო „თეთნულდი“ სვანეთში.

როგორც სასტუმროს მენეჯერი გვანცა ფალიანი „პრაიმტაიმთან“ საუბარში აცხადებს, ზაფხულის სეზონზე სასტუმრო 100% დატვირთვით მუშაობდა, ვიზიტორთა უმრავლესობა კი უცხოელი იყო.

გვანცა ფალიანი, სვანეთში სასტუმრო „თენდულდის“ ადმინისტრატორი: „წელს ძალიან ბევრი ტურისტი იყო მესტიაში, აქ დიდი სასტუმროს გარდა, მომრავდა საოჯახო ტიპის სასტუმროებიც, რომლებიც მთელი ზაფხულის მანძილზე აქტიურად მუშაობდნენ. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მთელი ზაფხულის განმავლობაში სვანეთში ტურიზმი 100%-ით მუშაობდა. უშუალოდ ჩვენს სასტუმროს რაც შეეხება, ივნისშიც დატვირთული იყო, ივლისსა და აგვისტოში კი სრული 100% დატვირთვა გვქონდა. ტურიზმის კუთხით, აქტიურია შემოდგომის პერიოდიც, სექტემბერიც სრულად ვართ დატვირთულები და ჯავშნები ოქტომრბრის ბოლომდე გვაქვს. ტურისტები აქედან ძალიან კმაყოფილები მიდიან, მათ მოსწონთ სვანეთი და ჩვენც კმაყოფილები ვრჩებოდით, როდესაც სტუმრები ასეთი განწყობით გვემშვიდობებიან.

- რომელი ქვეყნის მოქალაქეები სტუმრობდნენ უფრო მეტად წელს სვანეთს და თუ არიან შიდა ტურისტები?

- ჩვენთან ძირითადი და წამყვანი მაინც უცხოელი ტურისტები არიან. მათი მხრიდან გაცილებით მეტი ინტერესია. სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები არიან, წელს ძალიან ბევრი ებრაელი გვსტუმრობდა, ასევე ბლომად იყვნენ კორეელებიც, არიან რუსები და უკრაინელებიც. რაც შეეხება შიდა ტურისტებს, წელს, წინა წლებთან შედარებით, 10% ზრდა გვქონდა შიდა ტურისტების მხრიდან, თუმცა უფრო მეტი მაინც უცხოელი ტურისტები იყვნენ.

- უშუალოდ სვანეთის მაგალითზე რომ გვითხრათ, ყველაზე მეტად რა ხიბლავთ ტურისტებს სვანეთში?

- აქ გაჩერებული ტურისტების უმრავლესობა მეორე დღეს უშგულში მიდიოდა, მათ მოსწონთ ჩვენი ბუნება, მთები, მყინვარი, გარემო. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ წინა წლებში ჩამოსული ტურიტების დიდი ნაწილი სვანეთში მხოლოდ ერთი დღით რჩებოდა. წელს სხვაგვარად არის ეს ყველაფერი. მათ ტურები აქვთ გაკეთებული და ამ ტურების მიხედვით ერთი დღის ნაცვლად 3-4 დღე, ხან კი ერთ კვირაზე მეტ ხანს რჩებიან. ახლაც დატვირთული ვართ, 12-დან წინასწარი ჯავშნებია ოქტომბრის ბოლომდე.

განსაკუთრებულად დატვირთული იყო შავი ზღვის სანაპირო, ბათუმში, ქობულეთში, ურეკში და შეკვეთილში წელს ადგილობრივ დამსვენებლებთან ერთად უამრავი უცხოელი ტურისტი იმყოფებოდა.

მანანა მამულაშვილი, ურეკში „სასტუმრო შეკვეთილი ბიჩის“ მარკეტინგის დირექტორი: - წლევანდელი სეზონით კმაყოფილები ვართ. მომართვიანობა ძალიან დიდი იყო, ადგილები არ გვყოფნიდა და 100%-იანი დატვირთვით ვმუშაობდით ივლისსა და აგვისტოში. მოგეხსენებათ, ურეკს დამსვენებლები ბავშვებთან და ოჯახებთან ერთად სტუმრობენ. წელს, ქართველების პარალელურად, ძალიან ბევრი უცხოელი გვყავდა. იყვნენ უკრაინელები, სომხები, აზერბაიჯანელები, რუსები. მთლიანობაში შემიძლია ვთქვა, რომ ამ ორი თვის მანძილზე ძალიან კარგი სეზონი იყო. ამ ყველაფრის პარალელურად ამინდებმაც გაამართლა, კარგი ამინდი იმას ნიშნავს, რომ უფრო მეტი ადამიანი ჩამოვა რეგიონში. აგვისტოში ძალიან ცხელოდა და მომართვიანობაც მაღალი იყო. სექტემბერში ეს მაჩვენებელი იკლებს, თუმცა ჯერჯერობით მაინც ვმუშაობთ.

ზაფხულის სეზონზე ძალიან დატვირტული იყო კახეთის რეგიონი, სადაც რთველის დროს, შემოდგომაზე, ტურისტების ნაკადის განსაკუთრებულ ზრდას ელოდებიან.

როგორც სიღნაღში, სასტუმრო „კაბადონის“ ადმინისტრაციაში განგვიცხადეს, მათთვის ყველაზე დატვირთული სეზონი მაინც შემოდგომაა. უცხოელი ტურისტების ინტერესი დიდია, თუმცა წელს ქართველების ზრდაც შეიმჩნევა.

კახეთში არსებული სასტუმროებიდან ტურისტების ნაკადის განსაკუთრებული დატვირთვა „კაჭრეთის ამბასადორში“ და ილიას ტბაზე „როიალ ბატონში“ შეიმჩნეოდა.

ზვიად გურაშვილი, „როიალ ბატონის“ დირექტორი: „წელს ძალიან მაღალი იყო დატვირთვა. ჩვენთან ტურისტების ნაკადის ზრდა 10%-ით შეიმჩნეოდა. ყველაზე დატვირთული პერიოდები მაისში, აგვისტოსა და სექტემბერში გვქონდა. წელს ძალიან ბევრი უცხოელია, ჭარბობენ რუსები, აზერბაიჯანელები. წინა წელთან შედარებით უფრო მომრავლდნენ ქართველები, გვყავს კორპორატიული ჯგუფებიც. მოგეხსენებათ ამ ყველაფერს სეზონურობა ახლავს თან და ამიტომაც სექტემბერი და ოქტომბერი ძალიან დატვირთულია“.

ჯინა დოლილი, სასტუმრო „კაჭრეთის ამბასადორის“ გენერალური მენეჯერი: „საკმაოდ კმაყოფილი ვართ, რადგანაც მთელი წლის მანძილზე 90% ვიყავით დატვირთულები. ჩვენთან სასტუმროში, ყველაფერთან ერთად, გოლფის კლუბი გაიხსნა, რაც ძალიან ბევრი უცხოელის ყურადღებას იპყრობს. მსგავსი გოლფის კლუბი, რაც ჩვენ გვაქვს, ერთადერთია არა მარტო საქართველოში, არამედ კავკასიაშიც. ამიტომაც აქ შეჯიბრებიც აქტიურად ტარდება. შეჯიბრებზე გვყავს 50-60 მონაწილე. ყოველ პარასკევს და შაბათ კვირას 20-30 უცხოელი მაინც გვსტუმრობს. სეზონი ივლისიდან განსაკუთრებით გაძლიერდა. არიან შიდა ტურისტებიც, რაც განსაკუთრებით სასიხარულოა. შემოდგომაზე ყველაზე აქტიური სეზონი მაინც სექტემბერი და ოქტომბერია. წესით, ყველაზე ნაკლები დატვირთვა უნდა გვქონოდა აგვისტოში, მაგრამ წელს აგვისტოში ვიზიტორთა რაოდენობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა“.

შემოდგომის შემდეგ განსაკუთრებული ინტერესი, ზამთრის სეზონზე შეიჩნევა, ამ კუთხით კი ყველაზე აქტიური გუდაური და ბაკურიანია, სადაც ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინიციატივითა და მხარდაჭერით არაერთი საინტერესო ღონისძიებაა დაგეგმილი.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რატომ ჩამოაშორეს ბუტა რობაქიძის საქმეს პროკურორი ჩიქოვანი?

my View
მირიან ბოქოლიშვილი

ბუტა რობაქიძის საქმე მთავარი პროკურატურიდან თბილისის პროკურატურას გადაეცა, საქმის მწარმოებელი პროკურორი, ბაკურ ჩიქოვანი კი თანამდებობიდან ჩამოაქვეითეს და ერთ-ერთ რაიონულ პროკურატურაში გადაიყვანეს გამომძიებლად. „პრაიმტაიმი“ შეეცადა, გაერკვია, რატომ ჩამოაცილეს პროკურორი ჩიქოვანი რობაქიძის საქმეს. ამ მიზნით მთავარი პროკურატურის პრესსამსახურს მივმართეთ, თუმცა დაპირების მიუხედავად, უწყებიდან კონკრეტული პასუხი ვერ მივიღეთ.

გარდაცვლილის მამა, სოსო რობაქიძე კი ვარაუდობს, რომ პროკურატურა დროის გაწელვას ცდილობს. „პრაიმტაიმთან“ ინტერვიუში ის მთავარ პროკურორსაც მიმართავს და მოუწოდებს, საჯარო გახადოს იმ ორი პიროვნების ვინაობა, რომელიც გამოძიების შედეგად გამოიკვეთა. სოსო რობაქიძე ირაკლი ოქრუაშვილის პერსონაზეც აკეთებს კომენტარს და ამბობს, რომ საგამოძიებო უწყებამ რობაქიძის საქმეში ოქრუაშვილი „გაათეთრა“.



„გამოვიდნენ და თქვან, ვინ არის ის ორი პიროვნება, რომლის კვალზეც გამოძიება გავიდა“

სოსო რობაქიძე, ბუტა რობაქიძის მამა:

– სხვათა შორის, ამ თემაზე პრეს-კონფერენციის გაკეთებას ვგეგმავდი. მთავარმა პროკურატურამ ძალიან დიდი შეცდომა დაუშვა, როდესაც საქმე ქალაქის პროკურატურაში გადაიტანა. მოწმეები დაკითხულიც კი არ ჰყავდათ, ისე გადასცეს ქალაქს, რეალურად თავისი საქმე არც კი ამოუწურავთ. ახლა ქალაქის პროკურატურამ თავიდან უნდა დაიწყოს ძიება. შთაბეჭდილება მრჩება, რომ ეს ყველაფერი საქმის გაჭიანურების მიზნით ხდება. რამე რომ იკითხო, ძალიან დიდი ჯაფაა ამისთვის საჭირო, პრაქტიკულად ტელეფონს არ პასუხობენ. ბოლო შეხვედრაზე შოთაძემ სავიზიტო ბარათი გადმომცა და მითხრა, როცა სურვილი გექნებათ, ნებისმიერ დროს შემეხმიანეთო, მაგრამ არც ერთ ნომერს არ პასუხობს. პრაქტიკულად თავს ვერ ართმევენ, პროფესიონალიზმის სერიოზული ნაკლებობაა პროკურატურაში. არაერთი პროკურორი მოხსნეს და მთელი რიგი საქმეები გადასცეს ქალაქის პროკურატურას. ვსვამ კითხვას – რატომ? არაფერი საწინააღმდეგო არ მაქვს ქალაქის პროკურორების, მაგრამ ფაქტია, რომ საქმე იწელება. სამი თვის განმავლობაში არ ვიცოდი, საერთოდ სად იყო ბუტას საქმე.

„სააკაშვილის რეჟიმს ჰყავდა ორი ყველაზე დაუნდობელი, სასტიკი და ბოროტი მაღალჩინოსანი, ესენი იყვნენ ადეიშვილი და ოქრუაშვილი. რომ ვამბობთ, სააკაშვილის დროს 30 ათასი პატიმარი გვყავდაო, იქიდან 15 ათასი სწორედ ოქრუაშვილის მიერაა დაჭერილი“

– რაში აწყობთ დროის გაწელვა?

– მაგაზე თავად გაგცენ პასუხი. ფაქტია, რომ არაერთი საქმეა გაჩერებული. ყველას ეგონა, რომ ჟვანიას საქმე დღე-დღეზე გაიხსნებოდა, მაგრამ ვინმე იღებს კიდევ ხმას? როგორც კი ხელისუფლებაში მოვიდნენ, ბუტას საქმე მაშინვე გამოაცხადეს პრიორიტეტად. ლამის ორი წელი გავიდა და რას აკეთებენ, რა არის ამდენი გამოსაძიებელი? ერთადერთხელ დამირეკეს ქალაქის პროკურატურიდან, მივედი და დამიდეს რაღაც სქემა – ამ სქემით ვიძიებთ საქმესო. ეს ჩემთვის ისედაც ნაცნობი იყო, ახალი არაფერი უთქვამთ, რადგან პრაქტიკულად, ოჯახს ყველაფერი გამოძიებული გვაქვს და ამას სჭირდება ოფიციალურად გაფორმება და კონკრეტული პირების პასუხისგებაში მიცემა. რად უნდა ამას წლები?

– როგორც ვიცი, ბოლო შეხვედრაზე ქალაქის პროკურატურაში გითხრეს, რომ ბუტას საქმეში ორი ახალი ფიგურანტი გამოიკვეთა... თუ იცით, ვისზეა საუბარი?

– ვინ არის ის ორი პიროვნება არც მაშინ უთქვამთ და არც მას შემდეგ. გამოვიდნენ და თქვან, ვინ არის ის ორი პიროვნება, რომლის კვალზეც გამოძიება გავიდა? თუ ჩემი გულის მოსაგებად და დროის გასაყვანად მოიგონეს, ესეც არ ვიცი. თუ არადა დაასახელონ ეს პიროვნებები და წაუყენონ ბრალი არა მარტო მათ, არამედ ყველა იმ პირს, ვისაც ჩემი შვილის მკვლელობაში წვლილი მიუძღვის. მაგრამ რის გამკეთებლები არიან, როცა ირაკლი ოქრუაშვილი არის მთლიანად გათეთრებული ადამიანი, რომელიც ბუტას მკვლელობის დროს იყო შინაგან საქმეთა მინისტრი. პირდაპირ გეუბნები და შეგიძლია, სიტყვასიტყვით დაწერო, – დიდუბე-ჩუღურეთის მაშინდელმა პროკურორმა მითხრა, რომ მე ვარ ირაკლი ოქრუაშვილისა და ზურაბ ადეიშვილის წნეხის ქვეშო. ეს სიტყვები ორჯერ მითხრა ამ პიროვნებამ ერთიერთზე საუბრისას.

„პირდაპირ გეუბნები და შეგიძლია, სიტყვასიტყვით დაწერო, – დიდუბე-ჩუღურეთის მაშინდელმა პროკურორმა მითხრა, მე ვარ ირაკლი ოქრუაშვილისა და ზურაბ ადეიშვილის წნეხის ქვეშო“

– ანუ ოქრუაშვილს ხელს აფარებენ?

– პირდაპირ ვამბობ, ოქრუაშვილი, რომელსაც უამრავი დანაშაული აქვს ჩადენილი „„გათეთრებული“ ჰყავს. ბუტას საქმეზე მინისტრი იყო, მაგრამ ამასაც რომ თავი დავანებოთ, კარგად გახსოვთ, როგორ შევარდა „იბერიაში“, „ომეგა ჯგუფში“ და ლამის პულიმიოტებითა და ავტომატებით გამოყარა იქიდან ხალხი. აფრასიძეების ამოწყვეტის დროსაც იქ იმყოფებოდა. როგორ ბედავს ეს ნაძირალა, რომ თავისუფლად დადის და რაღაც პოლიტიკურ საქმიანობას ეწევა კიდევ. სააკაშვილის რეჟიმს ჰყავდა ორი ყველაზე დაუნდობელი, სასტიკი და ბოროტი მაღალჩინოსანი, ესენი იყვნენ ადეიშვილი და ოქრუაშვილი. რომ ვამბობთ, სააკაშვილის დროს 30 ათასი პატიმარი გვყავდაო, რომლებიც სულს ღაფავდნენ ციხეებში, იქიდან 15 ათასი სწორედ ოქრუაშვილის მიერაა დაჭერილი, ეგ გახლდათ მაშინ გენერალური პროკურორი. ახლა ისე გამოჰყავთ, რომ თითქოს არც შს მინისტრი ყოფილა, არც პროკურორი და არც თავდაცვის მინისტრი და არაფერში მას ბრალი არ მიუძღვის. მის თავში იხარშებოდა ყველაზე ჯალათური აზრები. და ახლა ვინ უნდა დამისახელოს პროკურატურამ ახალ ფიგურანტად, რომელსაც ოქრუაშვილზე მეტი წონა ჰქონდა იმ დროს?!

– თქვენი საუბრიდან გამომდინარე, შთაბეჭდილება მრჩება, რომ პროკურატურა ჩიხშია...

– პროკურატურა ვერ ართმევს თავს პროფესიონალურად. იმის გარკვევა მაინც ხომ ადვილია, თუ როგორ დაასაჩუქრეს ჩემი შვილის მკვლელები, ასე მაგალითად – მაიზერ ლიპარტელიანს აჩუქეს ოროთახიანი ბინა, კიდევ ერთს – ავტომობილი „ნივა“, ბაშალეიშვილს პრემია გადასცეს. ეს ხომ მაინც ადვილი გასარკვევია. სააკაშვილმა როგორც შეიწყალა გირგვლიანის მკვლელები, ისე შეიწყალა მაიზერ ლიპარტელიანიც. ეს არაფერს ნიშნავს? როგორ ფიქრობთ?

– იქნებ სწორედ ამ არაპროფესიონალიზმის გამო ჩამოაშორეს ბაკურ ჩიქოვანი საქმეს და ქალაქის პროკურატურას ამიტომ გადასცეს...

– არ ვიცი, ტყუილის თქმა საერთოდ არ მიყვარს. ბაკურ ჩიქოვანს მე არ დავკავშირებივარ. ერთხელ დავუკავშირდი და გულდაწყვეტით მითხრა, ეს საქმე ქალაქის პროკურატურაში გადაიტანესო. ფაქტია, რომ ორი წელი გადის ოქტომბერში, რაც ესენი მოვიდნენ ხელისუფლებაში და ვინ არის დაჭერილი?

– რაიმე ვადას თუ უწესებთ პროკურატურას, რომ აი, ამ ვადაში უნდა გაიხსნას თქვენი შვილის საქმე.

– ქალაქის პროკურორზე მე ცუდს არაფერს ვამბობ, იმიტომ რომ ამ ზაფხულს გავიცანი ეგ ხალხი და არ ვიცი, როგორ მოიქცევიან. ფაქტია ცუდი, რომ მთავარი პროკურატურიდან გადავიდა საქმე ჩემს გარეშე. ჩემს გარეშე არ უნდა მომხდარიყო, იმიტომ რომ დაზარალებულად ვარ ცნობილი. ეს ამბავი მე სამი-ოთხი თვის განმავლობაში არ ვიცოდი. შოთაძეს ვუთხარი, კბილაშვილის დროს კომუნიკაცია უკეთესი იყო-მეთქი. კბილაშვილს ჟურნალისტებთანაც ჰქონდა კომუნიკაცია. ეს ასე აღარ ხდება. მთავარი პროკურორის მოადგილე ირაკლი შოთაძემ მომცა თავისი „ვიზიტკა“, როცა საჭიროდ ჩათვლით და კითხვა გექნებათ, დამიკავშირდით ნებისმიერ დროსო, მაგრამ ვურეკავ და არ მპასუხობს. არადა პირობა მომცა, რომ ჩემთან კომუნიკაცია ექნებოდა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გამოძიება ექსპერტიზის დასკვნებს საზღვარგარეთიდან დღე-დღეზე ელოდება

EXCLUSIVE

მარიამ ნადირაძე

უახლოესი ორი წელი არჩევნებს არ ველოდებით. შესაბამისად, თუ რამე გახმაურებული დანაშაული გაიხსნება, ეს ამ მთავარ პოლიტიკურ მოვლენასთან ნამდვილად არ იქნება მიბმული.

არადა, აანონსებდნენ, რომ, თუ წინა ხელისუფლების პირობებში ჩადენილი რომელიმე გახმაურებული მძიმე დანაშაული გაიხსნებოდა, ერთ-ერთი პირველი ზურაბ ჟვანიას საქმე იქნებოდა.

დრო და დრო ხდებოდა კიდეც აჟიოტაჟის შექმნა, – საქმე სულ მალე გაიხსნება და არა ისე, როგორც ამას სააკაშვილის რეჟიმი გვთავაზობდაო...

ბოლოს ასეთი აჟიოტაჟი აპრილში ატყდა და, რა თქმა უნდა, ხელისუფლების ოპონენტებმა ეს ადგილობრივ არჩევნებს მიაბეს. მაშინ პროკურატურამ ოფიციალურად გააკეთა განცხადება, გამოძიება დასკვნით ეტაპზე გადავიდაო.

მას შემდეგ 5 თვე გავიდა და აღარავის მოუკითხავს, რა ხდება ახალი ამ ყველაზე სკანდალურ საქმეში.

სიახლე კი ნამდვილად ყოფილა და თანაც საკმაოდ სკანდალური. სწორედ ამის შესახებ გიამბობთ დღეს „პრაიმტაიმი“.

თუმცა, მანამდე ერთად გადავავლოთ თვალი, რამდენჯერ დაანონსდა პრემიერის გარდაცვალების საქმის გარშემო სრული სიმართლის გასაჯაროება უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში.

ერთი წლის წინათ, მაშინ როდესაც ქვეყანა საპრეზიდენტო არჩევნების მარათონში იყო ჩაბმული, იმჟამინდელმა მთავარმა პროკურორმა, არჩილ კბილაშვილმა განაცხადა, რომ მალე ჟვანიას საქმე ფინალში გავიდოდა, თუმცა იქვე გამოითქვა ეჭვი, რომ ეს არჩევნებამდე არ მოხდებოდა და გამჟღავნდებოდა მაშინ, როდესაც ქვეყანას ახალი პრეზიდენტი ეყოლებოდა, კოაბიტაცია დასრულდებოდა და იმუნიტეტის გარეშე დარჩენილ სააკაშვილთან გამკლავება გაცილებით ადვილი გახდებოდა. „ვერ მოგართვითთო“... და ჯერ კიდევ იმუნიტეტიანი გაფრინდა ქვეყნიდან ყოფილი პრეზიდენტი. მას შემდეგ „რუსთავი 2“-ის ეთერის მიღმა მისთვის ქართულ სივრცეში თვალიც აღარ მოუკრავთ.

პროკურატურაში მომხდარი პერტურბაციების შემდეგ, გასული წლის დეკემბერში გოგლა ჟვანია ჩვენთან ინტერვიუში აცხადებდა: „პროცესი მიდის. კონკრეტულ თარიღებზე საუბარი ძნელია. ამ საქმეში იმდენად მნიშვნელოვანი მტკიცებულებებია, რომ შეუძლებელია, ეს საქმე არ გაიხსნას. საუბარია ახალ მტკიცებულებებზე. ეს საქმე რამდენიმე თვეში გაიხსნება და თაროზე ნამდვილად არ შემოიდება. ის, რომ 9 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მტკიცებულებების გაყალბება, თავისთავად ქმნის პრობლემას. ახალ პროკურორთან მქონდა შეხვედრა და შემიძლია, გითხრათ, რომ ის საკმაოდ აქტიურად ჩაერთო ამ საქმეში, გატარდა კიდეც არაერთი ღონისძიება. პროკურატურის ახალმა ხელმძღვანელობამ პირდაპირ დააფიქსირა და საგამოძიებო მოქმედებებიდანაც ჩანს, რომ ზურაბ ჟვანიას საქმე მათი პრიორიტეტია... თუკი რომელიმე გახმაურებული საქმე გაიხსნება, პირველ რიგში, ეს შეიძლება იყოს ზურას საქმე.

ყველაზე ძლიერად სკანდალმა მართლაც ამ განცხადებიდან სამ თვეში იფეთქა, როდესაც ინტერნეტსივრცეში გარდაცვლილი პრემიერისა და ქვემო ქართლის გუბერნატორის მოადგილის ცხედრების ფოტოები გავრცელდა, სადაც აშკარად ჩანდა დაზიანებების კვალი. სიტუაცია იქამდეც მივიდა, რომ არც პრემიერ-მინისტრი მორიდებია კონკრეტული გვარების დასახელებას. ამ საქმის კონტექსტში მაშინ მან ყოფილი პრეზიდენტის ბიძა, თემურ ალასანია ახსენა, რამაც კულისებიდან გამოიყვანა ის და თავის მართლება დააწყებინა. პროკურატურამ კი ოფიციალურად განაცხადა, რომ გამოძიება დასკვნით ეტაპზე გადავიდა...

იმ 10 საქმის სიაში აღმოჩნდა ეს საქმეც, რაზეც სააკაშვილი უნდა დაკითხულიყო, თუმცა, მოგვიანებით, ჩამოთვლილთაგან მხოლოდ სამზე წარედგინა მას ბრალი. დანარჩენები კი, როგორც ჩანს, რიგშია.

რა ხდება ახლა?

დაახლოებით ერთ კვირაში საქალაქო სასამართლოში ჟვანიას საქმის ექსპერტის, ლევან ჩაჩუას პროცესი იწყება. სწორედ ეს პროცესი გახდება ჟვანიას საქმის გარშემო ახალი ტალღის აგორების ერთ-ერთი პროვოკატორი. ამ აჟიოტაჟს კი, როგორც ჩანს, პროკურატურა მომზადებული დახვდება, ვინაიდან, როგორც ჩვენს ქვემოთ წარმოდგენილ რესპონდენტებთან საუბრიდან შევიტყვეთ, გამოძიება ექსპერტიზის ახალ დასკვნებს დღე-დღეზე ელოდება.

ახლა კი იმის შესახებ, რას აცხადებს „პრაიმტაიმთან“ საუბრისას რაულ უსუპოვის მამა, იაშარ უსუპოვი:

– რამე ახალი ხდება საქმეში?

– არაფერი. ველოდებით ანალიზების პასუხს.

– რომელი ანალიზების?

– რაც გაიგზავნა...

– ექსპერტიზისთვის გაიგზავნა მასალები?

– დიახ.

– სად გაიგზავნა? შვეიცარიაში, როგორც ამბობდნენ?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გოგლა ჟვანია: „საქმე გახსნილად ამ წელს აუცილებლად გამოცხადდება!“

რა მასალა გაიგზავნა უცხოეთში და რა კითხვაზე გაეცემა პასუხი

– ბატონო იაშარ, რაკი ამბობთ, რომ ინტენსიური ურთიერთობა გაქვთ გამოძიებასთან, შეგიძლიათ თქვათ, რა ეტაპზეა ახლა საქმე და არის თუ არა ეს დასკვნითი ეტაპი?

– დიდი ხანია, გამოძიება დასკვნით ეტაპზეა. ახლა, უბრალოდ, ყველაფერი ექსპერტიზის პასუხებზეა დამოკიდებული.

– ანუ ეს იქნება პროკურატურის ვერსიის გასამყარებელი მტკიცებულება და ამით ყველაფერი დასრულდება?

– რა თქმა უნდა.

– როდის ელოდებიან ამ პასუხებს?

– დღე-დღეზე ელოდებიან.

– ექსპერტიზაზე რა მასალები გაიგზავნა?

– ყველაფერი, რაც ნაციონალების დროს იყო აღებული. ახლა ეს ყველაფერი მოწმდება.

– თითქოს ითქვა, რომ ამ მასალების დიდი ნაწილი განადგურდა...

– არაფერი არ არის განადგურებული. აბსოლუტურად ყველაფერი ინახება მინუს ოც გრადუს ტემპერატურაზე.

– კონკრეტულად რა მასალები ინახებოდა ამ ტემპერატურაზე?

– სისხლი, დეენემი და ა.შ. ამის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

როგორც ჩანს, ოპტიმისტურად არის განწყობილი ზურაბ ჟვანიას ოჯახიც. „პრაიმტაიმთან“ საუბრისას გარდაცვლილი პრემიერის ძმა, გოგლა ჟვანია ზუსტ თარიღს არ ასახელებ, თუმცა დარწმუნებით აცხადებს, რომ უკანასკნელი ათწლეულის ყველაზე სკანდალური სისხლის სამართლის საქმე 3 თვის ფარგლებში გაიხსნება.

გოგლა ჟვანია:

– თქვენი ინფორმაციით, რა ეტაპზეა გამოძიება?

– ახლა ექსპერტიზა მიმდინარეობს...

– რომელიც საზღვარგარეთ ტარდება?

– აქაც ტარდება და საზღვარგარეთაც.

– რა სახის ექსპერტიზებზეა საუბარი?

– დეტალურად ვერ ვისაუბრებ ამის შესახებ. ამ ექსპერტიზის პასუხების შემდეგ იქნება რაღაც სიახლეები.

– პასუხს როდი ელოდებით?

– უკვე ძალიან მალე.

– რომელი ქვეყნიდან უნდა ჩამოვიდეს ეს პასუხები?

– ამაზე, სამწუხაროდ, პასუხს ვერ გაგცემთ.

– რას ელოდებით ამ ექსპერტიზებისგან?

– ეს ძალიან მნიშვნელოვანი იქნება გამოძიებისთვის.

– ვერსიებზე თუ შეგიძლიათ გვითხრათ რამე?

– ვერსიებზე უკვე დიდი ხანია აღარ ვსაუბრობ ,მას შემდეგ, რაც გამოძიება აქტიური გახდა.

– თქვენ რამდენიმე თვის წინ პირდაპირ ეთერში ახსენეთ თემურ ალასანია. იგივე გააჟღერა მაშინ პრემიერმაც ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე. ამ ვერსიაზეა ისევ შეჩერებული გამოძიება?

– ამ თემაზე საუბარი ახლა ჩემთვის არ არის აქტუალური, რადგან გამოძიების დასრულებას ველოდები. ვერსიებზე საუბარი იმ ეტაპზე, როდესაც გამოძიება ახლოსაა დასრულებასთან, უკვე არასერიოზულია. მალე ისედაც ყველაფერი გაირკვევა.

– ექსპერტიზა მთავარ კითხვას გასცემს პასუხს – ეს მკვლელობა იყო, თუ უბედური შემთხვევა?

– ის იმ ყველა კითხვას გასცემს პასუხს, რაც გამოძიების პროცესში წამოიჭრა. ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა კი გამოძიების დასრულებას ნიშნავს.

– და როდის მოხდება ეს?

– ეს ყველაფერი წელს დასრულდება. საქმე 2015 წლისთვის არ გადაიდება. ჩვენ ყველა კითხვაზე პასუხი გვეცოდინება.

– ამას უკვე ვეღარ გეტყვით. საზღვარგარეთ გაიგზავნა.

– როდის გაიგზავნა?

– მაისის დასაწყისში.

– აქამდე პასუხი არ ჩამოსულა?

– ჩამოვა, ალბათ, უკვე მალე.

– ჩვენ შარშან საპრეზიდენტო არჩევნებამდე ვისაუბრეთ. მაშინ იმედი გქონდათ, რომ საქმე არჩევნების შემდეგ გაიხსნებოდა... მერე დეკემბერში ვისაუბრეთ და გვითხარით, 2-3 თვეში გაიხსნებაო. მარტში მართლა თქვა პროკურატურამ, დასკვნით ეტაპზე ვართო, მაგრამ უკვე სექტემბერია და ახალი მაინც არაფერია ჯერჯერობით... რა ხდება, რატომ ჭიანურდება ეს პროცესი?

– ეს ისეთი საქმეა, უცებ არ მოხდება ყველაფერი. 9 წელი გავიდა ამ ამბის შემდეგ. ყველაფერს თავიდან სჭირდება გაანალიზება.

– ჟვანიას დაცვის ორივე წევრი დაჭერილია, ექსპერტიც ციხეშია. ვიცით, რომ ძირითადი ჩვენებები უკვე აქვს პროკურატურას. თქვენ თვითონ გვითხარით თავის დროზე, ახალი მოწმეები არიან საქმეშიო. დასკვნითი ეტაპიც იმას ნიშნავს, რომ პრაქტიკულად საქმე უკვე გახსნილი უნდა იყოს... ხომ არ ფიქრობთ, რომ პროკურატურა საქმის გახსნისგან რამე პოლიტიკური მოსაზრებით იკავებს თავს?

– არა, ასე არ ვფიქრობ. იმედი გვაქვს, რომ გაიხსნება. წინასწარ რამე უფრო კონკრეტულის თქმა არ გამოვა.

– ადრე გაცილებით ოპტიმისტურად იყავით განწყობილი. რა ხდება, ბატონო იაშარ?..

– ახლაც ისეთივე განწყობა მაქვს. რომ არ გახსნან ეს საქმე, ბოლომდე რომ არ მიიყვანონ ყველაფერი, ისევ ამ მთავრობის იმიჯზე იმოქმედებს ეს. მარტო ჩვენს ოპტიმიზმზე არ არის საუბარი. ბოლოს და ბოლოს, ხალხს მისცეს დაპირება და სხვანაირად ვერ მოიქცევიან.

– ამბობენ, რომ ამ საქმეს პროკურატურა სააკაშვილისთვის ინახავს ერთგვარი ბომბის სახით და საჭიროების შემთხვევაში ააფეთქებს...

– სააკაშვილის წინააღმდეგ ისედაც ბევრი ბომბია. მარტო ეს საქმე არ არის...

– გამოძიება ამ საქმეში ისევ თემურ ალასანიას მონაწილეობის ვერსიაზე დგას?

– ...ეს ვერსიაა. საქმე რომ გაიხსნება, მერე ნათელი გახდება ყველაფერი. მანამდე ვერ გეტყვით ვერსიებზე ვერაფერს.

– თქვენ პროკურატურა გაყენებთ საქმის კურსში, რაზე მუშაობენ? ისევ ისეთი ინტენსიური ურთიერთობა გაქვთ გამომძიებლებთან?

– კი, რა თქმა უნდა, გვაქვს ურთიერთობა.

– ბოლოს როდის იყავით ამ საქმეზე პროკურატურაში?

– სამი დღის წინ ვიყავი.

– არ გაგვიმხელთ, რატომ იყავით?

– არა, ამაზე ჯერჯერობით ვერ ვისაუბრებ.

– თქვენი პროგნოზით, რამდენ ხანში შეიძლება გაიხსნას ეს საქმე?

– რამდენჯერაც ვთქვი, გაიხსნებამეთქი, არ გამართლდა ჩემი პროგნოზი და ამიტომ ახლა თავს შევიკავებ... თქვენ იცით, რომ 22 სექტემბერს წინა სასამართლო სხდომა გაიმართება ლევან ჩაჩუას წინააღმდეგ საქმეზე. მართალია, ეს არ არის ძირითადი საქმე, მაგრამ მაინც ბევრი რამე გაირკვევა. ჩაჩუა რომ იძახის, ვერაფერი დავინახე და არაფერი ჩანდაო, ბოლოს და ბოლოს, ხალხი ბრმა კი არ არის. წარმოგიდგენიათ, ექსპერტი თურმე ვერ ხედავს, გარდაცვლილს რა დაზიანებები აქვს მკერდზე, ან ტუჩზე, შეიარაღებული თვალით, მაშინ როდესაც უბრალო ადამიანი ამას კარგად ხედავს შეუიარაღებლად. რა თქმა უნდა, ეს არ ეპატიებათ იმ ექსპერტებს.

– აპირებთ ამ პროცესს დაესწროთ?

– ალბათ.

იაშარ უსუპოვი: „სააკაშვილისთვის ისედაც ბევრი ბომბია მზად...“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სოზარ სუბარ

სალომე გოგოხია

მალე აეროპორტსა და იმ სასტუმროს შორის, სადაც უკვე 20 წელია აფხაზეთიდან დევნილები ცხოვრობენ, გალავანი აღიმართება. თუ აქამდე VIP გასასვლელით მოსარგებლე მთავრობას და პრეზიდენტს თავიანთ არსებობას რაღაცით მაინც ახსენებდნენ თავს, მალე „უბადრუკი ხედი“ აღარ შეაწუხებთ. „ყველა მთავრობას მხოლოდ წინასაარჩევნოდ ვახსენდებით, როცა ხმები სჭირდებათ. სხვა დროს ჩვენი არსებობა მივიწყებული აქვთ,“ - შემოგვჩივლეს აეროპორტის ყოფილ სასტუმროში მცხოვრებმა დევნილებმა.

შენობა, რომელზეც სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა არსებობს, ავარიულია და რეაბილიტაციას არ ექვემდებარება!

აქაურობას ოფიციალური სტრუქტურების სტუმრობა და უხვი დაპირებები არ აკლია. თუმცა, რეალურად, დღემდე არც ერთი დანაპირები არ შესრულებულა. „მოითმინეთ, მოითმინეთ“ ძახილში კი წლები გავიდა, დევნილების საცხოვრებელი პირობები კი გაუმჯობესების ნაცვლად, დღითი დღე უარესდება. ამორტიზებულ შენობაში მათი ცხოვრება უკვე სარისკოა. უფროსები ბავშვებს სასტუმროს შესასვლელის თაღის ქვეშ თამაშს უშლიან, რადგან ნებისმიერ დროს შეიძლება ჩამოინგრეს.

დევნილები უკვე მერამდენედ ისმენენ სამინისტროსგან, რომ უახლოეს მომავალში ბინებით დაკმაყოფილებენ, თუმცა, ეს „უახლოესი მომავალი“ ჯერ ვერ, თუ არ დადგა. მანამდე კი, სანამ სუბარის უწყება მათთვის ალტერნატიული ფართის მოძებნაზე ფიქრობს, შესაძლოა სავალალო შედეგი მივიღოთ. იმ ფაქტს, რომ სასტუმრო ავარიულია და რეაბილიტაციას არ ექვემდებარება, სუბარის უწყებაშიც დაგვიდასტურეს. თუმცა, ამ დასკვნის მიუხედავად, სამინისტრო კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებას რატომღაც აჭიანურებს.

სასტუმროს შენობაში ცხოვრება რომ სიცოცხლისთვის სარისკოა, ამაში თავადაც დავრწმუნდით, როცა იქ მცხოვრებთ ვესტუმრეთ.

„პრაიმტაიმთან“ საუბარში დევნილები იმ უკიდურეს გაჭირვებასა და გაუსაძლის მდგომარეობაზე საუბრობენ, სადაც ცხოვრება დღითიდღე უარესდება. ფოიეს, სადაც ერთ დროს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოფრენილი მგზავრები თავს იყრიდნენ, პირვანდელი სახის ნაკვალევი აღარ შერჩა. კედლები სინესტისგან ჩაშავებულია, ჭერიდან ბათქაში ცვივა. შენობის გასამაგრებლად დევნილებს სახელდახელოდ ბოძები შეუდგამთ, თუმცა, ეს საიმედო მაინც არ არის.

ყოფილი სასტუმროს პატარა ოთახებში ერთად 4-5 სული ცხოვრობს. სივიწროვის გამო უმრავლესობას საშზარეულო დერეფანში აქვს. ნესტის პრობლემა განსაკუთრებით პირველ სართულზე მცხოვრებთ აწუხებთ. სარდაფში მუდმივად წყალი დგას, რაც კიდევ ამძიმებს შენობის მდგომარეობას, ხოლო ნესტმა სერიოზული პრობლემა შეუქმნა ბავშვების ჯანმრთელობას.

კახა ხუბულავა მეუღლესთან და სამი წლის შვილთან ერთად პირველ სართულზე, ერთ ციცქნა ოთახში ცხოვრობს. კარის გაღებისთანავე ცხვირში ნესტის აუტანელი სუნი მეცა.

„ამ სინესტეში, სადაც სუნთქვაც ჭირს, სამი წლის ბავშვთან ერთად ვცხოვრობთ. უფროსები ჯანდაბას, მაგრამ ბავშვმა რა დააშავა? შეიძლება ბავშვის ასეთ პირობებში ცხოვრება? ფილტვები ხომ დაუავადდება? ნახეთ, კედლები როგორი გაშავებულია ნესტისგან“, - ამ სიტყვებზე ჩვენმა რესპონდენტმა ხალიჩა გადასწია და ჩაშავებული კედლები გამოჩნდა. „სილამაზე და კომფორტი ჩვენც გვინდა, მაგრამ სად არის? შპალერი გავაკარით, რომ ოდნავ მაინც გაგველამაზებინა ოთახი, მაგრამ ნესტმა არ გაგვიჩერა, აზრი არ აქვს“.

თამუნა ჯოჯუა მეუღლესთან და სამ მცირეწლოვან შვილთან ერთად ერთ ოთახში ცხოვრობს. ოთახში მხოლოდ ორი საწოლი ეტევა. ალბათ, ძნელი წარმოსადგენი არ არის ამ ოჯახის პირობები რამდენად რთულია. სამზარეულო კი, არც მეტი, არც ნაკლები, საპირფარეშოში აქვს.

„სამინისტროდან როცა მოდიან და აქ შემომყავს, გაოცებული, შეწუხებული სახეებით იცქირებიან. თუმცა, ჩემს პრობლემას მაინც ვერ ეშველა. აბა, შემოიხედეთ და ნახეთ, სად ვაკეთებ საჭმელს - საპირფარეშოში. ოთახში ხომ ხედავთ როგორი ნესტია? ბავშვის საწოლი სადაც დგას, კედლიდან უზარმაზარი სოკო გამოვიღეთ. რას არ ნახავთ აქ, ლოკოკინას, მწერებს... ოთახში მზის შუქი არ შემოდის. მამაჩემი აფხაზეთის ომში უგზო-უკვლოდ დაიკარგა, ჩემი მეუღლის მამა გარდაცვლილია, სოციალურად დაუცველის სტატუსი გვაქვს, აპლიკაცია შევავსეთ, დაბალი ქულები მივიღეთ, მაგრამ ბინა მაინც არ მოგვცეს. ბევრს მისცეს ისეთებს, ვისაც არ ეკუთვნოდათ. არ ვიცი რა კრიტერიუმით აკმაყოფილებენ ბინებით“, - ამბობს ჩვენი რესპონდენტი.

ასევე, აპლიკაცია შეავსო, მაგრამ ბინა მაინც ვერ მიიღო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირმა, 27 წლის რუსლან შავაძემ. მას დამოუკიდებლად გადაადგილება არ შეუძლია. ეტლი უკვე დაუძველდა, თუმცა, მის ოჯახს ახლის შეძენის შესაძლებლობა არა აქვს. მას ასევე ესაჭიროება სპეციალური საწოლი, რომელიც არ გააჩნია. ჩვეულებრივ საწოლზე წოლისგან ნაწოლები გაუჩნდა, დამოუკიდებლად გვერდზე გადაბრუნება არ შეუძლია. დედასთან ერთად პატარა ოთახში ცხოვრობს.

„ნახეთ, რას უგავს ფეხები, რა დღეშია. ვისაც ორი და სამი ოთახი აქვს, იმათ ბინა მისცეს, ჩვენ არა. ჩვენ ფული არ გვაქვს და რა ვქნათ? იმათმა ფული გადაიხადეს და ბინა მიიღეს“, - შემოგვჩივლა რუსლანის დედამ.

„ჩვენს თვალწინ მიფრინავს და მოფრინავს მთავრობა, აგერ, იმ ღობის იქით არის პრეზიდენტის ვიპ გასასვლელი, მაგრამ ახლა ღობე აღმართეს, რომ არ დაგვინახონ, წინ გალავანს გვიშენებენ, მერე საერთოდ ვეღარ დაგვინახავენ. მე აეროპორტში ვმუშაობ, რეგისტრატურაში. აფხაზეთის მთავრობის ყოფილ თავმჯდომარეს გია ბარამიას რამდენჯერ ვთხოვე ჩვენთან მოსულიყო. ყოველთვის ბიზნეს-კლასით დაფრინავდა, შემოიკრებდა ჟურნალისტებს... ერთხელ ვუთხარი, იმ ჟურნალისტებთან ერთად ჩვენთან მოდი და ნახეთ როგორ ვცხოვრობთ-მეთქი, თუმცა, არაფერი. თქვენც ხომ ხედავთ, შენობა იმდენად ავარიულია, რომ კიბეები განზეა გაწეული, კარები ვეღარ იკეტება, შესასვლელის სახურავიც ჩამოწეულია. სამინისტროდან რამდენჯერ მოვიდნენ, მაგრამ არაფერი. გვპირდებიან და მერე მიდიან. წინა კვირას სამინისტროდან ისევ მოვიდნენ, მინისტრის მოადგილე, დევნილთა დეპარტამენტის უფროსი. ერთი წელი მოითმინეთო. კარგი, ერთი წელიც მოგვითმენია, მაგრამ ვინ იქნება იმაზე პასუხისმგებელი, ღმერთმა არ ქნას ხუთბალიანი მიწისძვრა რომ მოხდეს და ვინმე ემსხვერპლოს?“ - ჩივის მაყვალა დანელია.

დევნილების კიდევ ერთი პრობლემა დენის გადასახადია. ყოფილი მინისტრის, დავით დარახველიძის გადაწყვეტილებით, მიმდინარე მარტიდან დევნილებს დენის შეღავათი შეუწყვიტეს და ინდივიდუალური მრიცხველი დაუყენეს. მოგვიანებით, დავალიანების და გადაუხდელობის გამო დევნილებს დენი ჩაუჭრეს. ისინი უმძიმეს სიტუაციაში აღმოჩნდნენ, რადგან შენობაში გაზი შეყვანილი არ არის, შესაბამისად, მათთვის გათბობის ერთადერთი წყარო

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ILEBS თუ არა სამინისტრო პასუხისმგებლობას მოსალოდნელ უბედურებაზე?

აეროპორტის ყოფილ სასტუმროში მცხოვრებ დევნილთა გაუსაძლისი ყოფა

დენია. უშუქობის დროს კი ბავშვებს კერძს შეშის ფეჩზე უმზადებდნენ.

გაუგებარია სამინისტროს გადაწყვეტილება, როცა დევნილებისთვის დენზე შეღავათების მოხსნა გადაწყვიტა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შენობა ავარიულია, შესაბამისად, დევნილებს ფართებს არ უკანონებენ. თუკი ამ ფართების მესაკუთრეებად არ მოიაზრებიან, მაშინ რატომ მოხდა ინდივიდუალური გამრიცხველიანება და სად მიდის დევნილთა გადასახადები?!

„დარახველიძემ მარტიდან შეგვიჩერა დენის გადასახადი. გაზი ამ შენობაში არ არის. კერძს დენის ფეჩზე ვამზადებით და გათბობისთვის, ბანაობისთვის დენს ვიყენებთ. შესაბამისად, გადასახადიც ბევრია. ვეღარ გავწვდით ამხელა გადასახადს და დავალიანების გამო დენი გადაგვიჭრეს. საკრებულოს წევრის გულიკო ზუმბაძის დახმარებით დავალიანება თვეებზე გადაგვინაწილეს და ისე ვიხდით. ჩვენი აზრით უკანონობას აქვს ადგილი, რადგან ეს ბინები ჩვენი საკუთრება არ არის და ფულს მაინც გვახდევინებენ“, - ამბობენ დევნილები.

გულიკო ზუმბაძე, საკრებულოს წევრი: „შენობა ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. ძალიან დიდი ბრძოლა დამჭირდა იმისათვის, რომ სამინისტროს პასუხისმგებელი პირებისგან დათქმულიყო პირობა როგორ მოგვარდებოდა ამ ხალხის პრობლემა. აღმოჩნდა, რომ ჩატარებულია სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ ექსპერტიზა, რომლის თანახმად, შენობა ავარიულია. სამინისტროს პოლიტიკის მიხედვით, ავარიულ შენობაში მცხოვრები ადამიანები არ ექვემდებარებიან არანაირი კონკურსის წესის დაკმაყოფილებას და სამინისტროს ვალდებულება აქვს პირდაპირ გამოიყვანოს ეს ხალხი სამინისტროდან და დააკმაყოფილონ. სამწუხაროდ, სამინისტრო ამ ხალხს პასუხს ვერ აძლევს, როდის მოხდება მათი გამოსახლება და ალტერნატიული ბინებით დაკმაყოფილება. მინიმუმ იმას მივაღწიე სამინისტროსთან, რომ სექტემბრის ბოლომდე კონკრეტული პასუხი უნდა გასცეს, როდის მოხდება მათი გამოსახლება, მაგრამ ეს არ უნდა გადასცდეს რამდენიმე თვეს. სამინისტრომ ჩემი დაჟინებული მოთხოვნით გამოგზავნა ჯგუფი, რომელმაც შეისწავლა, რატომ დგებოდა სარდაფში წყალი. აღმოჩნდა დაზიანებული ნაწილი, რისი შეკეთებაც მოხდა. თუმცა, იქ არის ძველი გაყვანილობა და მდგომარეობა დღითი დღე შეიძლება გაუარესდეს. სამინისტროსგან კონკრეტული ნაბიჯის გადადგმას ველოდებით“, - განაცხადა ზუმბაძემ.

„პრაიმტაიმი“ სუბარის უწყების პოზიციითაც დაინტერესდა. სასტუმროში არსებულ მძიმე სოციალურ ფონზე, ცოტა არ იყოს, არასერიოზულად ჟღერს დევნილთა საქმეების დეპარტამენტის უფროსის მურად აბლოთიას პასუხი.

მისი თქმით, სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის თანახმად, შენობა რეაბილიტაციას არ ექვემდებარება. ჩვენს შეკითხვაზე, რამდენად უსაფრთხოა ავარიულ შენობაში დევნილების, მათ შორის მცირეწლოვანი ბავშვების ცხოვრება და იღებს თუ რა პასუხისმგებლობას სამინისტრო მოსალოდნელ უბედურებაზე, აბლოთიასგან ასეთი პასუხი მივიღეთ:

„კანალიზაციასთან დაკავშირებული საკითხებია, სარდაფში წყალი ჩადის, ამას ვაგვარებთ. ასეთი საფრთხის წინაშე რომ არ დავდგეთ“, - აღნიშნა აბლოთიამ.

მისივე თქმით, პირველივე შესაძლებლობისთანავე სამინისტრო აეროპორტის სასტუმროში მცხოვრებ დევნილებს საცხოვრებელი ფართებით დააკმაყოფილებს. თუმცა, კონკრეტულად როდის მოხდება მათი დაკმაყოფილება, ამაზე ზუსტი პასუხი აბლოთიას არ აქვს.

სუბარის უწყება, ლამის ყოველ კვირა პოზირებს კამერების წინ სხვადასხვა ობიექტებში დევნილთა შესახლებაზე და ამით პოლიტიკური ქულების დაწერას ცდილობს, გაუგებარია, აქამდე რატომ ვერ მოახერხა პირველ რიგში იმ დევნილების დაკმაყოფილება, რომლებიც სასწრაფოდ საჭიროებენ გამოსახლებას და ბინებით დაკმაყოფილებას.

იმედია, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დაპირება, რომ ყველა დევნილი ღირსეული საცხოვრებელი პირობებით იქნება უზრუნველყოფილი, ჩვენს მეხსიერებას მხოლოდ ლოზუნგად არ შემორჩება. თუმცა, ფაქტია, რომ დღეს ეს დანაპირები არ სრულდება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ᲓᲐᲕᲠᲬᲛᲣᲜᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲚᲔᲕᲐᲜᲘ ᲓᲐᲙᲕᲔᲗᲘᲗᲐᲐ ᲛᲝᲙᲚᲣᲚᲘ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲓᲦᲘᲓᲐᲜ ᲕᲐᲛᲑᲝᲑᲓᲘ“



„ᲝᲛᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲐ! „ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲚᲘᲡ“ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ ᲒᲐᲣᲥᲛᲓᲔᲡ!“

მზეკო ჟვანია

გასულ კვირას ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ლევან კორტავას მკვლელობის გახმაურებულ საქმეზე საბოლოო განაჩენი გამოაცხადა. მოსამართლემ 2013 წლის 12 მაისს გეგუთის კოლონიაში მომხდარ ფაქტზე ბრალდებული ექვსივე პირი დამნაშავედ ცნო.

სასამართლომ უტყუარად ცნო, რომ სად-ის #14 დაწესებულებაში, კრიმინალურმა ავტორიტეტებმა, ქურდული წესების მიმდევრებმა ლაშა კვანტალიანმა, შოთა სინაურიძემ, გელა უშხვანმა, გიორგი შემაზაშვილმა, სოლომონ დაშნიანმა, ნუგზარ ბუჩუაძემ და თეიმურაზ გურეშიძემ, ე.წ. „კრიმინალური ავტორიტეტისთვის“ ხელის დარტყმის გამო, „ქურდულ სამყაროში“ დამკვიდრებული წესების შესაბამისად, მკაცრად დასჯის მიზნით, ხელებითა და ფეხებით, ასევე ელექტროჩაიდნისა და ვენტილატორის მყარი დეტალის გამოყენებით, განსაკუთრებული სისასტიკით, გონების დაკარგვამდე, ჯგუფურად, სასტიკად სცემეს პატიმარი ლევან კორტავა, რომელიც 2013 წლის 23 მაისს გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა. კორტავას საქმეში ბრალდებულებს სასამართლომ 11, 14, 15 და 20-წლიანი პატიმრობები მიუსაჯა.

როგორ აფასებს ლევან კორტავას ოჯახი სასამართლოს განაჩენს და, ასევე, დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნას, რომლის მიხედვითაც კორტავას ციხეში გარდაცვალების მიზეზი, არა მის მიმართ ფიზიკური ძალადობა, არამედ ექიმების დაუდევრობა გახდა.

„პრაიმტაიმი“ ლევან კორტავას მამიდას, ხათუნა კორტავას ესაუბრა, თუმცა მანამდე მკითხველს გავაცნობთ დამოუკიდებელი ექსპერტის, მაია ნიკოლეიშვილის მოსაზრებას, რომელიც საქმეში ერთ-ერთი ბრალდებულის ოჯახის ინიციატივით ჩაერთო.

სწორედ ნიკოლეიშვილი ამტკიცებს, რომ კორტავას გარდაცვალების მიზეზი ექიმების დაუდევრობა გახდა და არა მის მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობა.

„მე შევისწავლე ყველა სამედიცინო დოკუმენტი, საქმის მასალები, მოვისმინე სასამართლო სხდომების ჩანაწერები. საქმის დოკუმენტებმა მოგვცა იმის საშუალება, რომ გვეთქვა: ეს არ არის ქალა-ტვინის ტრავმა, რომლითაც ადამიანი დაიღუპა. სიკვდილის მიზეზზე გასვლა გამიჭირდა, რადგანაც იქ იყო ფილტვების ანთება, იყო ნარკოტიკული ნივთიერებით ინტოქსიკაცია. ეს ახალგაზრდა ტრავმიდან მეთერთმეტე დღეს გარდაიცვალა, ამოვიდა ერთ-ერთი ფსიქოტროპული ნივთიერება, რომელსაც ის იღებდა“, – აცხადებს მაია ნიკოლეიშვილი.

ექსპერტის ამ მოსაზრებას იზიარებს ერთ-ერთი ბრალდებულის, ნუგზარ ბუჩუაძის ადვოკატი დალი სულაქველიძეც, რომელიც, სასამართლოს განაჩენის მიუხედავად, სამართლებრივი ბრძოლის გაგრძელებას გეგმავს.

„როდესაც ლევან კორტავა აღმოჩნდა ცხაკაიას სახელობის ინტერვენციული მედიცინის ცენტრში, იქ ექიმებმა სრული უპასუხისმგებლობა გამოიჩინეს იმ მიმართულებით, რომ რაიმე დახმარება აღმოეჩინათ კორტავასთვის“, – აღნიშნავს ადვოკატი დალი სულაქველიძე, რომლის დაცვის ქვეშ მყოფ ნუგზარ ბუჩუაძეს სასამართლომ კორტავას მკვლელობის საქმეში 20 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

მზეკო ჟვანია

ახლა კი ვნახოთ, რას ამბობს ლევან კორტავას ოჯახი ალტერნატიული ექსპერტიზისა და სასამართლოს საბოლოო განაჩენის შესახებ?

ჩვენს კითხვებს ლევან კორტავას მამიდა, ხათუნა კორტავა პასუხობს, რომელმაც, იმის დასტურად, რომ ლევანი ნამდვილად მასზე განხორციელებული ძალადობის შედეგად გარდაიცვალა, ფოტომტკიცებულებებიც მოგვაწოდა.

– ქალბატონო ხათუნა, გამართლდა თუ არა თქვენი მოლოდინი და რამდენად კმაყოფილი ხართ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით?

– სასამართლოს ამ გადაწყვეტილებით კმაყოფილი არ ვარ, ისინი სამუდამო პატიმრობას იმსახურებენ, რათა საზოგადოებისგან იზოლირებულნი იყვნენ. მთავარმა პროკურატურამ კეთილინებოს და შავი სამყაროს წარმომადგენლები, რომლებიც ლევანის საქმეში ფიგურირებენ, პასუხისგებაში მისცეს. მე არ დავთმობ იმას, რომ ონიანები დაუსჯელები დარჩნენ და ისევ ციხის „მაყურებლები“ იყვნენ. მათ ყველა მთავრობა ხელს აფარებს. „მაყურებლების“ სისტემა არც სააკაშვილს და არც ივანიშვილს არ შეუქმნია. ეს სისტემა ყოველთვის იყო, არის და იქნება. ახლა უკვე კანონიც ჰუმანური გახდა და დღესაც მეფობს „მაყურებლობა“. საქართველოში არ არსებობს ისეთი ციხე, ისეთი ზონა, სადაც „მაყურებელი“ არ არის, მით უმეტეს გეგუთის ციხე. ის „მაყურებლები“, რომლებიც ახლა მსჯავრდადებულის სახით არიან წარდგენილები, შემსრულებლები არიან. დამკვეთი არის სხვა. ადმინისტრაცია ასეთ პატიმრებს ხელს რომ არ უწყობდეს, ციხეში პატიმრები არ მოკვდებიან. მოვითხოვ, „მაყურებლის“ ინსტიტუტი გაუქმდეს! 2013 წლის 12 სექტემბრიდან ყველა დამნაშავის დასჯას ვიხვეწები. მე დამოუკიდებელ გამოძიებას ვატარებ და ვიძიებ კიდეც. ვიცი ყველა ის პირი, ვისაც ჩემი ძმის შვილის მკვლელობაში მიუძღვის ბრალი. რაც შეეხება სასამართლოს და, ზოგადად, გამოძიებას, საქმე ბოლომდე არ გახსნილა, შესაბამისად, ომი არ დასრულებულა!

– გასულ კვირას კორტავას საქმესთან დაკავშირებით ცნობილი გახდა ალტერნატიული ექსპერტიზის

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

EXCLUSIVE

„ნუ გვეუბნებიან, რომ ციხეებს „მაყურებლები“ არ ჰყავს. ზონას ახლაც მართავენ ონიანები“

დასკვნა, რომელიც მაია ნიკოლეიშვილმა მოამზადა. იზიარებთ თუ არა მის მოსაზრებას, რომ თითქოს ლევანი გარდაიცვალა არა ცემის შედეგად, არამედ ექიმის დაუდევრობით? ითქვა, რომ მას ფილტვების ანთება ჰქონდა.

– ციხეში ყველა პატიმარს აქვს ფილტვების ანთება, მაგრამ ვინმე კვდება? მაია ნიკოლეიშვილის მიერ ახლა დაიდო დასკვნა, რომელიც ექიმების გულგრილობით ადამიანის გარდაცვალებას გულისხმობს, მე ეს ადრეც ვთქვი, მაგრამ ამჯერად ეს არ მაინტერესებს, ექიმების საკითხი ისედაც დადგება, ეს გარდაუვალია. ლევანს ჩაუტარდა ექსპერტიზა, რომელიც სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა გამოუყო და ასევე, ჩატარდა სამხარაულის ექსპერტიზა. როცა ექსპერტების დაკითხვა მიდიოდა, ისინი იმდენ აბდაუბდას საუბრობდნენ, ვერც ერთ კითხვაზე პასუხი ვერ გასცეს, მე ძალიან ბევრი კითხვა გამიჩნდა. როცა ექსპერტს ბრალდებულის ადვოკატი კითხვით მიმართავდა, პასუხი რამდენიმე შეკითხვაზე ერთი იყო, – „ეს ჩემს კომპეტენციაში არ შედის“, „მე ამის სპეციალისტი არ ვარ“. მიჩნდება კითხვა, თუ ამდენი რამ მათ კომპეტენციაში არ შედის და ისინი სპეციალისტები არ არიან, მაინტერესებს, რა დაადგინა ექსპერტიზამ? მაგრამ მე არაფერი მიკვირს, ჩვენ საქართველოში ვცხოვრობთ. დავრწმუნდი, რომ ლევანი დაკვეთითაა მოკლული, რასაც მე პირველი დღიდან ვამბობდი.

– თქვენი აზრით, ვის სჭირდებოდა მისი მკვლელობის შეკვეთა?

– ვერ ვიტყვი, რომ ეს საქმე პოლიტიკურად მოტივირებული იყო, მაგრამ ისინი ერთმანეთს აბრალებენ. ჩვენი შვილების ხარჯზე ნურავინ მანიპულირებს! „ნაციონალები“ მთავრობას აბრალებენ, მთავრობა – „ნაციონალებს“ და ახლა მაინც ხომ ესენი არიან მთავრობაში და ან დაიჭირონ დამნაშავეები, ან კატათაგვობანას ნუ თამაშობენ. იმაზე მეტი რეალობა რა გინდათ, რომ ჩემი შვილი მიწაშია. უდანაშაულოს ცოდვას ნუ ამკიდებენ და ყველა დამნაშავე პასუხისგებაში მიეცეს. ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, ვინ იქნება – „ნაციონალი“ თუ „ოცნება“. ნურც ნაცარს გვაყრიან თვალებში და ნუ გვეუბნებიან, რომ ციხეებს „მაყურებლები“ არ ჰყავს. ზონას ახლაც მართავენ ონიანები.

– ქალბატონი მაია ნიკოლეიშვილი იმასაც აცხადებს, რომ გარდაცვლილი ფსიქოტროპული და ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებელი იყო. გაქვთ თუ არა თქვენ ეს ინფორმაცია და რამდენად შესაძლებელია, სიკვდილის ერთ-ერთი მიზეზი ნარკოტიკული ნივთიერების გადაჭარბებული მოხმარება ყოფილიყო?

– როგორც გითხარით, ციხეში ფილტვების ანთება ყველას აქვს. ლევანი მკურნალობდა. მას C ჰეპატიტი ჰქონდა და ფსიქოტროპულ საშუალებებს ნამდვილად იღებდა, კონკრეტულად „ზოლომაკს“, რომელსაც ციხეში მე ვუგზავნიდი. „ზოლომაკსა“ და „დიაზეპამს“ მეც ვიღებ და თან დიდი რაოდენობით, მაგრამ არ მოვმკვდარვარ. გამორიცხულია, ამ წამლების მიღებამ, თუნდაც დიდი რაოდენობით, სიკვდილი გამოიწვიოს. ნარკოტიკებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ლევანი ვარჯიშობდა, სპორტსმენი იყო, და მან სიგარეტის მოწევაც კი მიატოვა. ჩემი შვილი რომ არ მოეკლათ და უგონოდ არ დაეგდოთ, ფილტვების ანთება ისეთი საგანგაშო ავადმყოფობა არ რის, რომ სიკვდილი გამოეწვია. როცა ლევანი რომელიმე ავადმყოფობის დამახასიათებელ სიმპტომს შეამჩნევდა, ის ძალიან ყურადღებიანი იყო საკუთარი თავის მიმართ.

– ზოგადად, რამდენად კმაყოფილი ხართ ამ საქმეზე ჩატარებული გამოძიებით და მიეცა თუ არა ყველა ის პირი პასუხისგებაში, რომლებიც ამ საქმეში ფიგურირებდნენ? მათ შორის ციხის პასუხისმგებელი პირები.

– რუსთავის მე-6 დაწესებულებიდან გეგუთის მე-14 დაწესებულებაში 64 პატიმრის გადაყვანის შემდეგ სინაურიძესა და კუჭავას სიტუაცია რომ განემუხტათ, ეს ტრაგედია არ მოხდებოდა. პატიმარი 222-ე „კამერაში“ უნდა შესულიყო, მაგრამ „კამერამდე“ ვერ მიაღწია. მაინტერესებს, სად იყვნენ ადმინისტრაციის წარმომადგენლები? მთავარი, „რუხი კარდინალი“ დაკავებული არ არის. მეც და საზოგადოებაც რეალური დამკვეთებისა და მკვლელების დასჯას ვითხოვთ! დამკვეთს იმიტომ ვამბობ, რომ ადმინისტაციის გარეშე ციხეში არაფერი მოხდებოდა. რომ არა მათი მონდომება და პატიმრების მიმართ გულგრილობა, ლევანი დღეს ცოცხალი იქნებოდა.

– პატიმრების რუსთავის მე-6 დაწესებულებიდან გეგუთის მე-14 დაწესებულებაში გადაყვანიდან რამდენ ხანში მოხდა შემთხვევა?

– ლევანი ჩამოიყვანეს 19:30 საათიდან 20:00 საათამდე პერიოდში, მგზავრობის შედეგად ის ცუდად ხდება და როცა სოციალური რეჟიმის უფროსს ეუბნება, „ცუდად ვარ, ფსიქოტროპულ წამლებს ვიღებ და ამ საღამოს ამ წამლებს ვინ მომცემსო“, შანშაშვილი, რომელსაც ხელში ქაღალდის ნაგლეჯი უჭირავს, ეკითხება: „შენ ლევან კორტავა ხარო?“ ლევანს გაჰკვირვებია და დაუდასტურებია, რომ ის მართლაც ლევან კორტავა იყო, შანშაშვილს კი უთქვამს: „აბა, მაშინ ახლავე მოგხედავენო“ და სწორედ ამ დიალოგიდან რამდენიმე წუთში წაუყვანიათ და „მიხედეს“ კიდეც. ამას ისინი აღიარებით ჩვენებაშიც ყვებიან. ერთ-ერთ პროცესზე გოგიბერიძესაც შევხვდი და ვუთხარი: შენ ის გოგიბერიძე არ ხარ, რომელიც ამბობდა, „რა ეგონა, აბა, „მაყურებელს“ ხელი რომ დაარტყაო?“ ხმა არ ამოუღია, მაგრამ აღიარებით ჩვენებაში ზემოაღნიშნული ფაქტი თვითონაც აღიარა.

ხათუნა კორტავა

– როგორც ვიცი, ბრალდებულები დანაშაულს არ აღიარებენ...

– დიახ, ის პატიმრები, რომლებსაც განაჩენი გამოუტანეს, დანაშაულს არც ერთი არ აღიარებს, თუმცა მსუბუქი ფორმით აღნიშნავენ იმას, რომ ჩხუბი მოუვიდათ. ჩემს ეჭვს იწვევს ის ფაქტიც, რომ ერთ ეპიზოდში ამბობენ, რომ ერთს მოუვიდა ჩხუბი, მეორეში ამბობენ, რომ მეორეს, მაგრამ ამას ისეთი ადამიანები წერენ, რომლებიც ლევანს ვერასდროს მოერეოდნენ. გამორიცხულია. ვისაც ლევანმა დაარტყა, ისინი ვერ წამოდგნენ და სწორედ მაშინ დაესია ჩემს ძმისშვილს ხროვა. ჩემი შვილი უსამართლობის მსხვერპლია. ლევანის სიკვდილს არავის შევარჩენ! ეს გამორიცხულია. ვინც არ უნდა იყოს, ვისი ხელიც ურევია, ან იოტისოდენა წვლილი მიუძღვის, არავის ვაპატიებ, ყველამ უნდა მიიღოს უმაღლესი სასჯელი!

– ექსპერტ მაია ნიკოლეიშვილის მიერ დადგენილ მიზეზზე რას იტყვით, რომელიც ექიმის დაუდევრობას გულისხმობს?

– ექიმის თემა აუცილებლად დადგება. მე ამას ასე არ დავტოვებ. როგორც ონიანების, უგულავასა და კუჭავასთვის აღმკვეთი ღონისძიების შეუფარდებლობას, ექიმის თემასაც აუცილებლად დავუბრუნდები და არ დავთმობ. კუჭავას გუნდის დაუსჯელობას არავითარ შემთხვევაში არ დავუშვებ.

P.S. ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და დანაშაულის დაფარვის ბრალდებით, გრძელდება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის #14 დაწესებულების ყოფილი თანამშრომლების სისხლის სამართლის საქმის განხილვა.

ექსკლუზიური ინტერვიუ გარდაცვლილი პატიმრის მამიდასთან

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რატომ გადაწყვიტა დაქორწინება გიორგი მარგველაშვილმა?

my View
მირიან ბოქოლიშვილი

პოლიტიკურ კონიუნქტურაზე აგებული ქორწინებები საქართველოს ისტორიისთვის უცხო არ გახლავთ. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც ის აჟიოტაჟი, რომელიც არცთუ დიდი ხნის წინ ანა და დავით ბაგრატიონების შეუღლებას მოჰყვა. მაშინ ითქვა, რომ რეალურად წყვილს ერთმანეთი არ უყვარდა და ქორწინება მხოლოდ იმიტომ გადაწყვიტეს, რომ ბაგრატიონთა ორ შტოს კანონიერი მემკვიდრე გაეზარდა ჯერ არარსებული სამეფო ტახტისთვის. პოლიტიკურ მოტივებზე შექმნილ სამეფო ოჯახში სიტუაცია მალევე აირია, დავითი და ანა ჯერ დაშორნენ, შემდეგ ისევ შეარიგეს და ახლაც გაურკვეველია, მათი სამომავლო ურთიერთობა, თუმცა ამ ქორწინების სულისჩამდგმელთა მიზანი მიღწეულია – ნებით თუ უნებლიეთ, ბაგრატიონებს უკვე ჰყავთ მემკვიდრე, პატარა გიორგის სახით, რომელიც მონარქიის აღდგენის შემთხვევაში, შესაძლოა, მეფედ აკურთხონ. ეს, ალბათ, უფრო შორეული პერსპექტივაა, ან მავანთა ოცნება...

აი, გიორგი მარგველაშვილის ქორწინება კი უკვე რეალობაა... პრეზიდენტმა მის მეგობარ ქალბატონზე გასულ კვირას ოფიციალურად იქორწინა. საქორწინო ცერემონიამ მედიისგან დახურულად, ყოველგვარი პომპეზურობის გარეშე ჩაიარა... ღონისძიებას არ დასწრებიან არც მაღალი რანგის სტუმრები, არც პოლიტიკოსები და არც სხვა გავლენიანი პირები, მათ შორის არც ბიძინა ივანიშვილი. პრეზიდენტმა საყვარელ ქალზე დუშეთში იქორწინა. წყვილის ხელისმომკიდეები კი მათივე შვილები – ანა მარგველაშვილი და მაშო ჩიჩუა გახლდნენ. მალე მათ საერთო შვილიც შეეძინებათ.

ეს ქორწინება ბაგრატიონთა შორსმიმავალი გეგმებისგან ნამდვილად განსხვავდება, თუმცა პოლიტიკური სარჩული ამ შემთხვევაშიც გამოძებნეს... რატომ იქორწინა პრეზიდენტმა მაინცდამაინც ახლა და არა აქამდე? ხომ არ მისცა ამას ბიძგი ბოლო პერიოდში ბიძინა ივანიშვილთან გართულებულმა ურთიერთობამ, რომელმაც ჯერ კიდევ პრემიერ-მინისტრად ირაკლი ღარიბაშვილის დანიშვნამდე განაცხადა, რომ პირველი ლედი სწორედ ღარიბაშვილის მეუღლე – ნუნუკა თამაზაშვილი იქნებოდა. მაშინ იურისტების ნაწილი ამტკიცებდა, რომ საქართველოს კონსტიტუციით სახელმწიფოს მეთაური ისევ პრეზიდენტია და, შესაბამისად, პირველი ლედის სტატუსითაც გიორგი მარგველაშვილის მეგობარი – მაკა ჩიჩუა უნდა სარგებლობდეს. პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ვახტანგ ხმალაძემ კი აღნიშნა, რომ პირველი ლედის სტატუსი მოქმედებს საპრეზიდენტო მმართველობის დროს, ხოლო საქართველოს შემთხვევაში, ახალი კონსტიტუციის ამოქმედების შემდეგ, ამ ქვეყანას პირველი ლედი არ ჰყავს.

ამ ქორწინებით მარგველაშვილი შეეცადა, არსებული გაუგებრობისთვის წერტილი დაესვა და ბიძინა ივანიშვილს მიანიშნა, ვინ იქნება ქვეყანაში პირველი ლედი

სანამ მაკა ჩიჩუა პრეზიდენტთან ოფიციალურ ქორწინებას გააფორმებდა, გაეროს გენერალური ასამბლეიდან პირველი ლედის სტატუსით მოსაწვევი უკვე მიღებული ჰქონდა ირაკლი ღარიბაშვილის მეუღლეს. ნუნუკა თამაზაშვილი ნიუ-იორკში საქართველოს დელეგაციასთან ერთად გაემგზავრება

გიორგი მარგველაშვილი: „ნებისმიერმა ადამიანმა, რომლისთვისაც სიყვარული უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პოლიტიკა, არ შეიძლება ჩააყენოს ურთიერთობა პოლიტიკური მიზნების სამსახურში“



როგორც ჩანს, ამ ქორწინებით მარგველაშვილი შეეცადა, არსებული გაუგებრობისთვის წერტილი დაესვა და ბიძინა ივანიშვილს მიანიშნა, ვინ იქნება ქვეყანაში პირველი ლედი. ამ ვერსიას თუ გავყვებით, პოლიტიკა პირდაპირ აისახა პრეზიდენტის პირად ცხოვრებაზე, არადა ჯერ კიდევ პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი, „პრაიმტაიმთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში ამბობდა:

„ჩემი აზრით, ნებისმიერმა ადამიანმა, რომლისთვისაც სიყვარული უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პოლიტიკა, არ შეიძლება ჩააყენოს ურთიერთობა პოლიტიკური მიზნების სამსახურში. ჩემი აზრით, სიყვარული არ უნდა ემსახურებოდეს, არც პოლიტიკას და მით უმეტეს, არც პიარს“.

სანამ მაკა ჩიჩუა პრეზიდენტთან ოფიციალურ ქორწინებას გააფორმებდა, გაეროს გენერალური ასამბლეიდან პირველი ლედის სტატუსით მოსაწვევი უკვე მიღებული ჰქონდა ირაკლი ღარიბაშვილის მეუღლეს. ნუნუკა თამაზაშვილი ნიუ-იორკში საქართველოს დელეგაციასთან ერთად გაემგზავრება, სადაც მონაწილეობას მიიღებს მსოფლიოს პირველი ქალბატონების კონფერენციაში. ნუნუკა თამაზაშვილი, გაეროს გენერალური ასამბლეის ფარგლებში, მიწვეულია კონფერენციაზე „First Ladies' Global Call to Action Conference on Women and Girls' Financial Health“.

ნუნუკა თამაზაშვილისგან განსხვავებით, მოსაწვევი არ მიუღია მაკა ჩიჩუას. ეს ინფორმაცია პრეზიდენტის ადმინისტრაციაში დაგვიდასტურეს, სადაც განმარტეს, რომ სახელობითი მოსაწვევი მხოლოდ გიორგი მარგველაშვილის სახელზეა გამოგზავნილი, რომელიც უნდა დასწრებოდა გაეროს 69-ე სესიის ფარგლებში დაგეგმილ კლიმატის ცვლილებების კონფერენციას.

სხვათა შორის, ამ კონფერენციის მნიშვნელობაზე ბოლო ინტერვიუში ბიძინა ივანიშვილმაც ისაუბრა, რომელმაც მარგველაშვილი მკაცრად გააკრიტიკა და აღნიშნა, რომ თავისი ქმედებებით პრეზიდენტი ცდილობს, ხელი შეუშალოს მთავრობის მუშაობას.

„ვნახეთ სია, ვინ ჩავა და გაეროს სხდომას ვინ დაესწრება საპარლამენტო რესპუბლიკებიდან. როგორც წესი, იქ პრემიერები იქნებიან წარმოდგენილები. კითხვა არ არსებობს. ისევ მიდის თანაბარი შედარება და ფონი უფრო მეტად ისეთია, თითქოს აშავებს პრემიერი და ჩაგრავს პრეზიდენტს. ამ დროს კი ორჯერ ორი ოთხია – რა თქმა უნდა, იქ წავა მერკელი, რა თქმა უნდა, იქ წავა ნეთანიაჰუ, რა თქმა უნდა, იქ წავა ინგლისის პრემიერი და ა.შ – შეიძლება მხოლოდ ერთი ორი გამონაკლისი იყოს, როცა პრემიერმა ვერ მოიცალა და ეს უფლება პრეზიდენტს გადასცა. ასეთია კონსტიტუცია საპარლამენტო რესპუბლიკაში. ის შეხვედრა, საიდანაც მან მოწვევა მიიღო, დაბალი დონის შეხვედრაა. სხვათა შორის, კლიმატის გაუმჯობესების სამიტზე შარშან ფანჯიკიძე იყო მიწვეული, თუმცა წასვლა მასაც არ ნდომებია – ზალკალიანი უნდა წასულიყო, თუმცა, საბოლოოდ, ფანჯიკიძე წავიდა, იმიტომ რომ სხვა საქმეებიც ჰქონდა, მაგრამ არავის უფიქრია, ჩემთვის ეთქვა, ან პრეზიდენტი წასულიყო. ეს არის რეალობა“, - აცხადებს ბიძინა ივანიშვილი.

საბოლოოდ ყველაფერი ისე დასრულდა, როგორც ბიძინა ივანიშვილს მიაჩნდა სწორად. გაეროში არც პრეზიდენტი გაემგზავრება და მით უმეტეს, არც მისი მეუღლე. 26 სექტემბერს ნიუ-იორკში 69-ე სესიაზე სიტყვით გამოვა პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი, ნუნუკა თამაზაშვილი კი, როგორც უკვე გითხარით, პირველი ქალბატონების საერთაშორისო კონფერენციაში მიიღებს მონაწილეობას.

მარგველაშვილმა ამჯერად უკან დაიხია, თუმცა, სავარაუდოდ, მისი პოლიტიკა მთავრობის მიმართ კიდევ უფრო ხისტი გახდება. ამას მოწმობს პრეზიდენტის ის განცხადება, რომელიც მისი ვიზიტის ჩაშლას შეეხებოდა.

„თუ ჩვენ წავალთ ამ გზით და შევეცდებით, მონოპოლიზაცია განვახორციელოთ რომელიმე ინსტიტუტში, იმას მივიღებთ, რაც არ მოგვწონდა სააკაშვილის ხელისუფლებაში“, – განაცხადა მარგველაშვილმა.

დაბოლოს, ერთი დეტალიც... მარგველაშვილი ვერ წავიდა გაეროს 69–ე სესიაზე. სამაგიეროდ ჰყავს ოფიციალური, რიგით მესამე მეუღლე.

P.S. საქართველოს პრეზიდენტს ვულოცავთ ოფიციალურ ქორწინებას, პრემიერ-მინისტრს კი გაეროში წარმატებულ ვიზიტს ვუსურვებთ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რატომ არ აძლევენ ვოვა არუთინიანს დედასთან ხანგრძლივი პაემნის საშუალებას?

my View
მირიან ბოქოლიშვილი

73 წლის მოხუცი ქალბატონი რედაქციაში პირდაპირ დეზერტირების ბაზრობიდან მესტუმრა, სადაც ყოველდღე ერთჯერადი ხელსახოცების გაყიდვით ირჩენს თავს. მითხრა, – ვჩქარობდი, რომ მოსვლა მომესწრო და ჩემი სათქმელის თქმაო. გადაღლილმა ჩანთიდან ბოთლი ამოიღო, წყალი დალია და სევდაშეპარული ხმით დაიწყო თხრობა. ეს მოხუცი ქალბატონი ჯორჯ ბუშზე ტერაქტის მცდელობაში ბრალდებულ ვოვა არუთინიანის დედა გახლდათ, რომელსაც ხელისუფლებასთან ერთადერთი თხოვნა აქვს – მისცენ ერთადერთ შვილთან ხანგრძლივი პაემნის შესაძლებლობა. დამნაშავეა თუ არა ვოვა არუთინიანი, ეს სრულიად სხვა საკითხია და ამ ინტერვიუს მიზანი სრულებითაც არ გახლავთ ტერაქტში ბრალდებულის პოზიციის დაცვა. მკითხველისა და შესაბამისი უწყებების ყურადღება გვინდა მივაპყროთ მარტოხელა მოხუცი ქალბატონის თხოვნას, რომელიც 150-ლარიანი პენსიიდან 100 ლარს ყოველთვიურად საკუთარ შვილს უგზავნის ციხეზე გამოსაკვებად. ვერ გეტყვით, რამდენად უდანაშაულოა ვოვა არუთინიანი, თუმცა იმაში კი დარწმუნებული ვარ, რომ ამ მოხუცი ქალბატონის თხოვნის დაკმაყოფილება სასჯელაღსრულების სამინისტროსთვის პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს.

„ვის რა დაუშავდება, რომ ჩემმა შვილმა ტელეფონზე დამირეკოს?! მაგის ხმის გაგონება ხომ ერთი სიცოცხლეა ჩემთვის, არა?!“

„დაგეგმილი ჰქონდათ, რომ ეს სცენარი გაეთამაშებინათ და ვინ უნდა დაეჭირათ სხვა, თუ არა ერთი უპატრონო ადამიანი, რომელსაც, დედის გარდა, ქვეყანაზე არავინ ჰყავს და მოდავეც არავინ იქნებოდა“

„მე ვარ ვოვა არუთინიანის დედა, ანჟელა არუთინიანი. ალბათ, იცით, რომ ჩემი შვილი უკვე 9 წელია, ორთაჭალის #7 დანესებულებაში ზის. საკანში მარტოა, ხმის გამცემიც კი არავინ ჰყავს. ე.წ. ტერორისტი, როგორც მას დაარქვეს, სრულ იზოლაციაში ჰყავთ, თითქოს ვინმესთვის მართლა რაიმე საფრთხეს წარმოადგენდეს. სინამდვილეში მას არც ტერაქტი ჩაუდენია და არც პოლიციელი მოუკლავს დაკავების დროს, როგორც ეს მოგვიანებით გააშუქეს.

– აბა, ვინ მოკლა სპეცოპერაციის დროს ის პოლიციელი?

– თვითონ ვოვას ოთხი ჭრილობა ჰქონდა მიყენებული, სისხლისგან იცლებოდა, რესპუბლიკურ საავადმყოფოში რომ წაიყვანეს, 7 საათი ოპერაციას უკეთებდნენ და ძლივს გადაარჩინეს. ამ მდგომარეობაში მყოფი ვის რას ესროდა? ის ადამიანი შეხლა-შემოხლაში გარდაიცვალა და მას თავისივე კოლეგის ტყვია მოხვდა. ზურგიდან აქვს ნასროლი იმ პოლიციელს. ვოვა ზურგიდან ვერანაირად ვერ ესროდა, რადგან პოლიცია მის პირისპირ იყო. შემთხვევით ესროლეს ამ პოლიციელს თუ არა, ეგ კიდევ ცალკე გასარკვევია. შესაძლოა, შეგნებულად ესროლეს, რომ შემდეგ ესეც ვოვასთვის დაებრალებინათ.

სააკაშვილის დაცვის უფროსის მოადგილე წერს, რომ პოლონელი ჟურნალისტი ფოტოს უღებდა ვოვას და ეს ფოტო გადასცა ხელისუფლებას. ამ ფოტოს საფუძველზე დაიჭირეს ტერაქტის ბრალდებით, თორემ რეალურად არანაირი სროლა არ ყოფილა. ლიმონკა, რომელიც ამოიღეს, აღმოჩნდა, რომ სასწავლო დანიშნულების გახლდათ და მწყობრიდან იყო გამოსული. თუ მართლა ტერაქტს გეგმავდა, როგორ უნდა განეხორციელებინა ტერაქტი მწყობრიდან გამოსული ლიმონკით?

– და, თქვენი აზრით, თუკი ამ საქმეში უდანაშაულოა, რატომ უნდა დაეჭირათ? ვის რა ინტერესი ჰქონდა, რომ ვოვა არუთინიანი ციხეში ყოფილიყო?

– ალბათ, დაგეგმილი ჰქონდათ, რომ ეს სცენარი გაეთამაშებინათ და ვინ უნდა დაეჭირათ სხვა, თუ არა ერთი უპატრონო ადამიანი, რომელსაც, დედის გარდა, ქვეყანაზე არავინ ჰყავს და მოდავეც არავინ იქნებოდა.

– და, თქვენი აზრით, საერთოდ რაში სჭირდებოდათ ვინმეს დაჭერა და ტერაქტის ინსცენირება?

– ამის მიზანი იყო ის, რომ ამერიკელებისთვის ეთქვათ, – აი, ჩვენ როგორ გვიყვარხართ, და რომ ყველაფერს გავაკეთებთ თქვენს დასაცავად. ისე წარმოაჩინეს, თითქოს მართლა ვინმე გეგმავდა თავდასხმას ამერიკის პრეზიდენტზე და სააკაშვილმა იხსნა ის სიკვდილისგან. აი, ეს იყო მიზანი, და როგორც ამბობენ, მადლიერების ნიშნად ამერიკელებმა საკმაოდ დიდი თანხაც გადაიხადეს. ეს დანამდვილებით ვიცი, რომ ასეა.

– გასაგებია თქვენი პოზიცია... და ციხეში რა მდგომარეობაშია თქვენი შვილი?

– ციხეში კვლავინდებურად სამარტოო საკანში ჰყავთ გამოკეტილი. 9 წლის განმავლობაში უფლებას არ აძლევენ, ვინმეს დაეკონტაქტოს. სააკაშვილის დროს როგორც იყო გაუსაძლის პირობებში, ისევეა ახლაც. იანვრიდან მოყოლებული სასჯელაღსრულების დეპარტამენტში 7-ჯერ დავწერე განცხადება გრძელვადიან პაემანზე. უკანონოს არაფერს ვითხოვ. უვადო პატიმარს დროგამოშვებით კანონით ეკუთვნის 24-საათიანი პაემანი ოჯახის წევრთან. ამას ვერ მივაღწიე. მე კი ისეთი არავინ მყავს, რომ სიტყვა წამაშველოს და ჩემი შვილის ხანგრძლივად ნახვის შესაძლებლობა მომცეს. უარს გვეუბნებიან. ამბობენ, რომ #7 დაწესებულებას არ აქვს შესაბამისი ინფრასტრუქტურა იმისთვის, რომ 24-საათიანი პაემნით ისარგებლოს. მაშინ გადაიყვანონ სხვა ციხეზე, სადაც ეს შესაძლებელი იქნება. მაგალითად, შარშანწინ რუსთავის ციხეში გადმოიყვანეს პაემნისთვის, 5 საათი მე და ჩემი შვილი ერთად ვიყავით, საჭმელიც გვაჭამეს, მშვენივრადაც ვისაუბრეთ... დიდი მადლობელი ვიყავი იმ ხალხის, ვინც ამის საშუალება მოგვცა, მაგრამ მერე შეიცვალნენ და ახლა კატეგორიულ უარს ამბობენ გრძელვადიან პაემანზე. მინდა თქვენი საშუალებით მივმართო შესაბამის პირებს, იმიტომ რომ სხვაგვარად ხმა ვერავის მივაწვდინე. იქნებ ჩემი შვილი გადაიყვანონ იმ ციხეზე, სადაც სხვა უვადო პატიმრები იხდიან სასჯელს. ჩემი შვილი ე.წ. კანონიერი ქურდების ციხეში გამოკეტეს 9 წელი, მაშინ როცა, წესით, იქ არ უნდა ჰყავდეთ. მინდა უფრო ხშირად დამირეკოს, მოხუცი ქალი ვარ... ვის რა დაუშავდება, რომ ჩემმა შვილმა ტელეფონზე დამირეკოს?! მაგის ხმის გაგონება ხომ ერთი სიცოცხლეა ჩემთვის, არა?! კვირაში ორჯერ მაინც მისცენ დარეკვის საშუალება. მე ვურიცხავ ფულს ციხეზე, მათ ხომ არ ვთხოვ არა დახმარებას?! ნუთუ, სულ მკაცრი რეჟიმის ციხეზე უნდა ჰყავდეთ... რატომ არ შეიძლება მისი გადაყვანა სხვა ციხეზე, სადაც უფრო ხშირად მომეცემა ნახვის, ან ტელეფონზე საუბრის საშუალება. მხოლოდ და მხოლოდ მაგიტომ მინდა მისი გადაყვანა სხვა დაწესებულებაში.

– და თქვენ როგორ ირჩენთ თავს?

– პენსია მაქვს 150 ლარი, საიდანაც ყოველთვიურად 100 ლარს ვოვას ვურიცხავ ციხეზე, საჭმელი ან რამე რომ იყიდოს. აბა, წარმოიდგინეთ დედის გული, როცა იცი, რომ შენი შვილი ერთ საკანშია გამოკეტილი სრულიად მარტო და არაფერი გააჩნია. ამიტომ, როგორც კი პენსია მერიცხება, იქიდან 100 ლარს ვოვას ვურიცხავ. დეზერტირების ბაზარზე დავდივარ და ვყიდი ერთჯერად ხელსახოცებს. ვწვალობ, მაგრამ რისთვის, აბა? არავინ მყავს, ერთადერთი შვილი კი სამუდამო პატიმრობაშია. სხვათა შორის, ციხეზე ვოვა ისეთ ლამაზ „სტატუეტკებს“ აკეთებს, გაგიკვირდებათ. რომ ნახოთ, იტყვით, ცოდოა ეს ადამიანი ციხეში იყოს გამოკეტილიო. აუცილებლად დავბრუნდები თქვენთან და ერთ ცალს გაჩუქებთ.



„პენსია მაქვს 150 ლარი, საიდანაც ყოველთვიურად 100 ლარს ვოვას ვურიცხავ ციხეზე, საჭმელი რომ იყიდოს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რამდენი მილიონი ლარის დახარჯვას აპირებს „ნაციონალუ

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

ვინ ხელმძღვანელობს „რეგიონალურ დაჯგუფებებს“

ნიკა მემანიშვილი: „სქემას სათავეში უდგას ნაციონალების ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ვაშაძე, რომელიც, თავის მხრივ, დაკავშირებულია და ასრულებს მიხეილ სააკაშვილს დავალებებს“

EXCLUSIVE

„ნაციონალური მოძრაობა“ მინიმუმ მილიარდი ლარის დახარჯვას გეგმავს სახელმწიფო გადატრიალების სისრულეში მოსაყვანად. მათ უკვე კონკრეტული სქემაც აქვთ შემუშავებული და როგორც ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია აცხადებს, აქტიურ ქმედებებზე ისინი ოქტომბრიდან გადავლენ.

დასახელებული მილიარდი ლარი „ახალგაზრდა უფლებადამცველთა ასოციაციის“ ინფორმაციაა და მისი ხელმძღვანელი, ნიკა მემანიშვილი აცხადებს, რომ ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია.

მემანიშვილის ინფორმაციით, სქემა უშუალოდ სააკაშვილთან ერთად არის შემუშავებული და შეთანხმებული. მის განხორციელებაზე კი, გიორგი ვაშაძესთან ერთად, კიდევ რამდენიმე ლიდერია პასუხისმგებელი. ვაშაძე პასუხს საქართველოს მასშტაბით აგებს, დანარჩენ ლიდერებს კი კონკრეტული რეგიონები აბარიათ, სადაც, როგორც აცხადებენ, უკვე მიმდინარეობს დაჯგუფებების შექმნა.

„ახალგაზრდა უფლებადამცველთა ასოციაციის“ განცხადებით, სქემა შემდეგნაირია: ყველა რეგიონში შეიქმნება დაჯგუფებები, რომლებსაც სამი ხელმძღვანელი ეყოლება. ვალდებულებები თითოეულ მათგანზე გადანაწილდება და ისინი, თავის მხრივ, რეგიონალურ ხელმძღვანელთან იქნებიან პასუხისმგებლები. მემანიშვილის განცხადებით, რეგიონალური ხელმძღვანელების მოვალეობაა ხალხში საპროტესტო მუხტის გაჩენა...

ნაციონალების მიერ შემუშავებულ სქემაზე პირველი განცხადება შინაგან საქმეთა მინისტრმა რამდენიმე დღის წინ გააკეთა. ჭიკაიძის ინფორმაციით, სისხლის სამართლის საქმე სწორედ ხელისუფლების ხელში ჩაგდების მუხლით არის აღძრული, თუმცა დეტალები მინისტრს არ დაუკონკრეტებია. ბუნებრივია, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე.

ალექსანდრე ჭიკაიძე, შინაგან საქმეთა მინისტრი:

– ჩემთვის ცნობილია ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მიხეილ სააკაშვილმა მისცა კონკრეტული დავალებები „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს და არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერებს. ეს დავალებები კიევსა და თურქეთში ჩატარებულ თათბირებზე გაიცა. ამ შეხვედრების მთავარი თემა არ იყო შიდაპარტიული საკითხები, სააკაშვილმა ქვეყანაში ქაოსის შესაქმნელად კონკრეტული დავალებები და გეგმები მისცა. მიხეილ სააკაშვილს მიცემული აქვს დავალებები, რომ შექმნას კარგად ორგანიზებული 500-კაციანი მობილური ჯგუფი, რომელიც, თავის მხრივ, ცალკეულ მობილურ ჯგუფებად დაიყოფა. მათ უნდა იმოქმედონ პროვოკაციულად, მათ შორის პოლიციის თვალწინ, ეცადონ, მოახდინონ პოლიციის პროვოცირება, შექმნან ფორსმაჟორული სიტუაციები, მოაწყონ აგრესიული საპროტესტო აქციები, სხვადასხვა თემების მანიპულირებით, როგორიცაა კრიმინოგენური ვითარება, სოციალური და ეკონომიკური საკითხები, რუსეთთან ურთიერთობა, გამოიყენონ დევნილთა პრობლემები, სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტებზე მოახდინონ გაფიცვების პროვოცირება, შექმნან ქაოსური ვითარება, მათი მიზანია, შექმნან ნეგატიური ფონი, როგორც ქართველ საზოგადოებაში, ისე უცხოურ მედიასა და დიპლომატიურ საზოგადოებაში. სააკაშვილისვე დავალებით, ქაოსის შექმნის გეგმაში უნდა ჩართონ ეროვნული უმცირესობები, უნდა შეიქმნას ეროვნული უმცირესობებისგან დაკომპლექტებული მობილური ჯგუფები საქართველოში. ეს არის ნაწილი იმ გეგმისა, რასაც სააკაშვილი გეგმავს. ამ გეგმას, პირადად ვაცხადებ, განხორციელება არ უწერია! ისინი ვერც იმ ილუზიას შექმნიან, რომ თითქოს ქვეყანაში არის ქაოსი და ანარქია, მათი სურვილები დარჩება სურვილებად. ვინც ანტიკონსტიტუციური გზით წავა და ქვეყანას საფრთხეს შეუქმნის, კანონის წინაშე ყველა უმკაცრესად დაისჯება. ჩვენ განვახორციელებთ კანონით გათვალისწინებულ ყველა ღონისძიებას ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების აღსაკვეთად. უკვე მიღებულია კონკრეტული ზომები. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს შეთქმულების მომზადებას სახელმწიფო ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება. გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, მეტს ვერ დავკონკრეტდები.

ალექსანდრე ჭიკაიძის განცხადებით, მისი ინფორმაციის დამადასტურებელი ფაქტები და მტკიცებულებებიც არსებობს. მინისტრის განცხადებიდან ზუსტად ერთ კვირაში „ახალგაზრდა უფლებადამცველთა ასოციაციამ“ საკმაოდ სკანდალური განცხადება გაავრცელა. ორგანიზაციის ხელმძღვანელი ნაციონალების ერთ-ერთი ლიდერის, გიორგი ვაშაძის დაკითხვას ითხოვს და აცხადებს, რომ ნაციონალები პიროვნებებს კონკრეტული თანხის სანაცვლოდ „რეგიონალურ დაჯგუფებებში“ გაწევრიანებასა და კონკრეტული დავალებების შესრულებას სთავაზობენ. მემანიშვილის განცხადებით, სამართალდამცავების დაინტერესების შემთხვევაში ის მზად არის, აღნიშნული პიროვნების სახელი და გვარი გაასაჯაროოს.

ნიკა მემანიშვილი:

– მინდა დღეს საზოგადოებას ვაცნობო იმ ფაქტების შესახებ, რომელიც გაცილებით მძიმეა, ვიდრე აქამდე გავრცელებული ინფორმაცია. დაზუსტებულ ინფორმაციას ვფლობთ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ გადადის პოლიტიკურ ვა-ბანკზე. მათი მიზანია, ქვეყანაში გამოიწვიონ დესტაბილიზაცია და გადავიდნენ პოლიტიკურ რევანშზე. სიტუაცია ბევრად მძიმეა რეგიონებში, ვიდრე დედაქალაქში. ჩვენ მოვიპოვეთ ინფორმაცია, რომ რეგიონებში „ნაციონალური მოძრაობა“ ქმნის ზონდერჯგუფებს, საუბარია რამდენიმე ათას ადამიანზე. სტრუქტურა არის შემდეგი: ქალაქებში, რაიონებში დაჯგუფებებს უხელმძღვანელებს სამი ადამიანი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება რეგიონალურ ხელმძღვანელთან და ამ სქემას სათავეში უდგას ნაციონალების ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ვაშაძე, რომელიც, თავის მხრივ, დაკავშირებულია და ასრულებს მიხეილ სააკაშვილის დავალებებს.

– სქემა ვის მიერ არის შემუშავებული?

– უშუალო მითითებები მიიღეს სააკაშვილთან შეხვედრაზე, სარფში. ამის შემდეგ აღნიშნული საქმე ჩაიბარა გიორგი ვაშაძემ. „ნაციონალური მოძრაობა“ აპირებს, ძალიან დიდი ფული დახარჯოს და სახელმწიფო გადატრიალება მოახდინოს. მათ ძალიან კარგად იციან, რომ არჩევნების გზით ეს აღარასოდეს მოხდება. მათი მიზანია საკუთარი პოლიტიკური ძალის რეაბილიტაცია და სწორედ ამისთვის სჭირდებათ მათ ქვეყანაში ქაოსი და

„რიგიერც ვიცით, საუბარია დაახლოებით მილიარდ ლარზე. ისინი ამ თანხას ხელისუფლების გადასატრიალებლად გამოიყენებენ“

ნიკა მემანიშვილი: „რეგიონებში ნაციონალური მოძრაობა ქმნის ზონდერჯგუფებს, საუბარია რამდენიმე ათას ადამიანზე“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გიორგი ვაშაძე: „აქამდეც ჩაგვიტარებია აქციები და საჭიროების შემთხვევაში ისევ ჩავატარებთ“

დაკითხვას. ხომ არ დაუბარებიხართ უკვე?

– არა, ჯერ არა, რადგან ახლახან ჩამოვედი კიევიდან.

– არსებობს ინფორმაცია, რომ შემოდგომისთვის საპროტესტო აქციებისთვის ემზადებით...

– პოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთი იარაღია საპროტესტო აქციები და პროტესტის გამოხატვა შეკრებებით. ნამდვილად არ ვაპირებ პირობის დადებას, რომ აქციას არასოდეს ჩავატარებ და არც მონაწილეობას მივიღებ მასში. მგონი, ცოტა აბსურდთან გვაქვს საქმე. აქამდეც ჩაგვიტარებია აქციები და მგონი, ყოველ ჯერზე კანონის ფარგლებში ვახერხებდით მოქცევას. ანიც საჭიროების შემთხვევაში ჩავატარებთ.

– რეგიონებში თუ ხდება მობილიზება თქვენი მხარდამჭერების, აქტივისტების ან ადგილობრივი ორგანიზაციის წევრების?

– გაარჩია, რას გულისხმობთ მობილიზებაში...

– საპროტესტო აქციებისთვის მზადებას...

– გავიმეორებ, თემატურად საპროტესტო აქციასაც დავგეგმავთ და ჩავატარებთ კიდეც, როდესაც ამის აუცილებლობა და საჭიროება იქნება. ოპოზიციური ძალის ბრძოლის იარაღის გამოყენებაზე უარს არავინ იტყვის. როგორც ასეთი, დიდი აქციებისთვის მასობრივი მზადება ჩვენთან ნამდვილად არ დაწყებულა. თუ გადავწყვეტთ, აუცილებლად დავაანონსებთ და თქვენც გაიგებთ.

რაც შეეხება ეროვნულ უმცირესობებს, შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებით, ნაციონალების გეგმაში მათაც თავისი როლი აქვთ შესასრულებელი. ექსპერტ მამუკა არეშიძის განცხადებით, ჯერ კიდევ გასული თვის დასაწყისში იგეგმებოდა სერიოზული პროვოკაცია მარნეულში და მოგვიანებით თბილისში, თუმცა ძალოვანი უწყების მეშვეობით მისი დროულად აღკვეთა მოხდა... შესაბამისად, მამუკა არეშიძე არ გამორიცხავს ნაციონალების გააქტიურებას ამ მიმართულებითაც.

მამუკა არეშიძე, ექსპერტი:

– ძალიან სერიოზული პროვოკაცია მზადდებოდა აგვისტოს დასაწყისში, როდესაც მარნეულში დაახლოებით შემდეგი შინაარსის მქონე წარწერიანი მაისურები დარიგდა: ბორჩალო არის თურქული ტომების განსახლების ადგილი. ეს მაისურები დარიგდა ზუსტად მაშინ, როდესაც განმეორებითი თამაში უნდა ჩატარებულიყო საჩხერესა და ბაქოს გუნდებს შორის. ამ მაისურებში გამოწყობილი ახალგაზრდები უნდა დასწრებოდნენ თამაშს. როგორც გირკვა, ამ ყველაფრის ორგანიზატორები ძალიან ახლოს იყვნენ „ნაციონალურ მოძრაობასთან“. გაცილებით მასშტაბური პროვოკაცია მზადდებოდა თბილისში, საპასუხო თამაშის დროს, თუმცა შინაგან საქმეთა სამინისტრომ ის დროულად აღკვეთა.

– ანუ საფრთხე რეალურია?

– ქვემო ქართლში არსებობს გარკვეული ისლამისტური ჯგუფები, რომლებიც შეიძლება რაღაც მომენტში „ნაციონალურ მოძრაობას“ შეეკრან. ასეთი რისკი არსებობს. რაც შეეხება ეროვნული უმცირესობის დანარჩენ წარმომადგენლებს – სომხებსა და ჯავახებს, აქ ეჭვი მეპარება, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მათი გამოყენება შეძლოს. თუმცა იმ შემთხვევაში, თუ ჯავახეთში სოციალური ფონი არ შეიცვლება, სერიოზული რეფორმები არ გატარდება, გამორიცხული არ არის მათი უკმაყოფილების პროვოცირება მოხდეს. „ნაციონალური მოძრაობის“ პოზიცია ხომ ესეთია – ჩვენ სახელმწიფო გადატრიალებას კი არ ვაპირებთ, ვაპირებთ ისეთ აქტივობას, რომელიც საზოგადოებას საშუალებას მისცემს, ხელისუფლებას თავისი დანაპირების შესრულება მოსთხოვოს. ხელისუფლების მთავარი ბერკეტია, რომ პროფილაქტიკური სამუშაოები ჩაატაროს და, ასევე, საკუთარი დანაპირები შეასრულოს. „ნაციონალური მოძრაობის“ ნაბიჯებს ხელისუფლებამ სწორი პოლიტიკა უნდა დაუპირისპიროს.

მამუკა არეშიძე:
„ძალიან სერიოზული პროვოკაცია მზადდებოდა აგვისტოს დასაწყისში მარნეულში... გაცილებით მასშტაბური პროვოკაცია მზადდებოდა თბილისში...“

არეულობა. ვიმედოვნებ, ჩვენი საზოგადოება აღარასოდეს დაუშვებს მწამებლების ხელისუფლებაში დაბრუნებას.

– რა რაოდენობის თანხაზეა საუბარი?

– როგორც ვიცით, საუბარია დაახლოებით მილიარდ ლარზე. ისინი ამ თანხას ხელისუფლების გადასატრიალებლად გამოიყენებენ. „ნაციონალურ მოძრაობას“ თანხები აქვს იმ პერიოდიდან, როდესაც ხელისუფლებაში მოვიდნენ, ანუ 2003 წლიდან. მათ ეს თანხები მოაგროვეს ბიზნესის, ოჯახების დატერორებით... ნაციონალების ხელშია რამდენიმე მილიარდი ლარი და ამ თანხებს გამოიყენებენ იმისთვის, რომ რაც შეიძლება მალე დაბრუნდნენ ხელისუფლებაში.

– რა სქემა აქვთ? შეგიძლიათ, უფრო დეტალურად გვითხრათ?

– შექმნიან და, უკვე ქმნიან კიდეც დაჯგუფებებს, შეეცდებიან, მოსახლეობაში უკმაყოფილება და პროტესტი გამოიწვიონ და ძალადობრივი გზით შეცვალონ ხელისუფლება. შესაძლებელია, მოაწყონ მიზანმიმართული პროვოკაციები, თითქოს კრიმინოგენური მდგომარეობა დამძიმებულია. საუბარია სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაზე. კარგად გვახსოვს მათი მართვის რეჟიმი, შესაბამისად, მათ მიერ შემუშავებული გეგმაც არ უნდა გაგვიკვირდეს. მე ამ ინფორმაციაზე პასუხისმგებელი ვარ. მთელი საქართველოს მასშტაბით მიმდინარეობს დაჯგუფებების შექმნა, განსაკუთრებით შემოდგომაზე აპირებენ გააქტიურებას. თითოეულ დაჯგუფებას ეყოლება სამი ხელმძღვანელი. თითოეული მათგანი გადაინაწილებს ფუნქციებს. თითოეულ დაჯგუფებაში ეყოლებათ ათობით ადამიანი.

– ესენი მათი აქტივისტები არიან?

– ესენი არიან ადამიანები, რომლებიც მზად არიან, წავიდნენ ნებისმიერ პროვოკაციასა და საქმეზე.

– მათ ფულს უხდიან?

– ბუნებრივია, ის ადამიანები, ვინც ამ გზას დაადგებიან, სერიოზულ თანხმებს მიიღებენ, ნაციონალები მათ სთავაზობენ ფულს. ისინი იყენებენ სხვადასხვა ორგანიზაციებს, რომლებიც უკვე აქვთ შექმნილი. საუბარია იგივე „დროა“-ზე, „თავისუფალ ზონა“-ზე. მიმდინარე დღეებში კიდევ შეიქმნება არასამთავრობო ორგანიზაციები. ძალიან სერიოზული და საშიში ჯგუფია. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ თავიდან ავიცილოთ ის სისხლისღვრა და ქაოსი, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობა“ გეგმავს. ჩვენ ყველა ინფორმაციას მივაწვდით საზოგადოებას ეტაპობრივად. ზუსტად ვიცით, რომ ამ კვირებში გააქტიურდებიან. ბუნებრივია, ისინი ახლაც, ამ წუთას, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ, ცდილობენ ადამიანების გადაბირებას და რესურსის მობილიზებას.

– თქვენ უკვე მიაწოდეთ ინფორმაცია შესაბამის უწყებას?

– ჩვენ გავაკეთეთ განცხადება, ახლა დაველოდებით სამართალდამცავების რეაგირებას.

– თქვენ მოითხოვეთ გიორგი ვაშაძის დაკითხვა...

– დიახ, ვითხოვთ ვაშაძის დაკითხვას, რადგან სწორედ ის დგას ამ გეგმის ორგანიზების სათავეში. ის არის ხელმძღვანელი საქართველოს მასშტაბით და პასუხისმგებელია უშუალოდ მიხეილ სააკაშვილთან. ვაშაძის გარდა, ნაციონალების რამდენიმე ლიდერს სხვადასხვა რეგიონები აქვს ჩაბარებული.

თავად „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები მათი მისამართით გაჟღერებულ ბრალდებებს აბსურდულს უწოდებენ. პირადად გიორგი ვაშაძე კი საკითხს ხუმრობით პასუხობს, ჩვენ უკრაინას რეფორმებში ვეხმარებით და ისინი სანაცვლოდ საბურავების დიდი პარტიით გვამარაგებენო... თუმცა, მისივე განცხადებით, საჭიროების შემთხვევაში ოპოზიცია არავითარ შემთხვევაში არ იტყვის უარს არც საპროტესტო აქციებზე და არც სხვა, დანარჩენ „საბრძოლო იარაღზე“...

გიორგი ვაშაძე, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი:

– ყველაფერს ვიფიქრებდი, რომ დამაბრალებდნენ, მაგრამ ზონდერდაჯგუფებების შექმნა? ეს ჩემი საქმიანობიდან ძალიან შორს დგას.

– შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებით, სისხლის სამართლის საქმე უკვე არის აღძრული სახელმწიფოს მართვის ხელში ჩაგდების მუხლით. ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია ითხოვს თქვენს

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„რასაც დღეს ნაციონ
არის ქვეყნის წინააღ

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი დავით საგანელიძე მოუთმენლად ელოდება დროს, როდესაც პოლიტიკურ ასპარეზზე ძლიერი და კომპეტენტური ოპოზიციური ძალა გამოჩნდება. დეპუტატი დარწმუნებულია, რომ ამ ძალას არანაირი საერთო არ ექნება „ნაციონალურ მოძრაობასთან“. შესაბამისად, ვერც საპარლამენტო უმცირესობის მიერ დაანონსებული თუ გავრცელებული სქემის განხორციელების გზებს ხედავს. საგანელიძე ნაციონალების ნებისმიერ აქტივობას არსებობის შენარჩუნების ერთადერთ საშუალებად მიიჩნევს და თვლის, რომ ოპონენტები ტყუილად ცდილობენ კოალიციაში დაპირისპირების წარმოჩენას. მიუხედავად იმისა, რომ უმრავლესობის წევრი თავადვე აღიარებს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის არასწორ ნაბიჯებს, მიიჩნევს, რომ ეს პროცესიც საკაშვილის მიერ კონსტიტუციის საკუთარ თავზე მორგებამ მოიტანა...

დავით საგანელიძე:
„რასაც დღეს ნაციონალები აკეთებენ, ეს არის ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული ქმედება და არა პოლიტიკური ბრძოლა ხალხის მხარდაჭერის მოსაპოვებლად“

EXCLUSIVE

დავით საგანელიძე, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი:

– ძალიან ცუდია, რომ ქვეყანაში არსებობს პოლიტიკური ძალა, რომელსაც მართალია, ცოტა მხარდამჭერი ჰყავს, მაგრამ მაინც ცდილობს სიტუაციის უკიდურესად დაძაბვას, სიტუაციის ესკალაციას. რა თქმა უნდა, მათი განზრახვები და სურვილები აბსურდულია, მათ ამის არც ძალა შესწევთ და არც საზოგადოების მხარდაჭერა არ აქვთ. მახსოვს, ბავშვობაში ანდაზა გვასწავლეს სკოლაში, მელას რაც ელანდებოდა, ის ესიზმრდებოდაო, სწორედ ნაციონალებზეა ეს ნათქვამი. მათ ელანდებათ დაპირისპირება კოალიციაში, ქაოსი და არეულობა ქვეყანაში. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ ნაციონალების წევრებს ამ ყველაფრის სჯერათ. ნაციონალების ლიდერები თავისი პარტიის წევრებს ჩასჩიჩინებენ ამ სისულელეებს და ამათაც სჯერათ. ერთადერთი ცუდი, რაც მათ მართლაც შეუძლიათ გააკეთონ, ეს არის ქვეყნის იმიჯის გაფუჭება, პროცესების შეფერხება. პირადად მე, სიმართლე გითხრათ, ძალიან არ მინდა, რომ მათი საქმე, ქმედებები ისე წავიდეს, ისინი როგორც კრიმინალები, ისე დაისაჯონ, თუმცა დამნაშავე აუცილებლად დაისჯება. ამიტომ მე მათ მოვუწოდებ, დაფიქრდნენ და გონს მოეგონ. ოპოზიციაში დიდხანს ვიყავი და ზუსტად ვიცოდით, სადამდე შეგვეძლო მოქმედება კანონის ფარგლებში. რასაც დღეს ნაციონალები აკეთებენ, ეს არის ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული ქმედება და არა პოლიტიკური ბრძოლა ხალხის მხარდაჭერის მოსაპოვებლად. მათი ყველა მცდელობა ქვეყნის დანგრევისკენ არის მიმართული, თუმცა, ბუნებრივია, მათ არაფერი გამოუვათ. ნაციონალებმა თავიანთი რესურსი ამოწურეს.

– არასამთავრობო ორგანიზაცია ითხოვს გიორგი ვაშაძის დაკითხვას. მათი ინფორმაციით, „ნაციონალური მოძრაობა“ სერიოზულად ემზადება შემოდგომისთვის და როგორც აცხადებენ, საპროტესტო აქციებისთვის სპეციალურ „დაჯგუფებებსაც“ ქმნიან, რომელსაც ოპოზიციის რამდენიმე ლიდერთან ერთად სწორედ ვაშაძე ხელმძღვანელობს...

– დიდი იმედი მაქვს და ვფიქრობ, გიორგი ვაშაძის ინტელექტი ბევრად აღემატება მსგავსი ქმედებების კეთებას. ასეთ რამეს, უჭკუო კაცის მეტი, არავინ გააკეთებს, ვაშაძეს პოლიტიკური გამოცდილება ასე თუ ისე აქვს. რაც შეეხება საპროტესტო აქციებს, ის, რომ ნაციონალებმა შეიძლება რაიონებში მოძებნონ 100, თუნდაც 200 მხარდამჭერი და წინ და უკან იარონ თავიანთი პლაკატებით, არაფერს ნიშნავს. ამაში მე ვერც ცუდს ვხედავ და ვერც ქვეყნისთვის დამღუპველს. პირიქით, კარგად გამოჩნდება, ვის რამდენი მხარდამჭერი ჰყავს. მახსოვს, წლების განმავლობაში სხვადასხვა დროს ასე დადიოდნენ ოპოზიციის ლიდერები, მაგრამ ბოლოს ისევ თავის ადგილზე რჩებოდნენ, იქ, სადაც სახელმწიფოს დროს იყვნენ. თუმცა გარწმუნებთ, „ნაციონალური მოძრაობა“ ქვეყანაში ვერანაირ არეულობას ვერ შექმნის, რამდენიც არ უნდა ეცადოს თავისი მხარდამჭერებითა და თავისი ტელევიზიის დახმარებითაც. მოსახლეობა მათ არ მიიღებს.

– მიუხედავად იმისა, რომ პრეტენზიები აქვთ?

– მოსახლეობას ყოველთვის ჰქონდა პრეტენზიები და ყოველთვის ექნება. ასეა ადამიანის ბუნება მოწყობილი, დღეს რაც არ გაქვს და ხვალ რომ ის მოგეცემა, შემდეგ უკეთესი გინდა. თუმცა ის, რომ მოსახლეობა მოუტრიალდეს იმ უბედურებას, რაც ბოლო ცხრა წლის განმავლობაში ჰქონდა, გამორიცხულია. ნაციონალების მხარდამჭერებიც ძირითადად ის ადამიანები არიან, რომლებსაც ჩამოერთვათ ბერკეტები, რის საშუალებითაც ბოლო წლების განმავლობაში ქვეყანას ანგრევდნენ. ბუნებრივია, მათ ენატრებათ თავიანთი დიდების დრო და სურთ, რომ უკან დაიბრუნონ. ნაციონალები ვერანაირ ცვლილებას ვერ განახორციელებენ. რა თქმა უნდა, მათ პოლიტიკური პერსპექტივა არ აქვთ. ეს კრახი, რაც განიცადეს, საბოლოოა და რეანიმაცია არ მოხდება, თუმცა არსებობა რომ შეინარჩუნონ, ვალდებულები არიან, ასე ისაუბრონ.

– შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებით, აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. როგორ ფიქრობთ, დააკავებენ კონკრეტულ პიროვნებებს სახელმწიფოს არაკონსტიტუციური გზით ხელში ჩაგდების ბრალდებით?

– დარწმუნებული ვარ, ჩვენი სამართალდამცავები აბსოლუტურად კანონის ფარგლებში იმოქმედებენ. დარწმუნებული ვარ, ისინი არც ერთ უკანონო დაჭერას არ განახორციელებენ. მიმაჩნია, რომ ოპოზიციას უნდა მიეცეს საშუალება, საპროტესტო აქციები გამართოს, თუ ამის თავი და საშუალება აქვს, რა თქმა უნდა. არავითარ შემთხვევაში ხელი არ უნდა შეუშალო, არასწორია ასეთ დროს მათი დარბევა ან დაჭერა, ასე ჩვენი ხელისუფლება არავითარ შემთხვევაში არ მოიქცევა. ეს „ნაციონალური მოძრაობის“ მეთოდები იყო. თუ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა იქნება, ან ვინმეს ამისკენ უბიძგებენ, რა თქმა უნდა, ორგანიზატორებს დააკავებენ და პასუხსაც აგებინებენ თავიანთი ქმედებებისთვის. თუმცა ჩემთვის გაუგებარია, რატომ კეთდება აქცენტი მხოლოდ „ნაციონალურ მოძრაობაზე“. სხვა ძალებიც არიან, რომლებსაც არაერთხელ გამოუყვანიათ მხარდამჭერები ქუჩაში და რამდენი იყო მათი რიცხვი? მაქსიმუმ ხუთასი ადამიანი... კი, ბატონო, გაერთიანდნენ და ერთად გამოიყვანონ მხარდამჭერები, მათ ამას არავინ დაუშლით. გარდა ამისა, ხომ აქვს მნიშვნელობა, ვინ გამოვა ქუჩაში და რა მოთხოვნით? ამის მორალური უფლება, ხომ უნდა ჰქონდეთ? ნაციონალებს ნამდვილად არ აქვთ მორალური უფლება, რამე გააპროტესტონ, იმ რეჟიმიდან გამომდინარე, რომელსაც ისინი წლების განმავლობაში ამკვიდრებდნენ.

– თქვენ თავად ამბობთ, რომ ოპოზიციაზე საუბრისას აქცენტი მხოლოდ ნაციონალებზე კეთდება, ელოდებით, რომ მალე გამოჩნდება ახალი ოპოზიციური ძალა, რომელიც უფრო ძლიერი იქნება?

– სამწუხაროდ, აქამდე არ არსებობს ძლიერი ოპოზიციური ძალა. მე ძალიან კარგად მესმის, რატომ შეიქმნა ვაკუუმი ამ სფეროში. თუმცა ეს დროებითია. კოალიცია მუდმივად ვერ იქნება ერთიანი, თავისთავად ცხადია, რომ ხუთი, რვა ან ათი წლის შემდეგ კოალიცია აუცილებლად დაიშლება. თუმცა მანამდე აუცილებლად გაჩნდება ისეთი ძლიერი ოპოზიციური ძა-

„მოდიოდნენ და გვეუბნებოდნენ, თუ გინდა ამა და ამ კანონზე ხმის მიცემას დავაჭირო ხელი, ეს დამითმე, ან ამაზე დახუჭე თვალიო. ჩვენ მათი უნამუსობა არ ვიყიდეთ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ალეგი აკეთებენ, ეს მდეგ მიმართული“

„თუ ვინმე გადაცდება კანონის ფარგლებს, ჯანსაღ პოლიტიკურ ქმედებებს, ბუნებრივია, პირველი მე მოვითხოვ სამართალდამცავი სტრუქტურისგან, რომ ქვეყანაში წესრიგი დამყარდეს“

„გიორგი უნდა შეეგუოს იმას, რომ ხშირ შემთხვევაში მას მისივე თანაგუნდელები გააკრიტიკებენ“

ლები, რომლებიც სერიოზულ ოპონირებას გაუწევენ ჩვენს პოლიტიკურ ძალას.

– ოღონდ არა „ნაციონალური მოძრაობა“?

– რა თქმა უნდა, მათ შანსი აღარ აქვთ, ნაციონალებმა თავიანთი თავი ამოწურეს.

– ეს პროცესი, რომელიც ახლა თავად ახსენით, არ თვლით, რომ უკვე დაწყებულია?

– რა თქმა უნდა დაწყებულია, ეს პროცესი დაიწყო 2012 წლის პირველ ოქტომბერს, როდესაც ხელისუფლებაში კოალიცია მოვიდა და ნაციონალები ოპოზიციაში გადავიდნენ. მოგვიანებით, თვითმმართველობის არჩევნებისთვის, რამდენიმე პოლიტიკური პარტია, რომლებიც ერთმანეთთან კარგად არ იყვნენ, ცალკე გავიდა. სხვათა შორის, ჩვენი სისუსტეც ისაა, რომ არ გვყავს ძლიერი ოპოზიცია. გვინდა თუ არ გვინდა, მაინც გვიწევს მათთან ოპონირება. მაგალითად, მე ძალიან ხშირად არ მივდივარ სატელევიზიო ეთერებში, იცით, რატომ? ვისთან შევიდე დისკუსიაში, ადამიანთან რომელსაც კრიმინალად მივიჩნევ? რაზე ვესაუბრო კრიმინალსა და დამნაშავეს? ამიტომ როდესაც ასეთი ოპონენტი გყავს, მისგან ნებისმიერი კრიტიკა მიუღებელია, თუნდაც ის მართალს ამბობდეს. იგივენაირად ფიქრობს საზოგადოებაც. სწორედ ამიტომ, კარგი იქნება, თუ ახალი ძალები, ახალი პოლიტიკური გაერთიანებები გამოჩნდებიან, რომლებიც სერიოზულ ოპონირებას გაგვიწევენ და კარგი გაგებით „შეგვანჯღრევენ“, თუმცა ასეთ ოპონენტს ჩვენი გაკრიტიკების ზნეობრივი უფლება უნდა ჰქონდეს.

– ხომ არ ფიქრობთ, რომ ასეთ ოპოზიციად მარგველაშვილი ჩამოყალიბდება?

– ასე არ ვფიქრობ და გეტყვით, რატომ. რა თქმა უნდა, კოალიცია, იმ შემადგენლობის ფორმას, როგორიც ახლაა, გარკვეული პერიოდის შემდეგ დაკარგავს. ეს წელანაც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ. კოალიციის დაშლის შემდეგ ჩამოყალიბდება გარკვეული პოლიტიკური ჯგუფები, სხვა ძალებთან ერთად, შესაძლოა, კოალიციის ყოფილ წევრებთან ერთად... თუმცა ვიტყვი, რომ კოალიცია მომავალი ორი მოწვევა არ დაიშლება. ანუ მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვისაც ერთად ვიქნებით. რაც შეეხება მარგველაშვილს, ვფიქრობ, გიორგი მარგველაშვილი ახალ კოალიციაში არავისთან არ შევა, ორი მიზეზის გამო: დარწმუნებული ვარ, გიორგი მარგველაშვილი არასოდეს გამოვა ინიციატივით, რომ დაუპირისპირდეს იმ ძალას, რომელმაც ის პოლიტიკურ არენაზე გამოიყვანა და მაქსიმალური საშუალება მისცა, საკუთარი პოტენციალი გამოემჟღავნებინა. ასეთი ნაბიჯის გადადგმის უფლებას არ მისცემს მისი ზნეობრივი, მორალური, ადამიანური თვისებები. მეორე – გიორგი მარგველაშვილი არ არის აგრესიული პოლიტიკური ვამპირი, რომელიც ცდილობს, მის გარშემო შემოიკრიბოს პოლიტიკური ძალები და ვინმეს დაუპირისპირდეს. მის გუნებაში არ არის ის, რომ ხვალ სხვა ძალის პოლიტიკურ ლიდერად გადაიქცეს. გიორგი მარგველაშვილი დღეს არ არის პოლიტიკური ძალის ლიდერი.

– მიგაჩნიათ, რომ მარგველაშვილმა შეცდომა დაუშვა, როდესაც გაეროში წასვლა გადაწყვიტა?

– შეცდომას არ ვიტყვი, თუმცა ჩემთვის პრეზიდენტის ზოგიერთი ნაბიჯი, ზოგიერთი ქმედება, ზოგიერთი საქმე მიუღებელი იყო. იგივე სააკაშვილის რეზიდენციაში შესვლა, გარკვეული კანონების მიმართ დამოკიდებულება, თუნდაც იგივე გაეროში წასვლა. მიმაჩნია, რომ მარგველაშვილმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც ამერიკაში აღარ წავიდა. თუმცა მან აქაც სიტყვა „ვიზიტის ჩაშლა“ გამოიყენა და ესეც არ იყო სწორი. გიორგი უნდა შეეგუოს იმას, რომ ხშირ შემთხვევაში მას გააკრიტიკებენ მისივე თანაგუნდელებელი, არა მგონია მან ეს გზა ისე გაიაროს, რომ ხვალ „ქართულ ოცნებას“ დაუპირისპირდეს. შეიძლება ეს

„ვფიქრობ, გიორგი მარგველაშვილი ახალ კოალიციაში არავისთან არ შევა, ორი მიზეზის გამო“

სერიოზულიც. ამის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ ერთი რამაა – როდესაც მიხეილ სააკაშვილი ასრულებდა საპრეზიდენტო ვადებს, მიიღო გადაწყვეტილება, რომ პრემიერ-მინისტრის სავარძელში გადამჯდარიყო და მთელი უფლებამოსილებები თან გადაეყოლებინა. მან კონსტიტუციაში ისეთი ჩასწორებები მიიღო, რაც, რა თქმა უნდა, არ იყო სწორი და ადეკვატური. შედეგად კი მივიღეთ კონსტიტუცია, რომელშიც სრულიად არეულია როგორც საპარლამენტო, საპრეზიდენტო, ასევე სახელისუფლებო ფუნქციები. სასამართლოზე აღარაფერს ვამბობ. რეალურად კონსტიტუცია ვერ მიჯნავს ფუნქციებს. ზოგ თემაზე, ბატონი პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ მის ფუნქციებში შედის, თუმცა, მაგრამ ასევე კანონიერად თვლის პრემიერ– მინისტრი, რომ ეს მისი ფუნქციაა.,რაკი გამიჯვნა სწორად არ არის გაკეთებული, ხდება შეუთავსებლობა, ტერმინ „ინტერესთან კონფლიქტს“ არ გამოვიყენებ. ბუნებრივია, საზოგადოებისთვის ეს უცხოა, რადგან ისინი წლების განმავლობაში მიჩვეულები იყვნენ, რომ, რასაც სააკაშვილი იტყოდა, ისე უნდა ყოფილიყო. საზოგადოებას ვერ წარმოუდგენია, რომ შეიძლება ხელისუფლების ორ შტოს შორის აზრთა სხვადასხვაობა იყოს. ამის მიზეზი არის კონსტიტუცია.

– თუმცა საკმაო დრო იყო იმისთვის, რომ კონსტიტუციაში ეს „შეცდომები“ გამოსწორებულიყო...

– სამართლიანი კითხვაა და აგიხსნით, რატომ ვერ მოხერხდა. კონსტიტუციაში ბევრი არანაკლებ მნიშვნელოვანი ლაფსუსი იყო, ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს. კონსტიტუცია რომ შეცვალო, ამას სერიოზული დრო სჭირდება. მისი ნაჩქარევი ცვლილებები საზოგადოებაში ეჭვს გააჩენდა, იტყოდნენ, ნაციონალების შემდეგ ახლა ესენი ირგებენ საკუთარ თავზეო. ცვლილებებს საჯარო განხილვები და საზოგადოებისთვის კარგად ახსნა სჭირდება. რა თქმა უნდა, ჩვენ შეგვეძლო, მარტივად მოგვეპოვებინა საკონსტიტუციო უმრავლესობა და შეგვეცვალა, მაგრამ არ ვიკადრეთ უმცირესობის წევრებთან ვაჭრობა.

– რას გულისხმობთ?

– იყო შემოთავაზებები უმცირესობიდან, თუ გინდა ჩემი ხმა მიიღო, მოდი, ეს პრობლემა მოგვიგვარეო... ჩვენ ვიღაცის გაფუჭებულ საქმეზე თვალს ნამდვილად არ დავხუჭავთ იმის სანაცვლოდ, რომ უმცირესობის წევრების ხმა მივიღოთ კენჭისყრაზე.

– რაზე „ვაჭრობდნენ“, შეგიძლიათ, გვითხრათ?

– ეს ხომ მათი ცხოვრების წესი იყო. მოდიოდნენ და გვეუბნებოდნენ, თუ გინდა ამა და ამ კანონზე ხმის მიცემას დავაჭირო ხელი, ეს დამითმე, ან ამაზე დახუჭე თვალიო. ჩვენ მათი უნამუსობა არ ვიყიდეთ, არანაირ დათმობასა და არანაირ კომპრომისზე, ოღონდ მათი ხმები მიგვეღო, არ წავსულვართ, თორემ როგორმე თოთხმეტ ხმას გადმოვიყვანდით ჩვენკენ. ახლა კი გაიძახიან, აი, როგორი შეკრულები და ერთიანი გუნდი ვართო... დამერწმუნეთ, ასე არ არის. ადრე თუ გვიან, კონსტიტუციაც შეიცვლება და ჩვენ მივაღწევთ ამას სამართლიანად.

– თქვენ განაცხადეთ, რომ პრეზიდენტსა და მთავრობას შორის დაპირისპირება დემოკრატიული პროცესია, თუმცა საზოგადოებაში ასეთი შთაბეჭდილება ნამდვილად არ რჩება...

– ხშირ შემთხვევაში ერთია რეალობა და მეორეა პიარი, რომელიც გორდება. სამწუხაროდ დღესაც წარმატებით ახორციელებს ზოგიერთი მედია საშუალება საზოგადოების შეცდომაში შეყვანას. ეს არ არის დაპირისპირება, ეს არის საკუთარი პოზიციის დაფიქსირება. როგორ ფიქრობთ, როდესაც პარლამენტში გამოდის კანონები და უმრავლესობა ერთიანად უჭერს მხარს, განხილვების დროსაც იგივე სიტუაციაა? რა თქმა უნდა, არა, შიგნით, საკითხზე მსჯელობის დროს არის კამათი, დაპირისპირება კარგი გაგებით, არგუმენტების ჩამოყრა, თუმცა საბოლოოდ ყოველთვის მივდივართ კონსენსუსამდე. გარეთ ეს არასოდეს ჩანს, თორემ შიგნით დუღილი ყოველთვის არის. საზოგადოება არ არის ამას მიჩვეული, რადგან სააკაშვილის დროს მთავრობის ნებისმიერი ნევრს, რომელიც გაბედავდა და განსხვავებულ მოსაზრებას გამოთქვამდა, რეპრესიის მსხვერპლი ხდებოდა.

– თუ უმრავლესობაში ახერხებენ, შიდა დუღილის „სამზარეულოში“ დატოვებას, როგორც თქვენ აღნიშნეთ, რატომ არ მოხდა იგივე პრეზიდენტი-მთავრობის შემთხვევაში?

– ალბათ, ამაში „დანაშაული“ მასმედიასაც მიუძღვის, გიყვართ ჭუჭრუტანებში შეძრომა. თუმცა ეს კარგია, თქვენ რომ ეს საჯაროდ არ გამოგეტანათ, ჩვენც ვერ დავინახავდით, როგორი უნდა ყოფილიყო ჩვენი შემდგომი ნაბიჯი. მეც მიმაჩნია, რომ მსგავსი საკითხები „სამზარეულოში“ უნდა განიხილებოდეს და არა საჯაროდ.

„დაპირისპირება არ ჰქვია ამას, თუმცა, რა თქმა უნდა, უთანხმოება და გაურკვევლობა არის და საკმაოდ სერიოზულიც“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„პრაიმტაიმი“ vs „ჯიპიაი ჰოლდინგი“

PRIME Time

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

საქართველოში სადაზღვევო ბაზარი რომ სავალალო მდგომარეობაშია, ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი რამდენიმე დღის წინ, როდესაც „ჯიპიაი ჰოლდინგმა“ „პრაიმტაიმს“ ჟურნალისტური ეთიკის ქარტიაში უჩივლა. კომპანიის გაღიზიანება გამოიწვია სტატიამ, რომელიც „ჯიპიაის“ არასათანადო მომსახურებას ეხებოდა, რომელიც ერთ კონკრეტულ შემთხვევაში ოჯახური ტრაგედიით დასრულდა. ამ სტატიას უცვლელად ოდნავ ქვემოთ კიდევ ერთხელ გაგაცნობთ, მანამდე კი გეტყვით, რა ვერდიქტი გამოგვიტანა ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ დიდი მსჯელობისა და აზრთა „ჭიდილის“ შემდეგ.

მოკლედ, „ჯიპიაი ჰოლდინგს“ პრეტენზია ჰქონდა, რომ გაზეთმა და პირადად მე, სტატიის ავტორმა საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ექვსი პრინციპი დავარღვიე: პირველი, მესამე, მეხუთე, მერვე, მეათე და მეთერთმეტე პრინციპები. ქარტიის ვერდიქტმაც არ დააყოვნა და 6-დან სამ პუნქტში „დამნაშავედ“ მცნეს.

„პრაიმტაიმი“ არ ეთანხმება ქარტიის გადაწყვეტილებას, მით უმეტეს, რომ თვითონ ქარტიის წარმომადგენელმა „ჯიპიაი ჰოლდინგის“ წარმომადგენელი იქვე, საკითხის განხილვის დროს, საკმაოდ უხეშ ტყუილში გამოიჭირა... კომპანიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით გაირკვა, რომ პაციენტის ანკეტა წინა რიცხვით, არასწორად იყო შედგენილი... შეგნებულად, თუ შეუგნებლად, ეს უკვე მკითხველმა განსაჯოს.

რაც შეეხება ჩვენ მიერ „დარღვეული“ პრინციპების შინაარსს...

პრინციპი #1: „ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია“.

„პრაიმტაიმი“ არ თვლის, რომ ამ სტატიით მკითხველს არასწორი ინფორმაცია მიაწოდა. სტატიაში წარმოდგენილი იყო როგორც დაზარალებული მხარის პოზიცია, ასევე მოპასუხის – „ჯიპიაი ჰოლდინგის“. ფაქტების მეტი სიმყარისთვის სტატიაში წარმოდგენილი იყო სასწრაფო დახმარების მორიგე ექიმისა და მისი ხელმძღვანელის პოზიცია, დოკუმენტებითურთ.

ასე რომ, სტატია ყოველმხრივ დაბალანსებული გახლავთ. დასკვნების გაკეთება კი მკითხველის პრეროგატივაა.

პრინციპი #5: „მედია ვალდებულია, შეასწოროს გამოქვეყნებული არსებითად არაზუსტი ინფორმაცია, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება“.

რა თქმა უნდა, მედია ვალდებულია, შეასწოროს გამოქვეყნებული არაზუსტი ინფორმაცია, თუ ის მართლაც არაზუსტია... „ჯიპიაი ჰოლდინგის“ მოთხოვნა სტატიის გამოქვეყნების შემდეგ მდგომარეობდა იმაში, რომ მათი პოზიცია გაზეთის მომდევნო ნომერში ვრცლად უნდა დაბეჭდილიყო. პრინციპში, კომპანია იგივეს ითხოვდა, რასაც დღეებით ადრე, სტატიაზე მუშაობის პროცესში ვთხოვდით. მე, როგორც სტატიაზე მომუშავე ჟურნალისტმა, არაერთხელ ვცადე კომპანიის პიარმენეჯერთან დაკავშირება. თუმცა კომპანიაში მითხრეს, რომ ქალბატონი თინათინ სტამბოლიშვილი მივლინებაში იმყოფებოდა და ვინაიდან კომპანიას მისი შემცვლელი არ ჰყავდა, ვერავისთან ვერ დამაკავშირებდნენ. საინტერესო დეტალია ისიც, რომ ზუსტად იმ დღეს, როდესაც კომპანიის პიარმენეჯერი „პრაიმტაიმისთვის“ „მივლინებაში“ იმყოფებოდა, სხვა მედიასაშუალებების ჟურნალისტებისთვის სტამბოლიშვილი ხელმისაწვდომი იყო და მათ კითხვებზე პასუხებს ფოსტით (მეილით) უგზავნიდა. მიუხედავად პასუხების ვერმიღებისა, „პრაიმტაიმის“ სტატიაში „ჯიპიაი ჰოლდინგის“ პოზიცია ქარჩხაძეების საქმესთან დაკავშირებით მაინც დაფიქსირდა და მასალა ცალმხრივად არ დაბეჭდილა. შესაბამისად, კომპანიის დაგვიანებული მოთხოვნა სრულიად უსაფუძვლო იყო და შესაბამისად, ის არც შესრულებულა. მით უფრო, რომ „ჯიპიაი ჰოლდინგის“ მიერ გადმოგზავნილი სტატია სარეკლამო შინაარსის იყო.

პრინციპი #8: „ჟურნალისტი ვალდებულია, დაიცვას ბავშვის უფლებები; პროფესიული საქმიანობისას უპირატესი მნიშვნელობა მიანიჭოს ბავშვის ინტერესებს, არ მოამზადოს და არ გამოაქვეყნოს ბავშვების შესახებ ისეთი სტატიები ან რეპორტაჟები, რომლებიც საზიანო იქნება მათთვის. ჟურნალისტმა არ უნდა ჩამოართვას ინტერვიუ და არ უნდა გადაუღოს ფოტო 16 წელზე ნაკლები ასაკის მოზარდს, მშობლის ან მეურვის თანხმობის გარეშე იმ საკითხებზე, რომლებიც მისი ან სხვა რომელიმე მოზარდის კეთილდღეობას ეხება“.

ეს ერთადერთი საკითხია, რომელშიც შეიძლება ქარტიის წარმომადგენლებს დავეთანხმოთ. მათი მტკიცებით, მომავალში, როდესაც გოგონა გაიზრდება, აღნიშნული სტატიები და დაბეჭდილი სურათები მას დისკომფორტს შეუქმნის... თუმცა აქვე უნდა აღვნიშნო, რომ „პრაიმტაიმში“ სტატიის გამოქვეყნებამდე გოგონას ვინაობა უკვე იდენტიფიცირებული იყო და ესეც რომ არა, გაზეთში გამოქვეყნებული ფოტოები (როგორც ბავშვის, ასევე შემთხვევის ადგილის ამსახველი ფოტოები) ბავშვის დედის ნებართვით დაიბეჭდა და სწორედ მის მიერ იქნა გადმოგზავნილი. ქარტიის მერვე პრინციპის მთავარი მოთხოვნა სწორედ მშობლის ან ბავშვის მეურვის თანხმობაა... შესაბამისად, გამოდის, რომ „პრაიმტაიმს“ აღნიშნული პრინციპი არ დაურღვევია...

ახლა კი კიდევ ერთხელ გთავაზობთ სტატიას, რის გამოც „ჯიპიაი ჰოლდინგის“ გულისწყრომა დავიმსახურეთ და ჟურნალისტურმა ქარტიამ არაკომპეტენტური დასკვნა დადო.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

„ჯიპიაის“ მხრიდან 2 000 ლარის დაზოგვის გამო, მერაბ ქარჩხაძემ თავი მოიკლა

39 წლის მერაბ ქარჩხაძემ თვითმკვლელობა მას შემდეგ დაგეგმა, როცა საკუთარი შესაძლებლობების ყველა რესურსი ამოწურა. გადაწყვეტილებაზე ზუსტად ორი დღე იფიქრა და შვილის ოპერაციისთვის საჭირო ფულის შეგროვების სხვა ალტერნატივა ვერ დაინახა. მეუღლე მეზობელთან გაუშვა და თავი საკუთარ ეზოში, საკუთარი ხელით გაკეთებულ ვენახის ხეივანზე ჩამოიხრჩო...

მერაბ ქარჩხაძე



13 წლის ირინას ოპერაცია სწორედ ამ უბედური შემთხვევის შემდეგ გაუკეთდა. სადაზღვევო კომპანია დღეს ირწმუნება, საკუთარი პროცედურების მიხედვით ვმოქმედებდით და უარის თქმა არც გვიფიქრიაო, სოციალურად დაუცველი ოჯახისთვის უარის თქმის უფლება სადაზღვევოს არ ჰქონდა. თუმცა ფაქტია, თვითმკვლელობამდე მერაბ ქარჩხაძემ და მისმა მეუღლემ დასახმარებლად არაერთხელ მიმართეს და ყოველ ჯერზე პასუხად უარს იღებდნენ.

ირინამ ლავინის ძვალი მეგობრის დაბადების დღეზე, ცეკვისას მოიტეხა. აუტანელი ტკივილების გამო, გოგონა დედამ მეორე დილითვე წაიყვანა ქუთაისის საავადმყოფოში. საყოველთაო დაზღვევის უმწეოთა პროგრამაში ყოფნის მიუხედავად, დედა-შვილს ქუთაისი-ვანის საავადმყოფოებში ზუსტად ერთი კვირის განმავლობაში ამისამართებდნენ. საბოლოოდ მოტეხილობაც დაუდგინდა, თუმცა მკურნალმა ექიმმა ოპერაცია რატომღაც გადაუდებელ აუცილებლობად არ ჩათვალა და სახლში გაუშვა. აუტანელი ტკივილების გამო ირინასთვის სასწრაფოს გამოძახება ორჯერ დასჭირდათ. სასწრაფოს ექიმიც გამაყუჩებლის გაკეთებით დროებით უჩერებდა ბავშვს ტკივილს. ამ პერიოდის განმავლობაში მერაბ ქარჩხაძე ჯერ საავადმყოფოებში ცდილობდა გამოსავლის პოვნას, მოგვიანებით კი, ფულის შეგროვება გადაწყვიტა და დასახმარებლად ნათესავებს მიმართა. ირინას ოპერაციისთვის ზუსტად 2 ათასი ლარი იყო საჭირო.

ლია ქარჩხაძე, დაღუპულის მეუღლე:

– ბავშვი იყო ამხანაგის დაბადების დღეზე, ცეკვის დროს დაეცა იატაკზე, ეს მოხდა 18 მარტს. არ მეგონა, მოტეხილობა თუ ჰქონდა, მაგრამ მეორე დღეს მაინც წავედით ქუთაისში. დაახლოებით ერთი კვირის განმავლობაში ბევრჯერ მოგვიწია ქუთაისში ჩასვლა, მაგრამ ყურადღება მაინც არავინ მოგვაქცია. როდესაც ექიმებმა გასინჯეს, არ ჩაუწერიათ, რომ სასწრაფო ოპერაცია იყო საჭირო. ოპერაცია გაუკეთდა ხუთი დღის შემდეგ, ანუ ორ აპრილს. თავიდან, როდესაც სადაზღვევო კომპანიაში მივედით, გვითხრეს, არასწორად ხართ მოსულებიო და უკან გამოგვაბრუნეს. გაგვიშვეს ვანში.

– რა მიზეზით გაგიშვეს უკან?

– არ ვიცი, არაფერი არ აუხსნიათ, უბრალოდ, გვითხრეს, აქ არ უნდა მოსულიყავითო.

– ვანში რა გითხრეს?

– ვანში ოპერაციები არ კეთდება, არ არის საჭირო აღჭურვილობა.

– ახლა როგორ არის ირინა?

– ახლა კარგად არის უკვე. ყველაფერი გაუკეთდა.

– მეუღლეზე გვითხარით, როდის მოიკლა თავი?

– ჩემმა მეუღლემ თავი 21 მარტს მოიკლა.

– ანუ ირინას ოპერაცია მას შემდეგ დაუფინანსეს, რაც თქვენმა მეუღლემ თავი მოიკლა?

– დიახ, ასე გამოვიდა. ჩემმა ქმარმა თავი რომ მოიკლა, შემდეგ გაუკეთეს ირინას ოპერაცია. ჩემი მეუღლე ძალიან ნერვიულობდა, რომ ბავშვს ვერაფერს ვუკეთებდით. იმ დღეს, სანამ თავს მოიკლავდა, საღამოს 10 საათი იქნებოდა, მითხრა, გადადი მეზობელთან, ილაპარაკე და ცოტა ხანში გადმოდიო. არ მივდიოდი, მაგრამ დამაძალა. ალბათ, სულ 20 წუთი ვიყავი გასული სახლიდან. როცა დაბრუნდი, უკვე კარგად ბნელოდა და დავინახე ეზოში, ვენახის ტალავერზე რაღაც იყო ჩამოკიდებული. ძორიდან ვერ გავარკვიე, რა იყო, შემეშინდა და მეზობელს დავუძახე. მეზობელი გადმოვიდა და ერთად ვნახეთ, რომ ჩემი მეუღლე ეკიდა თოკზე. უკვე დაღუპული იყო...

– მანამდე არ მიმართეთ ან გამგეობას, ან ჯანდაცვის სამინისტროს?

– დავდიოდით ქუთაისისა და ვანის საავადმყოფოებში, მაგრამ არც ერთის მხრიდან იმედისმომცემს არაფერს გვეუბნებოდნენ. დაღუპვიდან ერთი დღით ადრე ჩემმა მეუღლემ შვილს უთხრა, ნუ გეშინია, მამიკო, იმედები არ არის, მაგრამ ჩემი გასვენების ფულით ოპერაციას მაინც გაგიკეთებო. მანამდე ნათესავებსაც დავურეკეთ მოსკოვში, ყველას ვთხოვეთ დახმარება, მაგრამ არავინ დაგვეხმარა.

მერაბ ქარჩხაძის დაკრძალვიდან ზუსტად მესამე დღეს ირინა და დედამისი ქუთაისის „ჯეოჰოსპიტალის“ საავადმყოფოში მოათავსეს და მეოთხე დღეს ბავშვს ოპერაცია გაუკეთდა. თუმცა სასწრაფოს ექიმმა პირველივე გამოძახებისას დაადასტურა, რომ გოგონას გადაუდებელი ოპერაცია სჭირდებოდა.

ნაირა კიკაბიძე, სასწრაფოს ექიმი:

– მე როცა გამომიძახეს, ბავშვი უკვე ნამყოფი იყო ქუთაისის საავადმყოფოში. მწვავე ტკივილების გამო მოხდა ჩვენი გამოძახება, ჩვენ ადგილიდან დავრეკეთ „ჯიპიაიში“, ვთხოვეთ, იქნებ როგორმე დააფინანსოთ დროულად-თქო, თუმცა პასუხი იყო, რომ ათი დღე მაინც უნდა გავიდესო. ძვლის მოტეხილობა იყო. რატომ არ დააფინანსა სადაზღვევომ, არ ვიცი. ბავშვს საშინელი ტკივილები ჰქონდა. გავუყუჩეთ და წამოვედით. ჩვენს სასწრაფოს ქუთაისში გადაყვანის უფლება არ აქვს, შესაბამისად, ჩვენ მეტის გაკეთების უფლება არც გვქონდა.

– თქვენი გამოძახების დროს ბავშვის მამა სახლში იმყოფებოდა?

– კი, მამა იქ დაგვხვდა, ძალიან ნერვიულობდა, განიცდიდა. ჩვენი წამოსვლიდან ორი დღის შემდეგ გავიგეთ, რომ თავი მოუკლავს ბავშვის მამას. ამაზე მთელი ვანი ლაპარაკობდა.

ირინა ქარჩხაძე „ჯიპიაის“ უმწეოთა დაზღვევის პროგრამაში იყო. შესაბამისად, სადაზღვევოს არანაირი უფლება არ ჰქონდა, ოპერაციაზე უარი ეთქვა. თუმცა კომპანია აცხადებს, რომ მომართვაში არ იყო მითითებული გადაუდებელი დახმარების აუცილებლობა. ამით „ჯიპიაი“ საკუთარი პასუხისმგებლობის მოხსნას ცდილობს და სრულ პასუხისმგებლობას ვანის სასწრაფო დახმარების ცენტრს აკისრებს. სასწრაფო დახმარების ცენტის ხელმძღვანელის, მაკა ზარნაძის განცხადებით, ქარჩხაძეების ოჯახმა სასწრაფო დახმარება პირველად 20 მარტს გამოიძახა და სწორედ ამ დღეს შევსებულ ბარათზე დეტალურად წერია მორიგე ექიმის მიმართვა „ჯიპიაის“ მიმართ – რაც შეიძლება დროულად გაუკეთდეს გოგონას ლავიწის ძვლის ოპერაცია.

მაკა ზარნაძე, ვანის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მენეჯერი:

– 20 მარტს გამოიძახეს სასწრაფო დახმარების ბრიგადა, ტკივილის გამო. მივიდა ბრიგადა ადგილზე, დახმარება აღმოუჩინა, მოახდინა ტკივილის გაყუჩება და შესთავაზა საავადმყოფოში გადაყვანა. პატრონისგან მიიღო უარი იმ მიზეზით, რომ ქუთაისის საავადმყოფოში ბავშვი სწორედ წინა დღით ჰყავდათ. ოჯახი ელოდებოდა დაფინანსებას სადაზღვევოსგან. სასწრაფოს მისია და მისი

„ერთი კვირის განმავლობაში ბევრჯერ მოგვიწია ქუთაისში ჩასვლა, მაგრამ ყურადღება მაინც არავინ მოგვაქცია“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მამის ტრაგედია

ადგილი, სადაც მერაბ ქარჩხაძემ თავი მოიკლა

„როდესაც სადაზღვევო კომპანიაში მივედით, გვითხრეს, არასწორად ხართ მოსულებიო და უკან გამოგვაბრუნეს. გაგვიშვეს ვანში“



ნაირა კიკაბიძე
სასწრაფო დახმარების
თანამშრომელი

„დაღუპვიდან ერთი დღით ადრე ჩემმა მეუღლემ შვილს უთხრა, ნუ გეშინია, მამიკო, იმედები არ არის, მაგრამ ჩემი გასვენების ფულით ოპერაციას მაინც გაგიკეთებო“

ირინე ქარჩხაძე

„ექიმებმა გასინჯეს, არ ჩაუწერიათ, რომ სასწრაფო ოპერაცია იყო საჭირო“

ჩართულობა ამ საქმეში იყო მხოლოდ ეს. ჩვენ მეტი შეხება ამ საქმესთან არ გვქონია.

– როდესაც ოჯახმა უარი განგიცხადათ საავადმყოფოში გადაყვანაზე, ხელწერილის დაწერა არ მოსთხოვეთ?

– არა, რადგან სასწრაფო გამოძახებული იყო ტკივილის გასაყუჩებლად. ანუ ოჯახს იმის საშუალებაც არ ჰქონდა, რომ ტკივილგამაყუჩებელი ეყიდა.

– სასწრაფოს ექიმს არ დაუდგენია, რომ ბავშვს გადაუდებელი ოპერაცია ესაჭიროებოდა?

– სასწრაფოს ექიმი არ ადგენს, გადაუდებელი ოპერაცია ესაჭიროება თუ არა პაციენტს. გარდა ამისა, ექიმმა ბავშვის დედისგან მიიღო ინფორმაცია, რომ წინა დღეს იყვნენ საავადმყოფოში, გადაღებული ჰქონდათ რენტგენი და ხელში ეჭირათ პასუხიც. ისინი, უბრალოდ, დაფინანსებას ელოდებოდნენ. მე ექიმსაც ველაპარაკე და მითხრა, რომ მან ბარათში დეტალურად ჩაწერა, როგორ მოიქცა: ადგილზე მისულმა ექიმმა დაურეკა „ჯიპიაის“ წარმომადგენელს, ასევე დარეკა სამინისტროს ცხელ ხაზზე და შეატყობინა აღნიშნული ფაქტის შესახებ, მიუთითა, რომ ნამლის ზემოქმედების გავლის შემდეგ ბავშვს კვლავ დაეწყებოდა ტკივილები, ამიტომ თხოვნით მიმართა სადაზღვევოს, რომ იქნებ ოპერაცია დაეჩქარებინათ. ეს ყველაფერი დეტალურად აქვს მითითებული ბრიგადის ექიმს ბარათზე.

რეალურად კი, როგორც „პრაიმტაიმისთვის“ გახდა ცნობილი, „ჯიპიაი“ შეეცადა, ზედმეტი ხარჯები თავიდან აეცილებინა, რადგან მიმდინარე წლის პირველი აპრილიდან კომპანია უმწეოთა დაზღვევის პროგრამიდან საერთოდ გადიოდა. ანუ მისი მოვალეობის შესრულების ამოწურვამდე სულ ათიოდე დღე იყო დარჩენილი. 2 ათასი ლარის დაზოგვის გამო საკუთარი მოვალეობის შესრულებაზე უარი განაცხადა, იმ მიზნით, რომ იგივე ვალდებულებას პირველი აპრილიდან უკვე სახელმწიფო აიღებდა. თუმცა კომპანიას უარის თქმის უფლება არ ჰქონდა.

სადაზღვევო კომპანია „ჯიპიაიმ“ თავდაპირველად კომენტარზე უარი განაცხადა. მოგვიანებით კი განცხადება გაავრცელეს, სადაც დაწვრილებით ხსნიან საკუთარ ნაბიჯებს: „ირინა ქარჩხაძე დაზღვეულია „ჯიპიაი ჰოლდინგში“ უმწეოთა დაზღვევის სახელმწიფო პროგრამით. ირინას ოჯახმა გეგმური ოპერაციის მოთხოვნით მოგვმართა 2014 წლის 19 მარტს. საქმე ეხებოდა მოტეხილობის მკურნალობას და კლინიკისგან იყო მომართვა არა გადაუდებელ, არამედ გეგმურ ოპერაციაზე, რადგან სამედიცინო თვალსაზრისით საჭირო იყო ქსოვილების შეშუპების ჩაცხრობა ოპერაციის ჩატარებამდე. კომპანიის მიერ უმოკლეს ვადაში გაიცა საგარანტიო მოთხოვნილი თანხის 100%-ით დაფინანსებაზე. საგარანტიოს საფუძველზე დაზღვეულს ოპერაცია ჩაუტარდა 30 მარტს ქუთაისის ცხაკაიას სახელობის ინტერვენციული მედიცინის ცენტრში და ამჟამად გაწერილია ბინაზე. ოჯახს რაიმე სახის პრეტენზიით არც ოპერაციის ჩატარებამდე და არც შემდეგ ჩვენთვის არ მოუმართავს“.

მართალია, ქარჩხაძეების ოჯახს არც ჯანდაცვის სამინისტროსთვის მიუმართავს დაფინანსების თხოვნით და არც საჩივარი დაუწერია „ჯიპიაის“ სახელზე, მაგრამ ფაქტია, მერაბ ქარჩხაძის თვითმკვლელობის შემდეგ გოგონას სასწრაფო ოპერაცია გაუკეთდა და დღეს ის უკვე ჯანმრთელია, თუმცა დაობლებული...

აღნიშნული ფაქტით ვანის პოლიციის სამართველო დაინტერესდა და რამდენიმე დღის წინ სასწრაფოს ექიმი, რომელიც ირინა ქარჩხაძის გამოძახებაზე იმყოფებოდა, დაიკითხა.

ნაირა კიკაბიძე, ვანის სასწრაფო დახმარების მორიგე ექიმი:

– დაკითხვაზე წამიყვანეს, დეტალურად გამომკითხეს, რა მოხდა იმ დღეს, როდესაც ჩვენ ირინე ქარჩხაძის გამოძახებაზე ვიმყოფებოდით. ყველაფერი დეტალურად მოვყევი. ვუთხარი, რომ ჩვენ ვნახეთ ბავშვი და მოგვიანებით გავიგეთ, რომ მამამ თავი მოიკლა. ეს ყველამ იცოდა, თუმცა დეტალები მე ნამდვილად არ ვიცოდი. მითხრეს, რომ მეტჯერ აღარ მომიწევს სამმართველოში მისვლა.

ნაირა კიკაბიძე დაკითხვაზე დაახლოებით ორი საათის განმავლობაში იმყოფებოდა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ჯეოსელი

50 ლარი

- უსასრულო წუთები ადგილობრივ ქსელებზე
- უსასრულო SMS-ები
- უსასრულო ინტერნეტი

ამაში უსასრულო

შეიძინეთ გადახდის აპარატებში ან ჯოდით *010#OK

7036 - ჯეოსელიდან (ზარი უფასოა)
110110 - ყველა ქსელიდან
www.geocell.ge

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რის სანაცვლოდ უჭერს მხარს ვალერი გელბახიანი გიორგი მარგველაშვილს

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

ვალერი გელბახიანმა თავის დროზე პოლიტიკური მოღვაწეობა საადვოკატო საქმიანობით შემდეგი სიტყვებით ჩაანაცვლა: ორი საჩხერელი ერთმანეთს არ უნდა დაუპირისპირდესო. უკვე დღეს, როგორც ჩანს, პროცესის უკან დაბრუნების დრო დგება. დღევანდელ პოლიტიკურ რეალობაში განვითარებული მოვლენების შეფასებისას გელბახიანი აცხადებს, რომ არ არის გამორიცხული, აქტიურ პოლიტიკას დაუბრუნდეს. საბოლოო გადაწყვეტილებას კი მას შემდეგ მიიღებს, რაც მარგველაშვილის მომავალი ზუსტად გაირკვევა. უფრო კონკრეტულად, თუ მარგველაშვილი საკუთარ თავზე აიღებს ახალი პოლიტიკური გაერთიანების შექმნას, მაშინ ვალერი გელბახიანიც მის გვერდით დადგება. გავრცელებული ინფორმაციით, გელბახიანმა გიორგი მარგველაშვილისთვის მხარდაჭერის წინადადება სწორედ გია ხუხაშვილისგან მიიღო. თავად გელბახიანი ადასტურებს, რომ მარგველაშვილის მიმართ სიმპათიები ნამდვილად გაუჩნდა, თუმცა უარყოფს, რომ ეს რაიმე კონკრეტული შეთავაზების სანაცვლოდ მოხდა. თუმცა, როგორც „პრაიმტაიმისთვის“ გახდა ცნობილი, მხარდაჭერის სანაცვლოდ გელბახიანმა დაფინანსების პირობა მიიღო...



ვალერი გელბახიანი: „თუ შესაძლებლობა იქნება, ურთიერთობები ისე უნდა დავტოვოთ, რომ შემდეგ არ გაგვიჭირდეს ერთმანეთთან თანამშრომლობა“

ვალერი გელბახიანი:

– როცა მკვდარი პოლიტიკური პროცესია, ვფიქრობ, ზედმეტია პოლიტიკაში მონაწილეობა, თუმცა თუ მოვლენები განვითარდება და სიტუაცია გამოცოცხლდება, ვფიქრობ, შეიძლება მივიღო პოლიტიკური გააქტიურების გადაწყვეტილება, რატომაც არა? პრეზიდენტის, მთავრობისა და უმრავლესობის ერთმანეთთან დამოკიდებულებას თუ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ სერიოზული უთანხმოება უკვე დაწყებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ პრეზიდენტი შეეცდება, პოლიტიკურ პროცესებს სათავე დაუდოს. თუ ასეთ ნაბიჯს გადადგამს, პოლიტიკური ცხოვრებაც საინტერესო გახდება და შემდეგ შეიძლება მეც გავაქტიურდე.

– ანუ ელოდებით იმ დროს, როდესაც მარგველაშვილი ახალი კოალიციის ჩამოყალიბებას დაიწყებს?

– მარგველაშვილს ეკრძალება, იყოს პოლიტიკური პარტიის თავმჯდომარე პრეზიდენტობის პარალელურად. შესაბამისად, ის ვერ შექმნის პარტიას და ვერც სათავეში ჩაუდგება. მაგრამ თუ მისი მხრიდან იქნება ხელშეწყობა, თუ ლიდერის ფუნქციას იკისრებს და შეეცდება, შეკრას სპექტრი პოლიტიკაში, რა თქმა უნდა, ეს საინტერესო გახდება და რაც მთავარია, სასარგებლო იქნება ქვეყნისთვის. ახლა მარტო ნაციონალები და „ოცნებაა“, საჭიროა მრავალპარტიულობა. ეს უფრო განავითარებს ქვეყანას. თუ ბალანსის დამყარების შესაძლებლობა გაჩნდება ახალი ძალის შექმნით, საინტერესო იქნება პოლიტიკაში ჩართვა, სხვაგვარად სჯობს, პროცესს მხოლოდ შორიდან დააკვირდე.

– იყო რაიმე ტიპის შემოთავაზება?

– არა, ჯერჯერობით არავითარი შემოთავაზება არ ყოფილა. მაგრამ შევხედავ ცოტა ხანს. რეალურად ვხედავ ცვლილების შესაძლებლობებს და თუ კიდევ უფრო აქტიურად დაიწყო ახალი პოლიტიკური პროცესი, შემდეგ მეც გამოვხატავ სურვილს და სხვებიც გააქტიურდებიან.

– არსებობს ინფორმაცია, რომ ხუხაშვილმა შემოგთავაზათ...

– არ დავადასტურებ, არავითარი შემოთავაზება არ ყოფილა.

– მარგველაშვილის მხარდაჭერის სანაცვლოდ ფინანსური უზრუნველყოფას მიიღებდით პატარკაციშვილების ოჯახისგან...

– არა, მსგავსი არაფერი ყოფილა. უბრალოდ, მე ერთხელ უკვე აღვნიშნე, რომ სიმპათიები არ მქონდა მარგველაშვილის მიმართ და მისი პოზიციის გამო ამ ბოლო დროს სიმპათიები მიჩნდება. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ვინმემ რამე შემომთავაზა.

– ხუხაშვილთან თუ გქონდათ ან სატელეფონო საუბარი, ან შეხვედრა?

– მხოლოდ სატელეფონო საუბარი გვქონდა.

– თუ შეიძლება, გვითხარით, რაზე?

– ჩვენ ერთმანეთს ხშირად ვაკრიტიკებდით და ორივეს მხრიდან ითქვა, რომ ეს კრიტიკა შევაჩეროთ.

– მორატორიუმი გამოაცხადეთ?

– გარკვეული მორატორიუმი, კი, ასეა. მე არ მსიამოვნებს და არ მინდა ვინმესთან მქონდეს ისეთი დამოკიდებულება, რომ იძულებული გავხდე, რაიმე ვთქვა. თუ შესაძლებლობა იქნება, ურთიერთობები ისე უნდა დავტოვოთ, რომ შემდეგ ერთმანეთთან თანამშრომლობა არ გაგვიჭირდეს. პოლიტიკაზე საუბარი არ გვქონია, დეტალებზე ნამდვილად არ ვილაპარაკებ.

კატეგორიულად უარყოფს აღნიშნულ ინფორმაციას ექსპერტი, გია ხუხაშვილი. ირწმუნება, რომ არასოდეს მიიღებს გადაწყვეტილებას, პოლიტიკას მეორედ დაუბრუნდეს და იგივეს აცხადებს გიორგი მარგველაშვილთან დაკავშირებითაც.

ხუხაშვილის განცხადებით, ვალერი გელბახიანთან სატელეფონო საუბარი ნამდვილად ჰქონდა, თუმცა არა მხარდაჭერასა და სამომავლო პოლიტიკურ გეგმებზე...

გია ხუხაშვილი: „გელბახიანთან კი, ბატონო, ნამდვილად მქონდა საუბარი, მაგრამ არ გვისაუბრია მხარდაჭერაზე, სისულელეა ეს ყველაფერი“

გია ხუხაშვილი:

– ერთხელ უკვე განვაცხადე, რომ არანაირ პოლიტიკურ თამაშში არ ვმონაწილეობ და არც ვაპირებ მონაწილეობას. გიორგი მარგველაშვილი არის ჩემი მეგობარი. მაგრამ ამ შემთხვევაში გიორგიშიც არ არის საქმე. ვიმეორებ, არ ვაპირებ პოლიტიკურ თამაშს და რამდენადაც ვიცი, არც გიორგი აპირებს პოლიტიკურ თამაშში ჩაბმას. გელბახიანთან კი, ბატონო, ნამდვილად მქონდა საუბარი, მაგრამ არანაირად არ გვისაუბრია მხარდაჭერაზე, სისულელეა ეს ყველაფერი. აბსოლუტურად სხვა თემაზე გვქონდა საუბარი, კერძო საკითხზე და არანაირად არ იყო კავშირში პოლიტიკასთან.

– თქვენი განცხადებებიდან გამომდინარე, მკაფიოდ ჩანს, რომ მარგველაშვილის მხარეს იჭერთ...

– ივანიშვილთან არანაირი დაპირისპირება არ მქონია და იმედი მაქვს, არც მექნება. მე მარგველაშვილს არ ვუჭერ მხარს, მე მხარს ვუჭერ ჭეშმარიტებას და დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებას ქვეყანაში.

– თუმცა უმრავლესობის წევრები მიიჩნევენ, რომ ამ შემთხვევაში გიორგი მარგველაშვილის პოზიცია არასწორი იყო.

– ეს მათი შეხედულებაა, ისინი ჩართულები არიან პოლიტიკურ თამაშში, ამ პოლიტიკურ თამაშში შესვლას არც მე ვაპირებ და არც გიორგი მარგველაშვილი, ამაში დარწმუნებული ვარ. გიორგი იცავს პრეზიდენტის ინსტიტუტს და დარწმუნებული ვარ, ისევე დაიცავს საჭიროების შემთხვევაში საპარლამენტო შტოს, თუ მას ვინმე შეეხო.

– მარგველაშვილთან თუ გაქვთ ურთიერთობა?

– რა თქმა უნდა, მაქვს.

– ბუნებრივია, ამ დაპირისპირებაზეც ბევრს საუბრობთ...

– კი, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ჩვენ არ ვსაუბრობთ პიროვნულ თემებზე, ჩვენ ვსაუბრობთ ფუნდამენტურ თემებზე. მე რომ პირადი თემებითა და პირადი ურთიერთობებით ვიხელმძღვანელო, მაშინ, რა თქმა უნდა, უფრო მეორე მხარეს ვიქნებოდი, რადგან იქით უფრო მეტნი არიან ჩემი მეგობრები.

– არ გამორიცხავენ, რომ შესაძლოა, მარგველაშვილი ახალ კოალიციაში ვიხილოთ და თქვენც სწორედ იქ იყოთ...

– მარგველაშვილს, როგორც პოლიტიკურ, როგორც პარტიულ მოთამაშეს, პირადად მე გამოვრიცხავ, რა თქმა უნდა, თავს ვერავისზე დავდებ, საკუთარ შვილზეც კი, მაგრამ პრაქტიკულად გამოვრიცხავ, რომ გიორგი მარგველაშვილი გახდეს პოლიტიკური მოთამაშე, ისევე როგორც მე. ის არ იფიქრებს არც პარტიაზე, არც რაღაც ალიანსებზე, ეს გამორიცხულია.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ბალეების სააგენტოს უფროსის მოადგილედ „ნაციონალების“ კადრი დაინიშნა

სალომე გოგოხია

როგორც ჩანს, კოჰაბიტაცია გრძელდება. ამჯერად, თბილისის მერიაში, საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილედ გურამ კვეზერელი დაინიშნა, რომელიც „ნაციონალების“ დროს კომპანია „ფუდსერვისის“ დისტრიბუციის სამსახურს ხელმძღვანელობდა. აღნიშნული კომპანიის სახელთან ასოცირდება ბაღებში მასობრივად მოწამლული ბავშვების თემა. „ფუდსერვისი“ არაერთხელ დაადანაშაულეს ბაღებისთვის უხარისხო საკვების მიწოდებაში. თუმცა, ხელისუფლების ცვლილების მიუხედავად, დღემდე, ეს კომპანია ბაღების მთავარ მომმარაგებლად რჩება.

გია ბურჯანაძე

თავის დროზე, ბაღების ნაწილმა უარი თქვა „ფუდსერვისისგან“ პროდუქტის მიღებაზე და ხელშეკრულება სხვა კომპანიებთან გააფორმეს. თუმცა, ცვლილებების შედეგად, სააგენტოში კვეზერელის მოსვლით შეშფოთებული დირექტორები პირად საუბრებში არ მალავენ და აცხადებენ, რომ კვეზერელის მხრიდან იმ დირექტორების მიმართ, რომლებმაც თავის დროზე უარი უთხრეს „ფუდსერვისს“, ზეწოლებს აქვს ადგილი.

თავის დროზე „ლიბერალი“ წერდა, რომ კომპანია „ფუდსერვისის“ 25-პროცენტიანი წილის მფლობელი პარლამენტში „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატის არჩილ გეგენავას ძმა - ანდრო გეგენავაა. კომპანიაში 55-პროცენტიან წილს კომპანია „ჰოლდინგ.ჯი“ ფლობს, რომლის 100 პროცენტის მფლობელი ასევე არჩილ გეგენავაა.

მას შემდეგ, რაც კვეზერელი სააგენტოს უფროსის მოადგილედ დაინიშნა, დირექტორების ნაწილი მისი მხრიდან ზეწოლის ფაქტებზე ალაპარაკდნენ. თუმცა, საჯაროდ საუბარს დირექტორები თავს არიდებენ. პირად საუბრებში კი ამბობენ, რომ მათ ვინც თავის დროზე უარი თქვა „ფუდსერვისი“-დან პროდუქტებით მომარაგებაზე, ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ კვეზერელი მათ მიმართ ზეწოლას ახორციელებს. „ღამღამობით რეიდებს ანყობს, იქ შუქი რატომ დაგრჩათ, ეზოში ძაღლმა რატომ გაირბინა და ასეთ რაღაცებზე გვირეკავს. ახლა ინვოისების მიტანას გვთხოვს, წინასწარ უნდა იცოდეს რომელ კომპანიასთან ვაპირებთ ხელშეკრულების დადებას და შემდეგ თავად წყვეტს, რომელთან გავაფორმოთ ხელშეკრულება. ჩვენ მივესალმებით მონიტორინგს, მოვიდნენ, შეგვამოწმონ, სხვანაირად არც შეიძლება, საქმე ბავშვების უსაფრთხოებას ეხება, მუდმივად ფხიზლად უნდა ვიყოთ, მაგრამ ეს უნდა იყოს ჯანსაღი დამოკიდებულება და არა ჩასაფრებულის პოზიციიდან“. - აცხადებენ დირექტორები.

ბაღის დირექტორების მიმართ ზეწოლის ფაქტებზე და ინტერესთა კონფლიქტზე საუბრობს „ანტიკორუფციული კავშირის“ თავმჯდომარე გიორგი ბურჯანაძე.

- ბაღების სააგენტოს უფროსის მოადგილედ დაინიშნა „ფუდსერვისის“ დისტრიბუციის სამსახურის უფროსი გურამ კვეზერელი. „ფუდსერვისი“ გახლავთ „ნაციონალური მოძრაობის“ ნევრის დეპუტატ არჩილ გეგენავას კომპანია. თბილისის ბაგა-ბაღებს პროდუქტით სწორედ ეს კომპანია ამარაგებს. სააგენტოში განხორციელებულ საკადრო ცვლილებებში კორუფციის ელემენტები იკვეთება. ინტერესთა კონფლიქტი ნამდვილად არსებობს. პირადად კვეზერელს შეჰქონდა ბაღებში კვების ბლოკში პროდუქტები, რომელიც ბავშვებს ნამლავდა. ამის უამრავი მაგალითი გვაქვს. ეს ადამიანი (კვეზერელი) არ დაუნიშნავთ, პირდაპირ გეტყვით, „ფუდსერვისმა“ იყიდა ბაღების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილის თანამდებობა, სადაც კორუფციული გარიგების მექანიზმი მუშაობს. ამავდროულად ამ ურთიერთობის მონოპოლიური ფორმაც არსებობს. სამწუხაროა, რომ მერიის ახალი ხელმძღვანელობა თავს ვერ ადგამს, ვერ მართავს მსგავს ორგანიზაციებს და სააგენტოს.

თემურ თორდინავა

- ბაღებს აიპის სტატუსი აქვთ, მათ ხომ შეუძლიათ თავად აირჩიონ მომმარაგებელი კომპანია?

- წესდებაში უწერიათ, ბაღებს როგორც აიპის სტატუსის მქონეებს, უფლება აქვთ თავად აირჩიონ მომმარაგებელი კომპანია. არიან ბაღები, რომლებმაც მიიღეს მკაცრი, საკმაოდ სწორი გადაწყვეტილება და სხვა ფირმებთან დადეს ხელშეკრულება. მინდა გითხრათ, რომ „ფუდსერვისი“ უხარისხო პროდუქციის გარდა, საკმაოდ ძვირი ფასებითაც გამოირჩევა. ნებისმიერ სუპერმარკეტში უფრო იაფად შეიძ- ლება პროდუქტის შეძენა, ვიდრე „ფუდსერვისში“. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მაშინ მილიონები ამოიღო. სამწუხაროდ, ეს მანქანა და მექანიზმი დღემდე არ მოისპო. გეგენავებმა ცოდვილების, ტანჯულების სახე მიიღეს და „ნაცები“ გვატერორებდნენო, ამბობენ.

- ბაღების დირექტორები ზეწოლებზე ალაპარაკდნენ...

- ბაღების დირექტორების მიმართ ზეწოლებს ნამდვილად აქვს ადგილი. ღამის საათებში კვეზერელი რეიდებს ატარებს. თავისი ძალაუფლების დემონსტრირებას ცდილობს, რომ ეს ბაღების დირექტორებმა გაითვალისწინონ და ხელშეკრულება „ფუდსერვისთან“ დადონ. არის სიტყვიერი გაფრთხილებები, მიგზავნები, ხომ იცით ვინ არის კვეზერელი და რა ბედიც გელით და ა.შ. ეუბნებიან, 100 გამგე გვყავს ამოღებული და ორ თვეში გათავისუფლდებიან, ჭკვიანად იყავით. ეს ის გამგეები არიან, რომლებმაც უარი თქვეს „ფუდსერვისისგან“ პროდუქტის მიღებაზე.

- როგორც გავარკვიეთ, კვეზერელი სააგენტოში ინფრასტრუქტურის მიმართულებით მუშაობს და კვებასთან არანაირი შეხება არ აქვს.

- რა უნდა კერძო კომპანიის წარმომადგენელს სახელმწიფო სტრუქტურაში? შპს-ში მუშაობისას კვეზერელს დაახლოებით 3 000 ლარი ჰქონდა ხელფასი. რატომ დათანხმდა სააგენტოში 1 500 ლარიან ხელფასზე? კვეზერელი იღებს დავალებებს, ის არის „ფუდსერვისის“ ინტერესების გამტარებელი და ძმები გეგენავები ეუბნებიან რა უნდა გააკეთოს რიგითმა ჯარისკაცმა კვეზერელმა. ქალბატონმა ლელა კვეზერელმა, რომელიც გახლავთ გურამ კვეზერელის დედა, გახსნა სათამაშოების შპს, რომელიც ბაგა-ბაღებში ზეწოლის სახით შედის. ყველა ბაღს სათამაშოებით ეს კომპანია ამარაგებს. ჩემს ხელთ არსებული ბოლო ინფორმაციით, გამოჩნდა ერთ-ერთი შპს, რომელიც ბაღების პროდუქტებით მომარაგებაზე გადავიდა და პირდაპირ გეტყვით, ეს არის კვეზერელის მიერ გახსნილი კომპანია. ჩვენი ინფორმაციით, კვეზერელმა ბაღებში წერილები გაგზავნა, რომ შეგიძლიათ ალტერნატიული კომპანიით ისარგებლოთ და ბაღების გამგეებს პირდაპირ უთხრათ, ჯერ მე მომიტანთ უწყისებს და გადავწყვეტ ვისთან უნდა დადოთ ხელშეკრულებაო. თუ ბაღები „ფუდსერვისთან“ არ დადებენ ხელშეკრულებას, მაშინ ალტერნატივად თავის კომპანიას შესთავაზებს. ეს არის თვალის ასახვევად გახსნილი კომპანია.

თუმცა, საპირისპიროზე საუბრობს ბაღების მართვის სააგენტოს უფროსი თემურ თორდინავა. მისი თქმით, სააგენტოში კვეზერელი ინფრასტრუქტურის საკითხებს კურირებს და ბაღების პროდუქტებით მომარაგებასთან კავშირი არ აქვს. ამასთან, თორდინავას განცხადებით, ინტერესთა კონფლიქტი არ იკვეთება, როცა იმ კომპანიის თანამშრომელი დაინიშნა სააგენტოს უფროსის მოადგილედ, რომელიც ბაღებს უხარისხო პროდუქტით ამარაგებს და რომლის მიმართ საზოგადოებაში ბევრი შეკითხვა არსებობს.

თემურ თორდინავა: „გურამ კვეზერელი მუშაობდა „ფუდსერვისში“. შემიძლია კონკრეტული ბრძანება გაჩვენოთ „ფუდსერვისიდან“ მისი თანამდებობიდან წასვლის შესახებ. მან პირადი განცხადების საფუძველზე დატოვა არსებული თანამდებობა და შესაბამისად, ის ადგილი სადაც მუშაობდა, გამოთავისუფლდა. ალბათ, მის ნაცვლად სხვა მუშაობს. პრობლემას ვერ ვხედავ იმაში, რომ ადამიანმა, რომელიც ერთ ადგილას მუშაობდა, სხვა სამსახურში დაიწყოს მუშაობა. ვიცი, ამ მიმართულებით ბევრს ექნება შეკითხვები და პირდაპირ გეტყვით, შესაბამისი დოკუმენტაციებითაა გამყარებული, რომ კვეზერელი ამ ორგანიზაციაში ინფრასტრუქტურის საკითხებს კურირებს. მას არანაირი კავშირი არ აქვს სურსათთან, ფინანსურ და შესყიდვების საკითხებთან. პრაქტიკულად, გურამი კონცენტრირებულია ინფრასტრუქტურის მიმართულებით და კონკრეტულ უბანში დამატებითი ფართების მოძიებითაა დაკავებული.

- თუმცა, მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერში სწორედ „ფუდსერვისმა“ გაიმარჯვა, რომელიც საბავშვო ბაღებს პროდუქტით ამარაგებს, ხოლო ამ კომპანიის მიმართ ბევრი შეკითხვები არსებობს, რადგან ის შემჩნეულია ბაღებში უვარგისი პროდუქტების შეტანაში, რასაც დირექტორებიც ადასტურებენ. ეს თქვენთვის არაფერს ნიშნავს?

- სააგენტო „ფუდსერვისთან“ არანაირ კავშირში არ არის. საბავშვო ბაღებს ხელშეკრულება დადებული აქვთ როგორც „ფუდსერვისთან“, ასევე, სხვა კომპანიებთან. თუ საბავშვო ბაღი „ფუდსერვისთან“ ურთიერთობას ვერ ალაგებს, უხარისხო პროდუქტი შეიტანა და საბავშვო ბაღმა ეს მიიღო, მაშინ ჩვენი მონიტორინგის ჯგუფი პასუხს მოსთხოვს მას, ვინც ნახა, რომ პროდუქტი უვარგისი იყო და მაინც მიიღო. მერიას ადრე აქვს გამოცხადებული კონკურსი, რომელშიც „ფუდსერვისმა“ გაიმარჯვა. ზოგიერთმა ბაღმა მასთან ერთი წლით დადო ხელშეკრულება, შეიძლება მომდევნო წელს იგივე ბაღმა ხელშეკრულება აღარ განაახლოს. სააგენტო ბაღს არ მიუთითებს ვისთან უნდა დადოს ხელშეკრულება. ამის უფლება ჩვენ არ გვაქვს.

როგორ განვითარდება მოვლენები, ამას მომავალი გვიჩვენებს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ი ჯროზლეგა ირობებშიც ვერ გვარდება

„ჯგუფებში 47, 52, 55 ბავშვია. მათ უსაფრთხოებაზე ვიზრუნოთ თუ განვითარებაზე?“

სააგენტო დამატებითი ფართების გამონახვას ბაღებში არსებული აივნების და სარდაფების ხარჯზე ცდილობს

სალომე გოგოხია

ახალ სასწავლო წელს საბავშვო ბაღები ძველი პრობლემებით შეხვდნენ. ერთ-ერთი უმთავრესი და მნიშვნელოვანი პრობლემა კვლავ მოუგვარებელია. ბაღების გადატვირთულობა კვლავ რჩება სააგენტოს მთავარ გამოწვევად. ამორტიზებული შენობების, მერიის წინა ხელისუფლების მიერ შეკვეცილმა ფართებმა უარყოფითი შედეგი გამოიღო. ერთი მხრივ მივიღეთ გადატვირთული ჯგუფები, ხოლო მეორე მხრივ, წელსაც, ძალიან ბევრი ბავშვი ბაღის კარს მიღმა აღმოჩნდა.

როდესაც საქმე მომავალ თაობას, მათ აღზრდას, უსაფრთხოებას ეხება, სახელმწიფომ ყველა ღონე უნდა იხმაროს იმისთვის, რომ დანესებულება, რომელშიც სკოლამდელი ასაკის ბავშვები დადიან, მომსახურების და უსაფრთხოების თვალსაზრისით უზრუნველყოს.

პირველ რიგში, საჭიროა მოხდეს ბაღების განტვირთვა. ჯგუფებში ბავშვების რაოდენობა 30-დან 55-მდე მერყეობს. მათზე კი ერთი აღმზრდელი და მისი თანაშემწე მოდის. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს თუ რაოდენ რთულია ორი ადამიანისთვის ამხელა კონტიგენტთან გამკლავება, რომ არაფერი ვთქვათ ბავშვების უსაფრთხოებაზე. ამასთან, აღმზრდელები ამ მეტად საპასუხისმგებლო მისიას მიზერული ანაზღაურების საფასურად ასრულებენ.

„გერმანიაში ცხოვრებისას ჩემი შვილი იქაურ საბავშვო ბაღში დამყავდა. ჯგუფში მაქსიმუმ 15 ბავშვი იყო და მათთან 4 პედაგოგი მუშაობდა, ერთიც ფსიქოლოგი. როცა კონტინგენტი მცირეა, მასწავლებელსაც უადვილდება მუშაობა და ბავშვებიც თავს თავისუფლად გრძნობენ. როდესაც საქართველოში გადმოვედით საცხოვრებლად, ჩემთვის ნამდვილი შოკი იყო, როცა ჩემი შვილი ბაღში მივიყვანე. მის ჯგუფში 45 ბავშვია. მინიმუმ 30-35 ბავშვი ჯგუფში ყოველდღიურად დადის. თანაც საკმაოდ პატარა ოთახში არიან. მასწავლებელს პასუხს ვერ მოვთხოვ, რადგან მას თავისი გასჭირვებია, მაგრამ ხომ შეიძლება რაღაცნაირად დაალაგოს მერიამ თუ სააგენტომ სიტუაცია? ასეთ პატარა ოთახებში ბავშვები არ უნდა ამოხუთონ და როგორმე უნდა განიტვირთოს. მასწავლებელმა ბავშვს ასწავლოს თუ იმას უყურეს ერთმა მეორეს არ ჩაარტყას?!“ - შემოგვიჩივლა სამი წლის მანანას დედამ.

4 წლის ლუკა თემქაზე არსებულ ერთ-ერთი სახელმწიფო ბაღში დადის. როგორც მისმა მშობელმა გვიამბო, წელს მისი შვილის ჯგუფი, რომელიც 45 ბავშვისგან შედგება, შედარებით პატარა ოთახში გადაიყვანეს, სადაც ადგილების სიმცირის გამო სანოლები არ არის. ამიტომ, ბავშვებს შუადღის ძილი „ამოუგდეს“. აღმზრდელებმაც სხვა ალტერნატივა გამონახეს.

„მასწავლებელმა გაგვაფრთხილა, პატარა ბალიშები მოიტანეთ, ბავშვებს ეძინებათ და ბალიშზე თავს დადებენ და ისე დაიძინებენო. მეც რა მექნა? სახლიდან ბალიში წამოვიღე და ჩემი შვილის ჯგუფში დავტოვე. 4 წლის ასაკში მთელი დღე უჭირთ, ბაღში დღის განმავლობაში სხვადასხვა აქტივობებია და იღლებიან, ეძინებათ. იმის გამო, რომ ახალ ჯგუფში საწოლები აღარ აქვთ, მასწავლებლებმა ეს მექანიზმი მოიგონეს. მათ არც ვადანაშაულებ, ეს პრობლემა სააგენტომ უნდა გადაჭრას. სამწუხაროდ, იმხელა შემოსავალი არ მაქვს, რომ შვილი კერძო ბაღში ვატარო, თორემ წუთით არ დავფიქრდებოდი. კერძო ბაღებში ჯგუფში ბავშვების რაოდენობა 10-ს არ აღემატება“, - გვითხრა ლუკას დედამ.

ბაღებში გადატვირთულობის პრობლემას ბაღების მართვის სააგენტოში არ უარყოფენ და აცხადებენ, რომ ამ მიმართულებით მუშაობა მიმდინარეობს. სააგენტო დამატებითი ფართების მოძიებას ცდილობს. თუმცა, ერთი რამ გაუგებარია, რატომ ახსენდება მერიას ბაღების პრობლემა მხოლოდ სასწავლო წლის დაწყებისას და რატომ არ აგვარებს ამ პრობლემას არდადეგების დროს?

„პრაიმტაიმის“ ინფორმაციით, სააგენტოს მოთხოვნით, ბაღების დირექტორებს დამატებითი ფართის მოძიებას აივნების ამოშენების ხარჯზე, სარდაფში სააქტო დარბაზის, სამზარეულოს გადატანით, მის ადგილზე გამოთავისუფლებულ ფართში კი დამატებითი ჯგუფების გახსნას სთხოვენ. თუმცა, სხვა საკითხია რამდენად საიმედოა ამოშენებულ აივანზე ჯგუფების გახსნა ან სარდაფში გადატანილ სააქტო დარბაზში როგორ უნდა ამეცადინონ პატარები? რომ არაფერი ვთქვათ სარდაფში სამზარეულოს გადატანაზე. დირექტორები იმასაც ხუმრობენ, რომ მალე დამატებითი ჯგუფების გახსნას კაბინეტებშიც მოგვთხოვენო.

„ანტიკორუფციული კავშირის“ სკოლამდელი სექტორის ხელმძღვანელის მზია ფაილოძის განცხადებით, სტანდარტულად 1 ბავშვზე 3 კვადრატული მეტრი მოდის, რომ ბავშვმა თავისუფლად იმოძრაოს. რაც დღევანდელ პირობებში დარღვეულია. ამასთან, ფაილოძე ბაღებსა და სააგენტოში არაკვალიფიციური კადრების დანიშვნაზე საუბრობს.

„8 აგვისტოს მივმართეთ ქალაქის მერს, მასთან შეხვედრა გვინდოდა, რომ გაგვეცნო ჩვენი ხედვა საბავშვო ბაღების განვითარების მიმართულებით, თუმცა, შეხვედრა ვერ შედგა. გადაგვამისამართეს არაკომპეტენტურ ადამიანებთან. ამიტომ, შეხვედრას აზრი არ აქვს. სამწუხაროდ, ბოლო ხანებში შეიმჩნევა ტენდენცია ბაღებში არაკომპეტენტური კადრების დანიშვნის. ერთ-ერთი ბაღის დირექტორმა დამირეკა, ჩემს ბაღში ნახევარ განაკვეთზე ისეთი პედაგოგი დანიშნეს, რომელსაც სკოლამდელი აღზრდის განათლება მიღებული არ აქვს. სააგენტოშიც არაპროფესიონალები დანიშნეს, ერთ-ერთი ნინო ბურძენიძე საქართველოს ფოსტაში მუშაობდა, ნარმანიას შტაბში იყო, იმას რა უნდა საბავშვო ბაღების სააგენტოში?!“ - ამბობს ფაილოძე.

რა ხდება ბაღებში, რა სიტუაცია დახვდა სააგენტოში და როგორ აპირებს პრობლემების მოგვარებას, ამის შესახებ „პრაიმტაიმი“ სააგენტოს ახლადდანიშნულ ხელმძღვანელს თემურ თორდინავას ესაუბრა:

- 11 აგვისტოდან გავხდი სააგენტოს ხელმძღვანელი და შესაბამისად, დავიწყე იმ პრობლემების იდენტიფიცირება, რაც თბილისის ბაგა-ბაღების სისტემაში არსებობდა. საკმაოდ მწვავე პრობლემები იყო. მინდა აღვნიშნო მიტოვებული პროექტების თემა. პროექტები, რომლებიც ჯერ კიდევ ივნისის შუა რიცხვებში უნდა დასრულებულიყო, დაწყებულიც კი არ იყო. უპირველეს ამოცანად დავისახეთ ამ პრობლემების დროულად და უმოკლეს დროში გადაჭრა. ეს იყო მოუწესრიგებელი მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრების თემა, განსაკუთრებით 30 ბაღში. 24-საათიან რეჟიმში მუშაობით შევძელით მაქსიმალურად მოგვეგვარებინა სასწავლო წლის დაწყებამდე პირველი რიგის პრობლემები. თუმცა, არსებული გამოწვევები, რაც სისტემაშია, ეტაპობრივად გადაიჭრება. ამას გარკვეული დრო სჭირდება. ჩვენს საზოგადოებას ყველა ინფორმაციას მივაწოდებთ იმის შესახებ თუ რა ხდება ამ მიმართულებით და რა გვაქვს სამომავლოდ დაგეგმილი. ამ ყველაფერს მივაწვდით გაანალიზებულად, კვლევაზე დაყრდნობილ ინფორმაციას და არამც და არამც ისე, რომ რაღაცას შეპირდე და შემდგომ არ გააკეთო. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, პრობლემები იყო უმწვავესი. პრობლემად რჩება 16 ავარიული ბაღი, რომელიც გამაგრებით სამუშოებს საჭიროებს. ძალიან ბევრი ბაღის შემოღობვა უნდა დასრულებულიყო სასწავლოს წლის დაწყებამდე, თუმცა, მუშაობა დაწყებულიც არ იყო. ზოგიერთ ბაღში მოუწესრიგებელი იყო გათბობის სისტემები. 40-მდე ბაღში ეს სისტემები დასაატესტია. გამოცხადებულია ტენდერი 20 ბაღში ცენტრალური გათბობის დასაყენებლად. მაქსიმუმ, ნოემბრის ბოლომდე შევძლებთ ცენტრალური გათბობის ამუშავებას თუ რაღაცამ ხელი არ შეგვიშალა. მანამდე ბაღებში არსებობს სხვა ალტერნატივა. იგივე „კარმა“. თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, თბილისის ყველა ბაღი ცენტრალური გათბობით იქნება აღჭურვილი.

თეიმურ თორდინავა

- ამ ფონზე ხომ არ დაწყებულა ფინანსური შემოწმება? ხომ არ დადგება კონკრეტული პირების პასუხისმგებლობის საკითხი?

- სააგენტოს ახალმა ადმინისტრაციამ, ჩემი დავალებით ჩამოაყალიბა მონიტორინგის ჯგუფები სხვადასხვა მიმართულებით. საკადრო და საქმის წარმოების, სურსათის უვნებლობის, ბავშვთა კვების, ინფრასტრუქტურის ხარისხიანად შესრულების, სააღმზრდელო პროცესის და უსაფრთხოების, კონკრეტული ბრძანებებია, სადაც კონკრეტული პირების მიმართ დაწყებულია მონიტორინგი. შესაძლოა, კონკრეტული პირების პასუხისმგებლობის საკითხიც დადგეს. არაფერს გამოვრიცხავ.

- ბაღებში ჯგუფების გადატვირთულობა მოუგვარებელ პრობლემად იქცა, ჩვენი ინფორმაციით, სააგენტო ბაღებს სთხოვს, რომ დამატებითი ჯგუფებისთვის ამოაშენონ აივნები, სააქტო დარბაზები გადაიტანონ სარდაფში და მის ადგილზე დამატებითი ჯგუფები გახსნან. თქვენი აზრით, ეს სწორი გადაწყვეტილებაა?

- ყველა ჩვენი ნაბიჯი, ახალი პროექტი, კარგად გაანალიზებული და გადაჭრილი იყო. გადაწყვეტილებებს ბაღები იღებენ. საბავშვო ბაღების დირექტორებთან მქონდა შეხვედრები. დირექტორებს განვუცხადე, რომ მე ვიმუშავებ კოორდინირებულად საბავშვო ბაღის პრობლემებზე, მაგრამ რაც შეეხება ბავშვთა უსაფრთხოებას, კვებას, სურსათის უვნებლობას, საკადრო საკითხებს, კვალიფიკაციას, ამასთან მიმართებაში პრინციპული ვიქნები. ახალი ჯგუფების შექმნას მოჰყვა დამატებითი სამუშო ადგილების შექმნა. ბავშვების გადატვირთულობა ახალი არ არის. ძალიან ბევრ ჯგუფში, სადაც 25 ბავშვი იყო რეგისტირებული, 15 ბავშვია. თუმცა, ჩარიცხვა-ამორიცხვის მექანიზმი არსებობს. ადგილების უკმარისობა გამოწვეულია ინფრასტრუქტურის არარსებობით. ჩვენი მთავარი ამოცანაა, სხვა მნიშვნელოვან თემებთან ერთად, დამატებითი ადგილები შევქმნათ. დავიწყეთ ერთი კონკრეტული ბაღის მშენებლობა. გადატვირთულობის მიმართულებით ვმუშაობთ. არსებულ საბავშვო ბაღებში გამოუყენებელი ფართების შესწავლა, სარემონტო სამუშაოების დაგეგმვა, განხორციელება. რამდენიმე ბაღის მშენებლობა მომავალ წელს დასრულდება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„საქართველოს ბანკი“ ხელშეკრულების ბეჭდისა და ხელმოწერის გაყალბებაში იმხილება

მარიამ ნადირაძე

უცნაურია, მაგრამ, როგორც კი კონკრეტულ დანაშაულზე იწყებს ვინმე საუბარს, მისი განზოგადება და „ინსტიტუტებთან“ ბრძოლის დარქმევა, ერთგვარი „ალიბი“ ხდება. შესაბამისად, თუ სამართალდამცველები ყოფილი ხელისუფლების პირს ბრალს წაუყენებენ, ამას „პოლიტიკური დევნა“ ერქმევა სახელად და ხელისუფლებაც თრთის დემოკრატიული დასავლეთის წინაშე...

ეს გათვლა ისე კარგად მუშაობს, რომ შეიმჩნევა ტენდენცია – სისხლის სამართლის საქმეები დაჯგუფდეს, გამოიკვეთოს შესაძლო ეჭვმიტანილთა წრე, ამას „ინსტიტუტი“, „ძალა“, ან კიდევ სხვა რამე დაერქვას და ატყდეს განგაში, რომ ხელისუფლება მათ ებრძვის...

ამას წინათ დავით ნარმანიას მიერ გაკეთებულმა განცხადებამ იმის თაობაზე, რომ შესაძლოა, ნაციონალურ ხელისუფლებასა და „ლიბერთი ბანკს“ შორის საეჭვო გარიგება დადებულიყო, ააყვირა ოპონენტები, ეს საბანკო სისტემის წინააღმდეგ ბრძოლაა...

რა ვქნათ მაშინ, როდესაც სახეზეა დანაშაული?

„პრაიმტაიმი“ სწორედ ერთი ასეთი დანაშაულის შესახებ გიამბობთ და „თრთოლვის“ გარეშე მოგახსენებთ, რომ საქმე ერთ კონკრეტულ დანაშაულებრივ ფაქტს ეხება, რომლის საფუძველზეც ორმა მცირეწლოვანმა ყველაფერი დაკარგა, რაც მათ მშობლებისგან უნდა მიეღოთ.

ამ ოჯახთან დაკავშირებით ჩვენს მკითხველს ერთხელ უკვე ვუამბეთ, თუმცა მათთან შეხვედრიდან რამდენიმე თვეში ჩვენს სტატიაში მოყვანილი ძირითადი ფაქტები, როგორც აღმოჩნდა, პროკურატურამაც დაადასტურა და ეს შესაბამის დადგენილებაშიც ასახა.

სანამ მათ, ვისაც ეს ისტორია ახსოვს, სიახლეების შესახებ ვუამბობდეთ, მათთვისაც, ვისაც ეს ყველაფერი გამორჩა, მოკლედ მომხდარის შესახებ:

ერთ თბილისელ მოქალაქეს, ზურა ხერედინაშვილს ჰქონდა კომპანია „უნიტეკი“, რომელიც კომპიუტერული ტექნიკის იმპორტს ახორციელებდა საქართველოში. ბიზნესის განვითარებისთვის მას სესხი ჰქონდა გამოტანილი „ინტელექტბანკიდან“ და უზრუნველყოფის სახით ბინა ჰქონდა ჩადებული. მერე ეს ბანკი გაკოტრდა და მისი სამართალმემკვიდრე გახდა „საქართველოს ბანკი“. იმ დროს ბიზნესის მასიური დარეკეტების გამო, ხერედინაშვილს ურჩიეს, რომ ამ საქმეს დროებით შეშვებოდა. ასეც მოიქცა. ყველა დავალიანება გაისტუმრა ბანკთან, რაც ბანკის ამონაწერითაც დასტურდება. ფირმამ რომ ფუნქციონირება შეაჩერა, ეს საგადასახადოშიც დასტურდება.

თუმცა, იგივე საქმიანობა ახლი კომპანიის – „უნიტექ თრეიდინგის“ სახელით ზურა ხერედინაშვილის დამ, მედეა ძამაშვილმა წამოიწყო.

2007 წელს „საქართველოს ბანკთან“ „უნიტეკ ტრეიდინგმა“ პირველი სესხის ხელშეკრულება გააფორმა და საკრედიტო ხაზიც გაიხსნა, რომლის ქვეშაც კიდევ არაერთი სესხის ხელშეკრულება გაფორმდა. პირველად ეს იყო 50 ათას დოლარზე, სადაც ზურაბ ხერედინაშვილი თავის დას თავდებში დაუდგა საკუთარი ქონებით. მოგვიანებით ირკვევა, რომ ამ სესხის ხელშეკრულებაში ვალდებულებაში ჩაიწერა, რომ „უნიტეკის“ ვალი (არარსებული 30 ათასი დოლარი. – მ.ნ.) უნდა გადაფარულიყო, თუმცა ამისთვის ყურადღება არავის მიუქცევია, არავის წაუკითხავს. ანგარიშზე დაირიცხა 50 ათასი დოლარი და კომპანიამაც ეს თანხა სრულად გახარჯა საბრუნავი საშუალებების შესაძენად. არც ბანკს

„მივედით იქამდე, რომ „საქართველოს ბანკი“ ჩემს მეუღლეს ფულს სძალავდა“

გაუხმოვანებია ხელშეკრულებაში ჩადებული პირობა და არც ზომები მიუღია, რომ ჯერ ძველი დავალიანება ჩამოჭრილიყო და დარჩენილი ნაწილი ხელზე გაეცა. ეს 50 ათასი მალევე დაიფარა. ამის შემდეგ პერიოდულად იღებდნენ სესხს, სესხი მიზნობრივად იხარჯებოდა და შემდეგ ვადაში იფარებოდა. ასე გრძელდებოდა 2008 წლის ივნისამდე. ამ დროისთვის ბანკმა, ფორსმაჟორის გათვალისწინებით, კლიენტს ყველა ვალის გასტუმრება მოსთხოვა. არსებობს ქვითარი, რომელიც ადასტურებს, რომ ნაღდ ფულად ბანკში შევიდა 192 ათას 705 დოლარი და ყველა ვალდებულება გადაიფარა. 2009 წლის 4 აპრილს „უნიტექ თრეიდინგმა“ ფუნქციონირება შეწყვიტა. ამის შესახებ საგადასახადოშიც გაიგზავნა შეტყობინება (შეტყობინება დათარიღებულია 2009 წლის 31 მარტით. – მ.ნ.). მიუხედავად იმისა, რომ ფირმა აღარ ფუნქციონირებდა, საქმეში ჩნდება 2009 წლის ივნისით დათარიღებული ხელშეკრულებები. ერთის მიხედვით საკრედიტო ხაზის შესახებ ხელშეკრულებაში იცვლება პუნქტი, რომლის მიხედვითაც ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ხდება სავალდებულო აღსრულებაში საქმის მისაქცევად. მეორეს მიხედვით, მედეა ძამაშვილი 6 თვის ვადით, წლიური 20-პროცენტიანი საპროცენტო განაკვეთით და ვადაგადაცილებაზე 40 პროცენტით იღებს ახალ სესხს 190 ათასი ლარის ოდენობით და მესამე, რომლის მიხედვითაც, ზურაბ ხერედინაშვილი ისევ დგება ამ სესხის თავდებად თავისი საცხოვრებელი სახლით, მაღაზიით, სალონითა და თბილისის ზღვაზე 1000 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთით. ანუ გამოდის, რომ ბანკი არარსებულ კომპანიას აძლევს ამხელა სესხს. ხელშეკრულებები, რა თქმა უნდა, როგორც წესი, ორმხრივია. პირველსა და მეორეს ხელს აწერს მედეა ძამაშვილი, მესამეს კი – ზურაბ ხერედინაშვილი. თუმცა, როგორც თავად ირწმუნებიან, არც ერთმა არ იცოდა ამ ხელშეკრულებების არსებობის შესახებ და აცხადებენ, რომ ხელმოწერები გაყალბებულია. მეტიც, ზურაბ ხერედინაშვილი ირწმუნება, რომ ფირმის ბეჭედიც ყალბია, რომელიც ხელშეკრულებაზეა დასმული. ეს ხელშეკრულებები დღეს გამოძიების საგანია და ექსპერტიზებიც ჩატარებულია.

თამარ გიგინეიშვილი

ერთი სიტყვით, ვინაიდან და-ძმა აცხადებს, რომ მათ არაფერი იცოდნენ ამ სესხის არსებობის შესახებ, შესაბამისად, სესხის დასაფარად ანგარიშზე თეთრიც არ არის შესული. ბანკმა სასამართლოს მიმართა. „საქართველოს ბანკის“ სტრატეგია ასეთი იყო: ვინაიდან ჰქონდათ იპოთეკის ხელშეკრულებები 2007-2008 წლების და ხელშეკრულება 2009 წლის, რომელიც გვეუბნება, რომ ეს 2009 წლის ხელშეკრულება არის 2007 წლის საკრედიტო ხაზის ქვეშ, სადაც ამათ გარკვეული ვალდებულება აიღეს, ყველა იპოთეკა გააერთიანეს, მოთხოვნა დააყენეს მხოლოდ 190 ათასი ლარის ხელშეკრულებით, წარადგინეს, რომ საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებაში მოხდა ცვლილება და აღსრულება პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებისთანავე სავალდებულოა. შესაბამისად, როგორც ოჯახი განმარტავს, მოსამართლეც კი მათ აიძულებდა, თუ ხელს არ მოაწერთ ბანკთან გარიგებას, 7 დღეში აღსრულებას მივცემ ქონებასო. ზურა ხერედინაშვილი გარიგებას იმ იმედით დასთანხმდა, რომ იქვე დაარწმუნეს, საჭიროების შემთხვევაში გასაჩივრებას შეძლებდა.

საბოლოო ჯამში

„მრჩება შთაბეჭდილება, რომ ბანკი დამნაშავეთა სამყაროდ გადაიქცა, რომელსაც ძველი ხელისუფლებისგან ყველაფრის უფლება ჰქონდა მინიჭებული“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

აქმე #007270913009:

EXCLUSIVE

კი, აღმოაჩინეს, რომ მოატყუეს – აღსრულება დაიწყო და ბაჟის გადახდაც კი მათ დააკისრეს, 5000 ლარის ოდენობით. ქონება აუქციონზე გავიდა და ისევ „საქართველოს ბანკმა“ იყიდა – მაღაზია და სალონი 36 400 ლარად შეფასდა, სამოთახიანი ბინა

– 42 400 ლარად, 1000 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი 1 – 3 750 ლარად და კიდევ 200 ათასი ვალი დარჩათ, რის გამოც ზურაბ ხერედინაშვილი დღესაც მევალეთა რეესტრშია და შესაძლებლობის შემთხვევაში, ის საჯარო სამსახურში ვერ იმუშავებს.

ამასობაში კი ზურა ხერედინაშვილის მეუღლემ, ხათუნა სახლთხუციშვილმა, კარდაკარ სამართლის ძებნით მიაღწია იმას, რომ მომხდართან დაკავშირებით პროკურატურაში გამოძიება დაიწყო, რაც თავისთავად ხელს უშლიდა ოჯახის გამოსახლების პროცესს. ბანკმა მიზნის მისაღწევად სხვა გზასაც მიმართა – რაკი სახლი უკვე მის საკუთრებას წარმოადგენდა, იქ დენისა და გაზის გათიშვა მოითხოვა იმისთვის, რომ ოჯახი იძულებული გამხდარიყო, გაუსაძლისი პირობების გამო, თვითონ

ხათუნა სახლთხუციშვილი

გასულიყო სახლიდან.

ამასობაში კი ზურა ხერედინაშვილი კატეგორიულად ირწმუნებოდა, რომ თავდებობის ხელშეკრულებაზე მისი ხელმოწერაც და ბეჭედიც გაყალბებული იყო. ჩატარდა ექსპერტიზა, რომელმაც დაადასტურა, რომ ბეჭედი – ნამდვილად, ხელმოწერა კი სავარაუდოდ გაყალბებულია.

ახლა კი იმის თაობაზე, რა მოხდა მას შემდეგ, რაც ეს ისტორია „პრაიმტაიმში გამოქვეყნდა. როგორც ირკვევა, ამ ამბის გასაჯაროებიდან ერთ კვირაში პროკურატურამ ექსპერტიზის დასკვნისა და სხვა მტკიცებულებების საფუძველზე ზურა ხერედინაშვილი დაზარალებულად ცნო. გთავაზობთ ამონაწერს შესაბამისი დადგენილებიდან, სადაც დაზარალებულად მისი ცნობის საფუძველი ასეა განმარტებული: „2009 წლის პერიოდში სს „საქართველოს ბანკსა“ და შპს „უნიტექ ტრეიდინგს“ შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობისას ყალბი დოკუმენტის გამოყენების შედეგად, ზურაბ ხერედინაშვილს მიადგა 300 ათასი დოლარის მატერიალური ზიანი“.

ხათუნა სახლთხუციშვილი, ზურა ხერედინაშვილის მეუღლე:

– როცა მართალი ხარ ადამიანი, შესაძლებელი ყოფილა თურმე, რომ ამ სიმართლის დამტკიცებაში რომელიმე სტრუქტურა მაინც დაგეხმაროს. მართლა მიუკერძოებლად იმუშავა პოლიციამ და პროკურატურამ. შსს-მ დაადგინა, რომ ხელშეკრულებაზე, რომლის გამოც ყველაფერი წაგვართვეს, არ არის ზურას ხელმოწერა. შესაბამისად, ის არც თავდები იყო, არც იპოთეკით დაუტვირთავს ქონება. ანუ მივედით იქამდე, რომ „საქართველოს ბანკი“ ჩემს მეუღლეს ფულს სძალავდა. როდესაც ჩემს ქონებას ყიდდნენ, მე ვუკავშირდებოდი ბანკს, მაგრამ არავინ მხვდებოდა. მერე ნანა კაკაბაძის ოფისიდან გამყვა წარმომადგენელი და როგორც ჩანს, იმას ვერ უთხრეს უარი. ჩამოვიდა დავით რამიშვილი, ვინც ბანკს წარმოადგენდა, როცა ჩვენ ქონება წაგვართვეს და იცით, რა მითხრა? თურმე ჩემი ქმრისთვის სამი საკუთრება კი არა, 23 უნდა წაერთმია.

– რატომ?

– მეც ამას ვეკითხებოდი. ირონიულად მიყურებდნენ და არაფერს მიხსნიდნენ. გეგონება, ირაკლი გილაური ყოფილა საქართველოში პროკურატურაც, სასამართლოც... რატომ აქვთ ამხელა ძალაუფლება მინიჭებული, ჩემთვის გაუგებარია. როცა თავის დროზე დავით უსუფაშვილს შევხვდი, დამპირდა, გილაურთან შეხვედრა შედგებოდა. მერე მითხრეს, ასეთი შეხვედრა შედგაო. თუ გილაურისთვის ცნობილი გახდა ეს ყველაფერი, რატომ არ დაინტერესდა, რა ხდებოდა რეალურად? მრჩება შთაბეჭდილება, რომ ბანკი დამნაშავეთა სამყაროდ გადაიქცა, რომელსაც ძველი ხელისუფლებისგან ყველაფრის უფლება ჰქონდა მინიჭებული. მაგრამ მე, მიუხედავად იმისა, რომ უკვე ჯანმრთელობ-



დოკუმენტის № 0005190830

დადგენილება
დაზარალებულად ცნობის შესახებ

24.07.2014 თბილისი

დადგენილების შემდგენი პირი: სოფიო ბარაბაძე; ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურატურის პროკურორი

საქმის № 007270913009

საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

2009 წლის 25 ივნისს შპს „უნიტექ ტრეიდინგის“ დამფუძნებელს მედეა ბამაშვილსა და სს „საქართველოს ბანკის“ კორპორატიული საბანკო მომსახურების დეპარტამენტის დირექტორს ვასილ ხოდელს შორის გაფორმებულ საკრედიტო ხაზით მომსახურების შესახებ 2007 წლის 15 თებერვალს დადებული N523701 ხელშეკრულების შემადგენელი ახალი საკრედიტო N523701-682423 ხელშეკრულებაზე და გადახდის თანდართულ გრაფიკზე სავარაუდოდ ყალბი ხელმოწერისა და ყალბი ბეჭდით დატანის ფაქტზე.

დაზარალებულად საცნობი პირი: ზურაბ ხერედინაშვილი, პირადი N: 01022002114

დაზარალებულად ცნობის საფუძვლები:

2009 წლის პერიოდში სს „საქართველოს ბანკსა“ და შპს „უნიტექ ტრეიდინგს“ შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობისას ყალბი დოკუმენტის გამოყენების შედეგად ზურაბ ხერედინაშვილს მიადგა 300 000 დოლარის მატერიალური ზიანი.

დაზარალებულს მიყენებული აქვს ქონებრივი სახის ზიანი

დავადგინე

სისხლის სამართლის N007270913009 საქმეზე დაზარალებულად იქნეს ცნობილი ზურაბ ხერედინაშვილი

დადგენილების შემდგენი პირის ხელმოწერა:

სოფიო ბარაბაძე

დადგენილებას გავეცანი, განმემარტა საქართველოს სსსკ-ის 57-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებები

დაზარალებულის ხელმოწერა:

სკანდალური დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც ბანკს პრობლემები ექმნება...

აზეც სერიოზული პრობლემები შემექმნა, ირაკლი გილაურს არასდროს ვაპატიებ, რაც ჩემს ოჯახს დამართა. თუ ჰგონია, რომ თავისი გავლენებითა და ლობისტებით რაღაცას მოაგვარებენ, ძალიან ცდებიან. მე თვითონ ვიზრუნებ იმაზე, რომ საზღვრებს გარეთ გავიტანო ყველაფერი, რასაც ამ ბანკში სჩადიან. მისთვის უკეთესი იქნება დაგვიბრუნოს ჩვენი ქონება. ყალბ ბეჭედსა და ხელის მოწერებს ის უკვე ვეღარსად გაექცევა.

– ეგებ ბანკის ხელმძღვანელობა არც იყო საქმის კურსში, რას სჩადიოდა მისი ერთ-ერთი რიგითი თანამშრომელი?

– ფაქტია, რომ ვიღაცამ ეს ხელშეკრულება კონკრეტული მიზნით გააყალბა. ამ მიზანმა კი „საქართველოს ბანკის“ სასარგებლოდ იმუშავა და არა რომელიმე კონკრეტული თანამშრომლის. ჩვენი ქონების მესაკუთრე დღეს თვითონ ბანკია და არა რომელიმე თანამშრომელი. თანაც, ფაქტია, რომ გილაურმა ეს ყველაფერი კარგად იცოდა... როდესაც ჩემი მეუღლე გლდანის ფილიალში მივიდა და ის ხელშეკრულებები მოითხოვა, რომელიც მას თურმე ამ ფილიალთან დაუდია, გამოვიდა მმართველი და უთხრა – არ მინდა და არ მოგცემ, წადი, ძმაო, სადაც გინდა, იქ იდავეო. ძველბიჭურად გვირჩევდნენ საქმეებს. მრჩება შთაბეჭდილება, რომ „საქართველოს ბანკს“ ჰყავს ვიღაც ძლიერი ლობისტი, რომელიც მას ასეთი მოქცევის უფლებასა და საშუალებას აძლევს. კოვზს ჩავუგდებ ნაცარში, რადგან თუ საქმე მოითხოვს, მე თვითონ გავაგებინებ ყველას ყველაფერს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში და ჩემი შვილების მომავლის დანგრევას „საქართველოს ბანკს“ არ შევარჩენ.

– მთელ ამ ისტორიაში ერთი მთავარი კითხვა იბადება: ამხელა ბანკს რაში უღირდა, რომ თემქაზე ბინის, მაღაზიის, სალონისა და 1000 კვადრატული მიწის დასაკუთრებით „თავი გაეფუჭებინა“?

– ეს ბანკი „ამხელა“ სწორედ ასეთი გაყალბებული და ყაჩაღური ქმედებებით გახდა: ჯერ წინა ხელისუფლების დაკვეთით, როგორც სხვა ფირმებს აკოტრებდნენ, ისე 6 თვეში გააკოტრეს ეს ფირმა, რომელსაც წლიური 4-5-მილიონიანი ბრუნვა ჰქონდა. 300 ათასი დოლარი არ არის პატარა თანხა. ასეთი თანხა ვინმემ რომ მოგიტანოთ და გაჩუქოთ, ხვალ თქვენც გახდებით მილიონერი.

თამარ გიგინეიშვილი, ზურაბ ხერედინაშვილის ადვოკატი:

– რაკი საქმეში არსებობს დაზარალებული, ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა არსებობდეს ბრალდებულიც. გამოდის, რომ გამოძიება ბანკს უკვე ოფიციალურად ადანაშაულებს?

– კონკრეტულად ვინ ჩაიდინა დანაშაული, ეს უნდა გამოიძიონ ახლა.

– ანუ საუბარია კონკრეტულ პირზე და არა სააქციო საზოგადოებაზე?

– ეს უკვე გამოძიებამ უნდა დაადგინოს. ამაზე მე ვერ ვისაუბრებ. ფაქტია, რომ ხელშეკრულებები გაყალბეს, რის გამოც ზურაბ ხერედინაშვილს მიადგა ზიანი და ამ ზიანის გამო დაზარალებულად იქნა ცნობილი. შემდგომში უკვე გამოძიების საქმეა, დაადგინოს ამ ზიანის მიყენება სააქციო საზოგადოების დავალებით მოხდა, თუ კონკრეტული პირის ინტერესი იყო. თუმცა, კონკრეტული პირის ინტერესზე საუბარი ძნელია, რადგან შედეგი ბანკმა მიიღო და არა პირმა.

როგორც ჩანს, ბანკი ამ ეტაპზე პოზიციების გამხელას არ აპირებს. „პრაიმტაიმის“ შეთავაზების მიუხედავად, კომენტარისგან თავი შეიკავეს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

paparazzi

ფოტო: თინა თუთიასანი



ნინა სუბლათი

სოფია სებისკვერაძე

გეგა ფალავანდიშვილი

ნიკა გრიგოლია

გიორგი ბახუტაშვილი

რუსკა მაყაშვილი

ვანო ჯავახიშვილი და ალეკო მალხაზიშვილი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

paparazzi

დავით კიკალიშვილი

ირაკლი კეიდია

„მოსიარულე ბიბლიოთეკა“ „წიგნი ყველა სოფელს“ პროექტის ფარგლებში ბორჯომს ეწვია

პროექტი „წიგნი ყველა სოფელს“ აქტიურად და წარმატებით მიმდინარეობს. 9 სექტემბერს „ვისოლის“ დიღმის ბენზინგასამართ სადგურზე ამ პროექტის ფარგლებში „მოსიარულე ბიბლიოთეკამ“ გეზი ბორჯომის მაღალმთიანი სოფლებისკენ აიღო. „მოსიარულე ბიბლიოთეკის“ მგზავრებს ბორჯომის ცენტრალურ პარკში ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები დახვდნენ და სოფლებში დასარიგებლად შეგროვილი ლიტერატურა გადასცეს.

„წიგნი ყველა სოფელს“ - არასამთავრობო, სახელმწიფო, საქართველოს საპატრიარქოს და კერძო სექტორის ერთიანი ძალისხმევით, ორგანიზაცია „სტუდენტური ერთიანობის“ და „წიგნის მეგობრების“ ინიციატივით ხორციელდება. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის, „ვისოლ ჯგუფის“, საპატრიარქოს ახალგაზრდული მოძრაობა „დავითიანნის“, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“, „პალიტრა L“-ის, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკისა და ქველმოქმედი საზოგადოების მხარდაჭერით სვანეთის, იმერეთის, კახეთის, მცხეთა-მთიანეთისა და აჭარის სოფლების სასკოლო თუ ცენტრალური ბიბლიოთეკები საჭირო წიგნებით ეტაპობრივად მარაგდება. პროექტი რეგიონალური ცენტრებიდან მოშორებით მდებარე სოფლების მოსახლეობაში წიგნის პოპულარიზაციას ისახავს მიზნად.

პროექტი 1 აგვისტოდან დაიწყო. სწორედ ამ დროიდან საზოგადოებას აქვს შესაძლებლობა „ვისოლის“ ავტოგასამართ სადგურებზე, სუპერმარკეტების ქსელ „სმარტის“ და ამერიკული რესტორნების ქსელ „ვენდის“ ვაკისა და რუსთაველის ობიექტებზე, „დავითიანნის“ ოფისებსა (რუსთაველის გამზ. N 21/23) და სამების საკათედრო ტაძრის სამრეკლოში მიიტანოს წიგნები და გააჩუქონ ისინი მათთვის, ვისთვისაც წიგნი ხელმიუწვდომელია.

„წიგნი ყველა სოფელს“ საკმაოდ წარმატებულად მიმდინარეობს. უკვე 14 ბიბლიოთეკის მომარაგება შევძელით რეგიონებში და „ვისოლის“, „სმარტის“ და „ვენდის“ ერთგული მომხმარებლის

მხარდაჭერით კიდევ ბევრი სოფლის მომარაგებას შევძლებთ წიგნებით. ჩვენს მოსახლეობას მოვუწოდებთ, რომ კიდევ უფრო მეტად აქტიურად ჩაერთონ ამ აქციაში, რადგან პროექტის ხანგრძლივობა და ეფექტურობა სწორად მოსახლეობის აქტიურობაზეა დამოკიდებული“,- აცხადებს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ გენერალური დირექტორი ვასილ ხორავა.

ქეთი ბურჯანაძე (ინტელექტუალური კლუბის „წიგნის მეგობრების“ ხელმძღვანელი): - მიხარია ორგანიზაციებისა და ცალკეული ადამიანების ასეთი მხარდაჭერა. ბევრი წიგნი შემოგვდის. რაც უფრო მეტი ადამიანი შემოგვიერთდება, მით მეტად შევიტანთ წვლილს რეგიონების ბიბლიოთეკების განახლების პროცესში. სექტემბრის ბოლოსა და ოქტომბერში იმერეთში ვგეგმავთ დიდ გასვლას. იმედი მაქვს ვითვალისწინებთ იმ თხოვნებს, რასაც ბიბლიოთეკები სხვადასხვა რეგიონიდან გვაწვდიან. ბიბლიოთეკების მხრიდან მეტი აქტივობა გვინდა, რომ ჩვენც მეტად ჩავერთოთ პროცესში.

ირაკლი ჟორჟოლიანი (ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის დირექტორი): - პროექტი ჩვენი ფონდის მხარდაჭერით ხორციელდება. პროექტმა ფართო მასშტაბი შეიძინა და შემოგვიერთდა „ვისოლი“, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, „დავითიანნი“ - ყველა ორგანიზაცია, ვინც ეროვნული საქმით არის დაინტერესებული. ვფიქრობთ, პროექტი უფრო მასშტაბურ სახეს მიიღებს. ეს იმ დიდი კამპანიის დასაწყისია, რომელიც ეროვნულ პროექტად იქცევა.

რუსუდან კბილაშვილი („ვისოლის“ მარკეტინგის დირექტორის მოადგილე, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მენეჯერი): - 1 აგვისტოდან მოყოლებული იმდენი წიგნის მოგროვება მოვახერხეთ, რომ 14 ბიბლიოთეკაში გავგზავნეთ. მოვიცავით იმერეთის, მარნეულის, მცხეთა-თიანეთის ბიბლიოთეკები. პროექტი ეტაპებად დავყავით. ბორჯომის მიმართულებით გაგზავნილი წიგნები ახალი ეტაპია. მადლობა თითოეულ მოქალაქეს, რომელიც ასე აქტიურად გვეხმარება, რომ ყველა სოფელს მივაწოდოთ წიგნი და ყველასთვის ხელმისაწვდომი იყოს საყვარელი წიგნის წაკითხვა.

პროექტი გრძელვადიანია და ადამიანების აქტიურობაზეა დამოკიდებული.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მაკა ფაცურია - გინესის რეკორდსმენი ათენოვანი სიმღერით

„ალმაფრთოვანა მსოფლიო რეკორდის მოხსნამ, მერე კი დავფიქრდი - არაფერი განსაკუთრებული არ გამიკეთებია, დავჯექი, გიტარაზე წავიღიღინე და მერე ჩავწერე-მეთქი“

„ეს იყო ნიშანი, რომ არ წავსულიყავი. მაინც წავედი და ჩემი იქ ყოფნის დროს დედა დაიღუპა კიდეც. ეტყობა არ უნდა წავსულიყავი“

„ჩემი შვილი 5 წლის იყო ჩემთან ერთად ესპანური ნაწილი რომ ვამღერე. გინესის წიგნის მუსიკალური კომისიის თავმჯდომარემ მითხრა, მყავს ნინოს ტოლი შვილი და ვოცნებობ ნინოს მსგავსი ხმა ჰქონდესო“

my View
თამარ გონგაძე

მაკა ფაცურიას შესახებ საკმაოდ ავტორიტეტული პიროვნებისგან, გოგი სარაჯიშვილისგან შევიტყვე. ისრაელიდან ჩამოვიდა და სანამ გამგზავრება, ჩაწერე, როგორც იცით, „პრაიმტაიმმა“ ისე გემრიელად და მსუყედო. ასე გავიცანი ქალბატონი მაკა, ჟურნალისტი, პოეტი და მუსიკოსი. მისი პიროვნება აპრილიდან უკვე მსოფლიოშია ცნობილი, როგორც გინესის რეკორდსმენი. თებერვალში გამოვიდა მაკას სიდი სინგლი, რომელშიც შესულ საკუთარ სიმღერას „ხვალამდე“ ათ ენაზე ასრულებს. სიმღერის ესპანურ მონაკვეთს 5 წლის ქალიშვილთან, ნინო ჭუმბურიძესთან ერთად მღერის. სინგლის გამოსვლიდან ერთ თვეში რეკორდი დამტკიცდა და მაკას გინესის სერტიფიკატი გაუგზავნეს. აღიარებულია, როგორც ახალი მსოფლიო რეკორდი პოეზიისა და მუსიკის სფეროში. 17 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამარჯვებული სიმღერის პრეზენტაცია შედგება. მაკა რამდენიმე პოეტური და პროზაული წიგნის ავტორია. სიმღერები დაწერილი აქვს იტალიურ, ესპანურ, ფრანგულ ენებზე. მის „პოეტურ კატალოგში“ ცხრა ენაზე დაწერილი ლექსია შესული. აღნიშნული კრებული ამერიკის კონგრესის ბიბლიოთეკის საცავშია.

47 წლის მაკა ფაცურია თელ ავივში ცხოვრობს. ჰყავს ქართველი მეუღლე თამაზ ჭუმბურიძე და ქალიშვილი, ნინო.

თბილისში, ფალიაშვილზე დაიბადა, ჟურნალისტების ოჯახში. თბილისი მისთვის სიყვარულთან ასოცირდება. დედა ლარისა ეივინი, რუსი ებრაელი იყო. „დედა მთელი ცხოვრება იმას ამბობდა, რა ბედნიერებაა, რომ საქართველოში დავიბადე და არა სადმე სხვაგანო“.

მამა გივი ფაცურია „ზარია ვასტოკას“ რედაქტორის მოადგილე იყო, ძმა გია ფაცურია ზდვიად გამსახურდიას დროს „მალადიოუ გრუზიის“ რედაქტორი. მაკასაც ჟურნალისტიკის ფაკულტეტი აქვს დამთავრებული. „პირველ არხზე“ გაკეთებული აქვს გადაცემები ოთარ რამიშვილზე, პაოლო იაშვილზე, აკრედიტებულ ელჩებზე, კინოსტუდიის კასკადიორებზე. 2000 წელს დედასთან ერთად ისრაელში წავიდა. რახან დედა ებრაელი ჰყავდა, მოქალაქეობა მაშინვე მიიღო.

სიყვარული, შვილი, დედა

„დედას საქართველოს გარეშე ცხოვრება არ შეეძლო და უკან ჩამოვიდა. მე დავრჩი. საკურორტო ქალაქ ეილადში ცხოვრებისას გავიცანი თამაზ ჭუმბურიძე. სამწლიანი სასიყვარულო ურთიერთობის მერე გაგვიჩნდა შვილი. თამაზიც შემოქმედი ბუნების ადამიანია. ადამიანის გარეგნობას სულიერ მხარესთან არანაირი კავშირი არ აქვს. როდესაც სული ხვდება მონათესავე სულს, იქ სიყვარულს ვერაფერი აჩერებს. თავიდან მძიმე იყო ეს ურთიერთობა. როდესაც ადამიანი ძალიან გიყვარს, ეს სიყვარული ავადმყოფური ხდება. ძალიან მიხარია, რომ ეს საშინელი პერიოდი გავიდა. ახლა მეგობრული ურთიერთობა გვაქვს და ვზრდით შვილს. არ შეიძლება მუდმივად ისე იყო, თითქოს მაღალი ძაბვის დენთან ხარ შეერთებული. მთელი ცხოვრება ასე ყოფნა შეუძლებელია.

შვილი 39 წლის ასაკში გავაჩინე. მანამდე არ მინდოდა. ღმერთს მადლობა, როგორც კი მოვისურვე, მაშინ მაჩუქა შვილი. ეს კი იმ დროს მოხდა, როცა ჩემთვის ყველაზე საყვარელი ადამიანი - დედა დავკარგე. დედა ჩემთვის მთელი სამყარო იყო. ძალიან ახლოს ვიყავი მასთან. ჩემს ცხოვრებაში მომხდარი ყველაფერი მას უკავშირდება. რაც კი რამ გამიკეთებია, დედის მოწოდებით. ჩემი ერთ-ერთი წიგნი მისი წაქეზებით დავწერე - ეს არის „სალამი და მშვიდობით ამერიკა“. ტყუილად რომ ზიხარ, შენი მოგონებები ამერიკაზე იუმორისტულ სტილში დაწერეო, მითხრა. მერე ლაშა ბუღაძეს მიჰყავდა ამ წიგნის პრეზენტაცია. იცინოდნენ, მართლა გადაგხდა ეს ისტორიებიო? დედას სახით ისეთი ახლობელი ადამიანი დავკარგე, რომ მომინდა მისი ჩანაცვლება სხვა ახლობელი ადამიანით და ნინოც გაჩნდა...“

ამერიკიდან გამოქცეული

„ამერიკაში 1996 წელს ვიყავი. ახლა ისე მახსენდება იქ გატარებული დრო, თითქოს მე არ ვიყავი. ეს იყო ერთი დიდი თავგადასავალი. საერთოდ მიყვარს თავგადასავლები. ასაკი და შვილი მახსენებს თავს, თორემ ახლაც ზუსტად ისევ ისეთივე თავგადასავლების მაძიებელი ვარ, როგორც მაშინ. ერთადერთი ვარ, ვინც გამოიქცა ამერიკიდან. ექვსი თვე ვიყავი. ამ პერიოდში ევგენი ევტუშენკოსთან ორჯერ ინტერვიუს ჩაწერაც მოვასწარი, გათხოვებაც და გამოქცევაც. ჩემი ოცნება იყო იოსეფ ბროდსკის ჩანერა. ძალიან მიყვარს მისი პოეზია. მაგრამ ამერიკაში მიმავალი ჩავჯექი თუ არა თვითმფრინავში, გაზეთში წავიკითხე, რომ დაილუპა. ამერიკის კონგრესის ბიბლიოთეკაში, სადაც ბროდსკი მოღვაწეობდა, მოხვდა ჩემი კრებული. აი, როგორ მოხვდა, ეგ კი არ ვიცი. ეს კრებული დედამ 2003 წელს გამოუშვა. ერთხელ სანდრა რულოვსს ვაჩუქე, შენ და მიშა პოლიგლოტები ხართ და აი, თქვენ ჩემი მრავალენოვანი წიგნი-მეთქი. ერთხელაც ჩემი სახელი და გვარი ავკრიფე „გუგლში“ და საკუთარი კრებული ამერიკის კონგრესის ბიბლიოთეკაში აღმოვაჩინე. დავუკავშირდი, როგორ აღმოჩნდა თქვენთან ჩემი წიგნი-მეთქი. ზუსტი პასუხი ვერ გამცეს“.

რეკორდსმენი სიმღერის ისტორია

მაკა გვიყვება, რეკორდსმენი სიმღერის ისტორიას.

„დავწერე მელოდია, ცალკე ტექსტი მქონდა დაწერილი და ჩემი მეუღლის იდეა იყო, რომ ამეწყო. მელოდია კი ასე დაიბადა. ერთხელ ქალაქ ეილადში მე და თამაზი შევხვდით ერთმანეთს, პაემნის მერე სახლში ვერ გამაცილა. წამოვედი და თავი მარტო ვიგრძენი. სახლში მისულმა დავწერე: „ჩუმად, ჩუმად, ხმა არ ისმის ჩემი. წითელი ზღვა არასოდეს ღელავს, მე აქ ვდგავარ სიბნელეში მარტო, მე აქ მინდა დავეკარგო ყველას“. ეს სიტყვები ათ ენაზე ვთარგმნე. ამას კი შემდეგი ისტორია აქვს. ცხრა ენაზე დაწერილ „პოეტურ კატალოგს“ ერთ-ერთ რუსულ ტელეარხზე წამყვანი ფურცლავდა. მე სტუმრად ვიჯექი მასთან და მკითხა, შენ ხომ სიმღერებსაც წერ და რა საინტერესო იქნება ერთ სიმღერაში ამ ენებზე ერთად იმღეროო. გავიცანი პიროვნება, რომელსაც ჩემი სიმღერები მოსწონს. ეს მეიბი კაზესია, პროდიუსერი და 2012 წელს მის სტუდიაში ჩავწერეთ ეს სიმღერა. გამოვიდა სიდი და ერთ თვეში შევიდა კიდეც გინესის რეკორდების წიგნში“.

აღმაფრთოვანა მსოფლიო რეკორდის მოხსნამ, მერე კი დავფიქრდი - არაფერი განსაკუთრებული მე არ გამიკეთებია, დავჯექი, გიტარაზე წავიღიღინე და მერე ჩავწერე-მეთქი.

- მუსიკა და ტექსტი ერთმანეთისგან განსხვავდება. მელოდია მხიარულია, ტექსტი თითქოს დეპრესიული.

- მეორე ადამიანი ხართ, ვინც ეს შენიშნა. ყოჩაღ თქვენ! იქნებ ამ შეუთავსებლობაშია მისი განსხვავებულობა. სიტყვები ფილოსოფიური, ცხოვრებისეულია. ჩემი შვილი 5 წლის იყო ჩემთან ერთად ესპანური ნაწილი რომ ვამღერე. გინესის წიგნის მუსიკალური კომისიის თავმჯდომარემ მითხრა, მყავს ნინოს ტოლი შვილი და ვოცნებობ ნინოს მსგავსი ხმა ჰქონდესო. ნინო ხელოვნების სკოლაში სწავლობს. გამოცდები თავისით ჩააბარა ისრაელის ყველაზე კარგ სკოლაში.

იდეა

მაკას ერთი საინტერესო იდეა აქვს. მას „პრაიმტაიმის“ მკითხველს უმხელს.

„მომივიდა იდეა - რატომ არ უნდა არსებობდეს შოთა რუსთაველის სახელობის საერთაშორისო პოეტური ფესტივალი-მეთქი? რომ ქართველი პოეტები წავიყვანო საქართველოდან და სამდღიან ფესტივალში მიიღონ მონაწილეობა. ისრაელიდან მაქვს მხარდაჭერა. დაიწერა პროექტი და აქ მინდა შევხვდე კულტურის მინისტრს. მომავალ წელს შოთა რუსთაველის დაბადებიდან 850 წლის იუბილეა. თუ ეს ფესტივალი ამ იუბილეს დაემთხვევა, ძალიან კარგი იქნება“.

„ღმერთის ნიშანი იყო“

„ისრაელში ცხოვრება? იქ სულ სხვა რიტმია. წყნარად ვერ დაჯდები და ფანჯარაში ვერ გაიხედავ. ორი თვეა საქართველოში ვარ და სულიერად ვისვენებ. ისრაელი ინტერნაციონალური ქვეყანაა, რომელიც მუდმივ ბობოქრობაშია. ძლიერი ენერგეტიკაა. ჩემი მეგობრები ერთი გერმანიიდან არის, ერთი ჰოლანდიიდან და ამბობენ, რომ მაინც ამ ბობოქარ და ქაოსურ მიწაზე ცხოვრება ურჩევნიათ თავიანთ მშვიდ ქვეყანას. მე რომ საშუალება მქონდეს აქ ვიცხოვრებდი. სიამოვნებით დავწერდი წიგნს - „სალამი და მშვიდობით ისრაელო“, მაგრამ არ ვიცი, ჯერ როდის შევძლებ საქართველოში საცხოვრებლად ჩამოსვლას. მინდა აქ ცხოვრება“.

- ცხოვრება რა არის?

- მერაბ მამარდაშვილის ლექციებზე დავდიოდი. ერთხელ უნივერსიტეტთან შემხვდა და ვკითხე, აქვს თუ არა ცხოვრებას აზრი-მეთქი? შენ უკვე ცხოვრობ, შენ თვითონ მიეცი შენ ცხოვრებას აზრიო. ეს ჩამებეჭდა.

- ბედისწერა არსებობს?

- არსებობს, თუმცა ცხოვრება არჩევანის საშუალებას გვაძლევს. შვეიცარიაში მივდიოდი. უცებ მირეკავს მთელი საქართველოს რაბინი. ვიცი, ივრითს და ინგლისურს ფლობ და ახალჩამოსული კონსულის შვილებთან გთავაზობთ სამუშაოსო. ეს იყო ნიშანი, რომ არ წავსულიყავი. მაინც წავედი და ჩემი იქ ყოფნის დროს დედა დაიღუპა კიდეც. ეტყობა არ უნდა წავსულიყავი. ღმერთის ნიშანი იყო...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მსოფლიო პრემიერების შემდეგ „პატარძლების“ თბილისური პრემიერა

my View

თამარ გონგაძე

„ეს არის ფილმი, რომლითაც ქართველებს შეგვიძლია გარეთ გავიტანოთ ჩვენი კულტურა“



თინა ყაჯრიშვილი: „ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პრემიერა თბილისში შედგა. ყველაზე რთული ქართველი მაყურებლისთვის ფილმის ჩვენებაა, რადგან ფილმი რეალურ ფაქტებზეა, ჩვენ ცხოვრებაზეა“

ყველაზე კადრებს, ის მაინც ყველგან იგრძნობა, გხუთავს და გისოსების ჩრდილს გფენს. მთავარი გმირი ნუცა, რომლის ქმარიც პატიმარია, თავს პატიმრად გრძნობს სამსახურში თანამშრომელთან, რომელსაც ყველა მისი მოქმედება კონტროლზე ჰყავს აყვანილი, ბაღში აღმზრდელთან და სკოლაში მასწავლებელთან, უმალავს, რომ ქმარი ციხეში ჰყავს, დედასთან - რომელიც არჩევანის თავისუფლებაში ზღუდავს, თვით პატიმარ ქმართან თავისუფლებაზე მყოფი თვითონ გრძნობს თავს პატიმრად. აქ სიყვარულისა და მოვალეობის დიდი შეჯახება და ჭიდილია და ეს სადად არის მოყოლილი. მთავარი გმირი ჩაკეტილია თავში, რომელთან ბრძოლაც ისეთივე რთულია, როგორც საზოგადოებრივ აზრთან. არადა, თითქოს თავისუფლებისთვის ვართ გაჩენილნი, ირგვლივ კი ყველგან ციხეა და ჩვენ ყველანი რაღაცის მომლოდინე, ტყუილში მაცხოვრებელი პატიმრები ვართ. ფილმში ნაჩვენები ზოოპარკი და გალიაში ნერვიულად მოსიარულე ლომიც ალეგორიულად ციხის ასოციაციაა. უხილავ გისოსებს ვხედავთ ყველგან. და მაინც ეს არის ფილმი ურთიერთობებზე, რეალურ ამბებზე - ჩვენზე.

რეჟისორისა (თინა ყაჯრიშვილი) და ოპერატორის (გოგა დევდარიანი) შემდეგ ვის მიმართაც სიმპათიით განიმსჭვალებით, ეს მთავარი როლის შემსრულებელი მარიშკა კიტიაა. მარიშკა რეჟისორ ლევან კიტიას ქალიშვილია. ეს, კინოში მისი პირველი მთავარი როლია. თუ ამას გავითვალისწინებთ, მსახიობით ორმაგად მოიხიბლებით. ის შესანიშნავად ახერხებს გადმოგვცეს შინაგანი მდგომარეობა, პროტესტი, განცდები, ტრანსფორმაცია. ნუცა თავისი ფსიქოლოგიური საკნიდან უყურებს სამყაროს. განსაკუთრებით საინტერესოა შედარება ნუცას ორ მზერას შორის, ერთი, როცა მას ხელის მოსაწერად შეიყვანენ ქმართან. საოცარი თვალებით უყურებს ქმარს და ბოლო კადრი, როცა 24-საათიანი პაემნის შემდეგ ნუცა რკინის კარის სარკმლიდან ინტერესით იყურება ციხის ეზოში - რატომ გამოიძახეს სასწრაფო დახმარების მანქანა? მისმა ქმარმა ხომ არ მოიკლა თავი? ორი სრულიად განსხვავებული ადამიანის მზერა და თვალებია! ამ თვალებში მხოლოდ შეუცნობელი შიში არ იკითხება. შეგიძლიათ ისიც დაინახოთ - იქნებ ეს ციხიდან გაქცევა და ახალი ცხოვრების დასაწყისია?!.. 11 სექტემბრიდან „პატარძლები“ კინოთეატრებშია.

თინა ყაჯრიშვილი: - ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პრემიერა თბილისში შედგა. მსოფლიო პრემიერები უკვე გვქონდა სხვადასხვა ქალაქებში. ყველაზე რთული ქართველი მაყურებლისთვის ფილმის ჩვენებაა, რადგან ფილმი რეალურ ფაქტებზეა, ჩვენ ცხოვრებაზეა, ციხეზეა. ვნახოთ, როგორ შეაფასებენ.

ზვიად დოლიძე: - საკმაოდ ნორმალური ფილმია. იმ ფონზე, როცა ჩვენში, სამწუხაროდ, მცირეფილმიანობაა და ბევრ ნამუშევარს თავს და ბოლოს ვერ გაუგებ, ეს ფილმი მასთან შედარებით ჩემპიონია. ეს არის ადამიანის სულიერ ცხოვრებაში შეღწევის მცდელობა, მისი ჩვენება. მთავარ როლს გოგონა შესანიშნავად თამაშობს, თუმცა მისადმი თითოეულ ადამიანს გარკვეული დამოკიდებულება უჩნდება. მე რაღაც ადგილები და დიალოგები ცოტა განელილი და არარეალური მეჩვენა, მაგრამ ეს ჩვეულებრივია. საერთო ჯამში ფილმი ძალიან კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. ეს არის ფილმი, რომლითაც ქართველებს შეგვიძლია გარეთ გავიტანოთ ჩვენი კულტურა. უცხოურ ფესტივალებზე ასეთი სტილის ფილმები უნდა გავუშვათ. ჩვენთან კომერციული ფილმი არ გამოვა, ასეთი, საავტორო კინო უნდა ვაკეთოთ.

მარიშკა კიტია: - ფილმს პროფესიული თვალით ვუყურე, სად შეიძლებოდა უფრო სიზუსტით თამაში, სად იყო სწორი, არასწორი.

- ორსულობის გამო სენტიმენტალური მაყურებელი არ იყავით?

- არა, არ ვყოფილვარ სენტიმენტალური. მესამედ ვუყურებ დიდ ეკრანზე და რაც დრო გადის, მეტ რაღაცებს ვამჩნევ. ვსწავლობ, ზრდას ვაგრძელებ.



მარიშკა კიტია ქმართან ერთად



- ფილმმა „ქალის საუკეთესო როლის“ შესრულებისთვის პრიზის გარდა პირად ცხოვრებაში სიახლე მოგიტანა. რეჟისორის ძმა გაიცანით და იქორწინეთ.

- დიახ, გადაღების დროს გავიცანი ლევანი, რომელიც გადაღების პროცესში ძალიან მომეხმარა. კინო თეატრისგან განსხვავდება. მდგომარეობა ზუსტად არის საპოვნელი. მოტყუება არ შეიძლება. ყველაფერი კარგად ჩანს. იმ ატმოსფეროს, რაც მჭირდებოდა, ლევანი მიქმნიდა, მომყვებოდა და ბიძგს მაძლევდა. მთელი ჯგუფი ძალიან კარგი იყო. ასეთი ატმოსფეროს შექმნა, რა თქმა უნდა, რეჟისორისგან მოდის.

ზაზა ურუშაძე: - ფილმი საკმაოდ მომეწონა. რეჟისორი პროფესიონალია, მისი ხედვა მომეწონა. გამოვყოფ მთავარი როლის შემსრულებლისა და ოპერატორის ნამუშევარს. მიხარია, რომ საქართველოში საინტერესო კინო კეთდება. „პატარძლებს“ კარგ კინოს მივაკუთვნებ. ცოტა მძიმე ფილმია, მაგრამ ეს კინოა, ასეთი უნდა ყოფილიყო. რაღაც წილად არის სამაყურებლო ფილმი. საინტერესოდ იყურება, არ დავღლილვარ. თინას და მთელ ჯგუფს ვულოცავ.

ლევან კიტია: - ფილმში მსახიობების თანავარსკვლავედია. ყველანი მაგრები არიან. მარიშკა კიტიას გამოვარჩევ. ბოლო დროს გადაღებულ ქართულ ფილმებში ქალის როლის ასეთი შესრულება, არ მახსენდება. იმდენად ზუსტად არის კოშმარი მოყოლილი, რომ მთავარი როლის შემსრულებლის გარდა ეს რეჟისორის დამსახურებაა. როგორც ცხოვრებამ აკიდა ამ პატარა გოგოს სიმძიმე, ასევე მოუწია ფილმის აკიდებაც მსახიობს - მთავარ გმირს. გმირი ვერაფერს გააწყობს თუ რეჟისორმა სწორად არ წარმართა. ძალიან ყოჩაღია თინა. მიხარია. ძალიან დიდი ხანია ასე გულწრფელად ქართული ფილმის პრემიერა არ გამხარებია.

მიშა გომიაშვილი: - ემოციით ვარ დატვირთული. თინას, როგორც პროდიუსერს ისე ვიცნობ. გაოგნებული ვარ, აქამდე რატომ არ გადაიღო ასეთი სერიოზული ფილმი? ფილმს ოსტატის ხელი ეტყობა. ლოდინად ღირდა. არაფერი ზედმეტი არ არის. ამანგრია, დამანგრია, მაცინა, მატირა, დამაინტერესა. არ მიყვარს სიტყვა „ექშენი“, მაგრამ გამოვიყენებ. ფილმში არ არის „ექშენი“, სროლა, სირბილი, თითქოს არაფერი ხდება, მშვიდად და ლაითად მიდის. მაგრამ ერთი წამითაც არ გამიხედავს გვერდზე, არ მოვდუნებულვარ. სულ კინოში ვიყავი. ეს ასე იოლად არ ხდება, მით უმეტეს სრულმეტრაჟიანი ფილმის ყურებისას. უდიდესი მილოცვა თინას და თუ გადამიღებს კინოში, სიამოვნებით ვიკარგად აქვს დანახული. მომეწონა. წარმატება შემდეგ და შემდეგ ფილმებში.

დარეჯან ხაჩიძე: - ვიცოდი, რომ კარგი ფილმი იყო, მაგრამ თუ ასეთი საინტერესო გამოვიდოდა არ ველოდი. ძალიან კმაყოფილი ვარ. მარი კიტიას ნამუშევარს გამოვყოფ. ძალიან საინტერესოდ თამაშობს. ძალიან მომწონს მარის დედა, საერთოდ სამსახიობო თამაში.

მაია ლომიძე: - მგრძნობიარე ფილმია. ჰოლივუდურად გადაღებული არ არის და რომც ყოფილიყო, არ მივესალმებოდი. ქართული ფილმია. ხაზი მაინცდამაინც არ არის ციხის კადრებზე გასმული. თუმცა ვხედავთ, რომ ციხეში არ იყო კარგი სიტუაცია. უფრო მეტი სითბო და სიყვარულია, ვიდრე სიძულვილი. გაჭირვებაც ჩანს, მაგრამ მაინცდამაინც ამას არ გამოხატავენ. ყველაფერი ერთად დევს. საზღვარგარეთ ზუსტად დაინახეს ის, რაც მათ არ აქვთ - ეს სულიერებაა.

თინა ყაჯრიშვილი

„ფილმში არ არის „ექშენი“, სროლა, სირბილი, თითქოს არაფერი ხდება, მშვიდად და ლაითად მიდის. მაგრამ ერთი წამითაც არ გამიხედავს გვერდზე, არ მოვდუნებულვარ. სულ კინოში ვიყავი“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მაია ასათიანის ახალი ამპლუა - „

„ძალიან აზარტული პერიოდია. ყოველი ახალი სეზონის დაწყების წინ სულ ვამბობ - საკუთარ თავს უნდა ვაჯობო-მეთქი. მაგრამ, ახლა მართლა ის დროა, როცა საკუთარ თავს მართლა უნდა ვაჯობო. მადლობა არხის ხელმძღვანელობას, ვინც გადაწყვეტილება მიიღო და მე „მარაო“ ჩამაბარა. ამაზე კარგი ჟესტი ხელმძღვანელობისგან არ არსებობს“

„მამაკაცებს ბოდიში მინდა მოვუხადო, ოჯახური კონფლიქტები გაიზრდება და ოჯახში მეორე ტელევიზორის აუცილებლობის საკითხი დადგება. მთავარია ერთხელ გადმორთოთ და უკან გადართავთ თუ არა, ჩვენი გადასაწყვეტია“

my View
თამარ გონგაძე

1 ოქტომბრიდან საკაბელო ტელევიზიების ბადეს ახალი არხი ემატება. „მარაო რუსთავი 2“ ასე ჰქვია არხს, რომელზეც „პროფილის“ გუნდი მუშაობს, არხის ხელმძღვანელი კი მაია ასათიანია. ახალი არხი თბილისში ყველა საკაბელო ბადეში იქნება. ცოტა მოგვიანებით კი სამაუწყებლო მასშტაბის გაზრდაზე იზრუნებენ. დასაწყისისთვის ახალ ტელეარხს 18-საათიანი მაუწყებლობა ექნება და ეთერს ათი გადაცემით იწყებენ. „მარაო“ ქალბატონებზე გათვლილი არხია, თუმცა არხის ხელმძღვანელი არ გამორიცხავს, რომ სუსტი სქესის მაყურებელთა სიას მამაკაცებიც შეუერთდებიან. არხი სულ გასართობი გადაცემებით არის დაკომპლექტებული, რომლებსაც მხოლოდ ცნობილი სახეები წაუძღვებიან. თავად მაიას, არხზე, გადაცემა არ აქვს, ის ამჯერად შეფია. დირექტორის ამპლუა ცოტა ეხამუშება, თუმცა გუნდური მუშაობა მისთვის წლებია ორგანულია და არც ამჯერად აპირებს გუნდს გაემიჯნოს და კაბინეტიდან მართოს ტელევიზია. „ეს იქნება არხი, საიდანაც წამოვა სითბო, სიტკბო და სიყვარული. არ იქნება სისხლი, ძალადობა და პოლიტიკა - რასაც დაღლა მოაქვს. პირიქით - ჩვენ არხზე დაისვენებს მაყურებელი და დილით რომ ჩართავს, რომც არ უყურებდეს, დაძინებამდე აღარ გამორთავს. იქნება ბევრი ყვითელი თემა და ამაში ცუდი ნამდვილად არაფერია. ყვითელ თემებზე მთელ მსოფლიოში ძალიან დიდი მოთხოვნაა და ის ძალიან ძვირადღირებულ ინდუსტრიებს ატრიალებს“, - „პრაიმტაიმის“ მკითხველს „მარაოს“ ხელმძღვანელი ესაუბრება.

ეს ის არხია, სადაც ორშაბათიც შაბათია, ანუ ყველა დღე გასართობი გადაცემა იქნება და საქმიან ქალს სამსახურში წასვლა დაეზარებაო, „გვემუქრება“ მაია. არხზე საპნის ოპერები, მსოფლიოს კინოს შედევრები და ქართული სიმღერები იტრიალებს. ამ ყველაფრის სატელევიზიო პრეზენტაცია „პროფილში“ 18 სექტემბერს შედგება. მანამდე კი მაია ასათიანის ინტერვიუს გაეცანით.

დირექტორი

მაია ასათიანი: „ძალიან აზარტული პერიოდია. ყოველი ახალი სეზონის დაწყების წინ სულ ვამბობ - საკუთარ თავს უნდა ვაჯობო-მეთქი. მაგრამ ახლა მართლა ის დროა, როცა საკუთარ თავს მართლა უნდა ვაჯობო. შეიძლება არ გამომივიდეს. ასეც ხდება. თუმცა მთავარია, მაყურებელი მოვიზიდოთ. მგონი, ამას შევძლებთ. მადლობა არხის ხელმძღვანელობას, ვინც გადაწყვეტილება მიიღო და მე „მარაო“ ჩამაბარა. ამაზე კარგი ჟესტი ხელმძღვანელობისგან არ არსებობს. ვნახოთ, რა იქნება. გვინდა ყველა მცირემასშტაბიან არხს ვაჯობოთ. უნდა ვიყოთ პირველები. მეორე დღეს ყველამ „მარაოზე“ უნდა ილაპარაკოს. ეს ძალიან დიდი აზარტია. ახალი ენერგიით ავივსე. შეგრძნება მაქვს, თითქოს ხელახლა დავიბადე“.

- როგორი უფროსი ხარ?

- დესპოტი უფროსი არასდროს ვარ.

- კაბინეტი სიმკაცრეს ითხოვს...

- მე მგონი, „პროფილის“ წარმატება მისმა გუნდურობამ განაპირობა. ცომი სულ უნდა მოზილო და ხელი სულ ფქვილში უნდა გქონდეს. სიტყვა დირექტორი არ მომწონს, მთრგუნავს. ჯერ უნდა გადავხტე და ჰოპლა მერე დავიძახო. ახლა გადახტომისთვის ვემზადები.

„მთავარია ერთხელ გადმორთოთ“

„ამ ძალიან საინტერესო იდეის ხორცშესხმისათვის აპრილიდან ვემზადებით. თავის დროზე, „პროფილის“ გაკეთება რომ დავიწყე, ბევრი სკეპტიკურად უყურებდა ამ თემას. დღეს უკვე, იდეა იმისა, რომ ჩვენ გავფართოვდეთ და გვქონდეს არა ერთი გადაცემა, არამედ მთელი არხი, ისეთ სკეპტიციზმს აღარ იწვევს. თუ ჩვენ პირველები ვიყავით კონკრეტული თემების წამოწევაში, ტელებაზარზე დადგა დრო პირველები გავხდეთ ამ ინდუსტრიაში. ტელებაზარი აჩვენებს, რომ ამის საჭიროება დადგა. ეს იქნება არხი ქალებისთვის, რომლის სამიზნე აუდიტორია ძირითადად მანდილოსნები იქნებიან, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მამაკაცებს არ მოვიაზრებთ არხის მაყურებლებად“.

არხის ხელმძღვანელი მრავალფეროვან ბადეს გვპირდება. არხის მაყურებელი ნახავს სერიალებს, ეს იქნება თურქული, ბერძნული, ლათინო-ამერიკული თუ ნებისმიერი ქვეყნის, რომელიც ლიდერად ითვლება საპნის ოპერის წარმოებაში. არხზე გავა, როგორც კინოკლასიკა და მონატრებული ფილმები, ასევე ბევრი ახალი მელოდრამა. არხზე ქართული მუსიკა და ბოლო 5 წლის განმავლობაში გადაღებული ქართული ვიდეორგოლები იტრიალებს.

„ჩვენ ყველა გადაცემას უცხოური ანალოგი აქვს. გვაქვს აპრობირებული, გამოცდილი თემები, ყვითელი შეფერილობით. გვექნება რამდენიმე რეალითი შოუც.

პირველად ჩვენ არხზე ნინა წკრიალაშვილი, როგორც წამყვანი, ბედს ცდის. ის გადაცემა „გარდერობს“ წაიყვანს, სადაც ცნობილი პიროვნებების გარდერობებს ვნახავთ. ამ სამოსით მერე დეფილესაც ვაწყობთ.

„ვარსკვლავურ სახლებს“ თიკო სადუნიშვილი წაუძღვება.

ნიკა გრიგოლიას მიჰყავს „ერთგულების ტესტი“. ცნობილი ქალბატონები მეუღლეებს ერთგულებაში უწყობენ გამოცდას. შეიძლება ბევრმა ვერ გაუძლოს, მაცდუნებელი გამოცდაა. ჩვენ ვნახავთ კრიტიკულ სიტუაციაში ქალბატონებს მეუღლე უღალატებთ თუ - არა.

„ჭირვეულის მორჯულების“ წამყვანი შორენა ბეგაშვილია. ერთი კვირით ის ცნობილი მამაკაცის „მეუღლე ხდება“. ვუყურებთ ყოველდღიურ ყოფას, როგორ მიდიან მარკეტში, როგორ აუთოებენ სამოსს, ამზადებენ სადილს (ინტიმის გარეშე)... ცნობილ მამაკაცს ცოლად ყველასთვის საოცნებო ქალი მოჰყავს და ჩვენ ვნახულობთ, როგორი ცოლია შორენა რეალურად. კვირის ბოლოს კი ბეგაშვილს გამოაქვს ვერდიქტი, ესა თუ ის მამაკაცი რამდენად კარგი ქმარი იქნება.

საინტერესო პროექტი მიჰყავთ ნუკი კოშკელიშვილსა და თიკა ფაცაციას, რომელსაც ჰქვია „შეიცვალე“. ეს კონკიას ისტორიაა. ცეკვის ტელეგაკვეთილებს გიორგი ვარდოსანძე და სალომე ჭაჭუა ჩაატარებენ. თავისი გადაცემა ექნება ოთო ფოლადაშვილსაც. ქრისტინე იმედაძე წაუძღვება გადაცემას ვარჯიშზე, რომელიც თოქშოუს ტიპის გადაცემა იქნება სტუმრითა და ინსტრუქტორით. გვექნება სამზარეულო, რომლის წამყვანია მანანა კაზაკოვა. სამედიცინო გადაცემა „რეცეპტი“ ნინო ნადირაძე-კუზანოვას მიჰყავს. ლიკა ბერაიას საავტორო გადაცემა აქვს და სახელოვანი ქართველების პორტრეტებს შემოგვთავაზებს. დოკუმენტური ფილმების სერია იქნება. გადაცემა სახელად „სელფი“ - საჭორაო გადაცემაა, რომელსაც მარიამ გაფრინდაშვილი წაიყვანს.

რაღაც დროის მერე დიდი თოქშოუები დაგვემატება. პავილიონები „რუსთავი 2“-ის ძველ შენობაში გვექნება, ადგილზე, სადაც ჩემი სერიოზული კარიერა დაიწყო. იმ ადგილის მიმართ ძალიან სენტიმენტალური განცდები მაქვს. უკვე გადავდივართ.

30 წლის ზევით ასაკის ქალი თავის

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მარაო რუსთავი 2“-ის დირექტორი

„სიტყვა დირექტორი არ მომწონს, მთრგუნავს. ჯერ უნდა გადავხტე და ჰოპლა მერე დავიძახო. ახლა გადახტომისთვის ვემზადები“

„ჩემში მოსწონთ ის, რომ ჰგონიათ ის ვარ, ვისაც ტელევიზიიდან იცნობენ და ძალიან არ მოსწონთ ის, რომ ვარ ის, ვინც რეალურად ვარ“

„შინაგანად ძლიერი ტიპი ვარ. ცხოვრებისეულმა სირთულეებმა გამოაწრთო ჩემი ხასიათი. შესაბამისად, ვერ ვარ იმ ადამიანთან კომფორტულად, რომელიც შინაგანად ჩემზე ძლიერი არ არის“

EXCLUSIVE

გადაცემას იპოვის ამ არხზე. ამ ქალბატონების მეუღლეებიც ჩაუჯდებიან „მარაოს“. თუ ადრე იყო დავა - „პროფილს“ ვუყუროთ თუ ფეხბურთსო და „პროფილი“ იმარჯვებდა, ახლა მამაკაცებს ბოდიში მინდა მოვუხადო, მსგავსი ოჯახური კონფლიქტები გაიზრდება და ოჯახში მეორე ტელევიზორის აუცილებლობის საკითხი დადგება. მოკლედ, მთავარია ერთხელ გადმორთოთ და უკან გადართავთ თუ არა, ჩვენი გადასანყვეტია“.

„ჩემი მთავარი სიყვარული, მეშვიდე წელია, „პროფილია“

„მეთოთხმეტე სეზონს ვიწყებთ. ჩვენი მთავარი კონკურენტი უკვე დროა. მსგავსი ანალოგი ქართულ სატელევიზიო სივრცეში არ არსებობს.

„ახლა ვარ ძლიერი და საკუთარ თავში დარწმუნებული, ვიცი, რა მინდა. ხანდახან ვფიქრობ, ყველაზე მეტად ჩემი თავი ამ ასაკში მომწონს-მეთქი. არაფრის დიდებით უკან აღარ დავბრუნდებოდი, სულ რომ 20 წლის გავხდე. კარგი ყოფილა ბალზაკის ასაკი“

ჩემი მთავარი სიყვარული, მეშვიდე წელია, „პროფილია“, რომელსაც ვერ ვუღალატებ. მეგონა ჩემი გრაფიკი ისეთი დატვირთული იყო, რომ იქ დამატებითი დროის გამოძებნა შეუძლებელი იქნებოდა. შემდეგ თავს ვუთხარი, რახან დღე-ღამეში 24 საათია, მოდი 24-ვეს ავითვისებ-მეთქი. საინტერესო და აზარტულია. მაინტერესებს ამ სიმძიმის აწევას რამდენად შევძლებ. ზოგადად, მალე ვიცი მიღნეულის მობეზრება. ახალი გამოწვევის წინაშე თუ არ დავდექი, ყველაფერი ერთფეროვნად მეჩვენება. ხუთშაბათობის ბადეში ძლიერი კონკურენტის გაჩენისას, ყოველი სეზონის დაწყების წინ, უცნაური აზარტი მაქვს. მინდა ვიღაც ახალი დამკვიდრდეს. ვიცი, რომ „ცეკვავენ ვარსკვლავები“ ხუთშაბათს არ გადის და გული მწყდება.

ვფიქრობ, ახლა ყველაზე საჭირო სეზონის გახსნა გვაქვს. პირველი გადაცემა ოჯახურ ძალადობაზეა, რომელიც ბოლოს რადიკალურ ზომებს იღებს. შემდეგ გვექნება ახალი არხის პრეზენტაცია.

იმიჯის რადიკალური ცვლილება არ მაქვს. ეს ვარცხნილობა მექნება. დროსთან ერთად ვიცვლები და მაყურებელი ამ ცვლილებას ამჩნევს. ვცვლით ქუდს და ლოგოს“.

- როგორია ამ სეზონის მაია?

- ძლიერი და თავის თავში დარწმუნებული, რომელმაც იცის, რა უნდა. ხანდახან ვფიქრობ, ყველაზე მეტად ჩემი თავი ამ ასაკში მომწონს-მეთქი. არაფრის დიდებით უკან აღარ დავბრუნდებოდი, სულ რომ 20 წლის გავხდე. კარგი ყოფილა ბალზაკის ასაკი. მოთხოვნები ცხოვრების და ადამიანების მიმართ აღარ გაქვს. ზუსტად იცი, რა გინდა და რისი მოცემა შეუძლია ცხოვრებას. ნაკლებად გტკივა. გრძნობები არ გაქვს ისეთი პირწამახული, რომ გეტკინოს. ეს გამოცდილებას მოაქვს. იცი, რა არის ცხოვრება. ჩემთვის მნიშვნელოვანია ცხოვრებისეული გამოცდილებისგან სწავლა. ბევრ რამეს ვსწავლობ ადამიანებთან ურთიერთობებისგან. არც ერთ ჩემს ნაოჭს არ დავთმობდი პატარა 25 წლის შეშინებული გოგოს სანაცვლოდ.

„სხვადასხვა რაიონიდან მაჭანკლები რეკავენ და ვიღაცებს მირიგებენ“

ის გოგო სულ ჩემშია, რომელსაც ძალიან ახლობლები და ისიც იშვიათად ნახულობენ.

მაჭანკლობა

„ახალი გასართობი გვაქვს. არ მეგონა, მაჭანკლობის ინსტიტუტი კიდევ თუ არსებობდა. ვფიქრობდი, „ფეისბუქმა“ ჩაანაცვლა ეს ინსტიტუტი-მეთქი. მაგრამ, ნურას უკაცრავად. მაინც მუშაობს. სხვადასხვა რაიონიდან მაჭანკლები რეკავენ და ვიღაცებს მირიგებენ. გვეცნობიან, რომ არიან მაჭანკლები, დოსიეს გვაცნობენ და ჩამოთვლიან, რაიონში ვინ დააქორწინეს. ერთმა მითხრა, დასავლეთში ზომიერად ფერხორციანი ბიჭი ჰყავს ჩემთვის შერჩეული. მერე დარეკა სხვა მაჭანკალმა იგივე რაიონიდან. ამ ყველაფერმა ტენდენციის სახე მიიღო. ერი წუხს ჩემი გასათხოვრობით და რატომ, არ ვიცი. ამ ეტაპზე გათხოვება არ შედის ჩემს გეგმებში.

ის, რომ მე არ მყავს ქმარი, არ ნიშნავს, რომ არ მაქვს პირადი ცხოვრება და კიდევ ის, რომ არ მყავს ქმარი, არ არის ტელევიზიის ბრალი. ალბათ, ძალიან დიდი რაღაც უნდა მოხდეს და საოცარი ადამიანი უნდა გამოჩნდეს ჩემს ცხოვრებაში, რომელიც ამ ავანტიურაზე მეორედაც დამითანხმებს. ჩემში მოსწონთ ის, რომ ჰგონიათ ის ვარ, ვისაც ტელევიზიიდან იცნობენ და ძალიან არ მოსწონთ ის, რომ ვარ ის, ვინც რეალურად ვარ“.

- რეალურად როგორი ხარ?

- ალბათ, მარტივი არ ვარ. შინაგანად ძლიერი ტიპი ვარ. ცხოვრებისეულმა სირთულეებმა გამოაწრთო ჩემი ხასიათი. შესაბამისად, ვერ ვარ იმ ადამიანთან კომფორტულად, რომელიც შინაგანად ჩემზე ძლიერი არ არის. აი, რატომ არ მივდივარ ჯერჯერობით მეორედ ამ ავანტიურაზე.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N36 (286) ორშაბათი 15 სექტემბერი 2014 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

მაკა ფაცურია - გინესის რეკორდსმენი ათენოვანი სიმღერით



მსოფლიო პრემიერების შემდეგ „პატარძლების“ თბილისური პრემიერა

EXCLUSIVE

„სიტყვა დირექტორი არ მომწონს, მთრგუნავს. ჯერ უნდა გადავხტე და ჰოპლა მერე დავიძახო. ახლა გადახტომისთვის ვემზადები“

მაია ასათიანის ახალი ამპლუა - „მარაო რუსთავი 2“-ის დირექტორი

EXCLUSIVE

ISSN 1987-7404
9 771987 740005

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვინ და როგორ ჩაიგდ

my View
მირიან ბოქოლიშვილი

დღეს „ნაციონალური მოძრაობა“ ხშირად საუბრობს პოლიტიკური ნიშნით ადამიანების დაპატიმრებებზე, თუმცა მმართველი გუნდი ოპონენტებს იმ პერიოდს ახსენებს, როდესაც რევოლუციით მოსულმა სააკაშვილის ხელისუფლებამ არაერთი სისხლის სამართლის საქმე აღძრა როგორც ედუარდ შევარდნაძის, ისე ასლან აბაშიძის გარემოცვის წინააღმდეგ. ეს კონტრარგუმენტი ნაწილობრივ გასაგებია, ნაწილობრივ – არა, რადგან მაშინ, როცა ქვეყანა შევარდნაძის კორუფციულ ჭაობში ცურავდა, აჭარა კი ასლან აბაშიძის საფეოდალოდ იყო ქცეული, უამრავი სამოხელეო დანაშაულიც პირდაპირ ზედაპირზე ტივტივებდა, მაგრამ პოსტრევოლუციური სამართლიანობის აღდგენამ მალევე მიიღო არაფორმალური ფინანსური გარიგებების სახე, უფრო მოგვიანებით კი ამას ერთი მარტივი სახელიც უწოდეს – სახელმწიფო რეკეტი.

ვინ რამდენად კეთილსინდისიერად შეიძინა ის ქონება, რომლის ჩამორთმევის არაერთი ფაქტი გახმაურდა, ეს ცალკე თემაა და გამჭვირვალე სამართლებრივი პროცესის წარმართვის შემთხვევაში, ალბათ, კითხვებიც ნაკლები იქნებოდა, თუმცა გამჭვირვალობისგან ნამდვილად შორს დგას ის შემთხვევა, რომლის შესახებაც ქვემოთ მოგიყვებით.

როგორ აღმოჩნდა ბათუმის ყოფილი მერის, ასლან სმირბას მილიონიანი ქონება ბადრი პატარკაციშვილის ხელში? რა ულტიმატუმი წაუყენა ბათუმის ყოფილ მერს ზურაბ ადეიშვილმა და რატომ ვერ ახერხებს ის ამჟამადაც კუთვნილი ქონების დაბრუნებას? ამ დეტალებზე „პრაიმტაიმს“ თავად ასლან სმირბა ესაუბრა, რომელმაც პროკურატურას სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით ჯერ კიდევ 2013 წლის დასაწყისში მიმართა, თუმცა საქმე ამ დრომდე არ დაძრულა.

სანამ დეტალებს გაგაცნობთ, მკითხველს გავახსენებ, რომ ასლან სმირბა ასლან აბაშიძის მმართველობის დროს, 1993-96 წლებში საზღვაო სანაოსნოს უფროსის პირველ მოადგილედ მუშაობდა, 1996 წელს ბათუმის საზღვაო პორტის გენერალური დირექტორი გახდა, 1998 წელს ბათუმის მერის თანამდებობას იკავებდა, 1999 წლიდან 2004 წლამდე კი საქართველოს პარლამენტის წევრი გახლდათ. 2004 წლიდან ასლამ სმირბა საგამოძიებო უწყებების სამიზნე აღმოჩნდა. რა პრობლემები შეექმნა მას და როგორ დაათმობინეს ქონება, ამას თავად მოგვიყვება.

ასლან სმირბა წლების განმავლობაში ფლობდა ბათუმში ცნობილ რესტორან „სანაპიროს“, რომელიც სხვადასხვა მაღალი დონის სტუმრებს ხშირად მასპინძლობდა. იქ ნახავდით, როგორც მთავრობის წევრებს, ასევე ცნობილ ბიზნესმენებს.

ასლან სმირბა: „2004 წლის მაისში მოულოდნელად გამომიძახეს თბილისში, საქართველოს უშიშროების სამინისტროში მინისტრ ზურაბ ადეიშვილთან შესახვედრად. დათქმულ დროს გამოვცხადდი და მასთან ჩემს შეხვედრას ესწრებოდა იმ დროისთვის მისი მოადგილე გიგი უგულავა. მათ ამიხსნეს, რომ ჩემი ან ჩემი ახლობლების სახელზე რიცხული ის უძრავი ქონება, რომელზეც მიმითითებდნენ, საკუთარი ინიციატივით უნდა გადამეცა მათი ნდობით აღჭურვილი პიროვნებისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩემ მიმართ დაიწყებოდა სისხლის სამართლებრივი დევნა, რომელიც დაპატიმრებით დამთავრდებოდა. გამაფრთხილეს, რომ მათი მოთხოვნების შეუსრულებლობით უფრო დიდი მორალური და მატერიალური ზიანი მომადგებოდა, ვიდრე დაკმაყოფილების შემთხვევაში. ჩემი აზრით, მათი მოთხოვნები მე-20 საუკუნის 30-იანი წლების იტალიელი მაფიოზების მოთხოვნებსა და მუქარებს უფრო ჰგავდა, ვიდრე ქართული

მას შემდეგ, რაც ბადრი პატარკაციშვილს ხელისუფლებასთან ურთიერთობა გაუფუჭდა, დღის წესრიგში დადგა მის წინააღმდეგ კომპრომატების მოგროვება. სწორედ ამ მიზნით გამოიძახეს კუდ-ში ასლან სმირბაც, რომელსაც ბადრი პატარკაციშვილი მისი საკუთრების მოტყუებით მითვისებაში უნდა დაედანაშაულებინა. სანაცვლოდ მას, რესტორნის დაბრუნებას ჰპირდებოდნენ

„გამომიძახეს თბილისში, ზურაბ ადეიშვილთან შესახვედრად... ამიხსნეს, რომ უძრავი ქონება საკუთარი ინიციატივით უნდა გადამეცა მათი ნდობით აღჭურვილი პიროვნებისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩემ მიმართ დაიწყებოდა სისხლის სამართლებრივი დევნა“

სახელმწიფოს დემოკრატი მოხელეებისას. ოჯახის წევრებზე საშიშროების აცილების მიზნით დავთანხმდი მათ მოთხოვნებს. პირველი, რაც მათი მუქარისა და სხვა უკანონო ზემოქმედებიდან თავის დაღწევისთვის უნდა გამეკეთებინა, იყო ის, რომ 2004 წელს მათ კაცად მითითებულ ვინმე ოთარ დაბრუნდაშვილზე, იმჟამად შპს „გამა+“-ის წარმომადგენელზე, „კანონის შესაბამისად“ შედგენილი საბუთები უნდა გამეფორმებინა, რომლის თანახმადაც თითქოს 500 ათას აშშ დოლარად ჩემი მეუღლე, მზია გოგოლიშვილი „მიჰყიდდა“ მის საკუთრებაში არსებულ ქვის ორსართულიან შენობას (მოქმედ რესტორანს). აღნიშნული ხელშეკრულება გასაჩივრებას ვერ დაექვემდებარებოდა, რადგან ასეთ ქმედებას გაფრთხილების შესაბამისი მძიმე შედეგები მოჰყვებოდა. ჩემთვის ცნობილი იყო, რომ ოთარ დაბრუნდაშვილი წარმოადგენდა აწ განსვენებული ბადრი პატარკაციშვილის ნდობით აღჭურვილ პირს, ამიტომ საქმის ვითარებაში გარკვევისა და დაზუსტების მიზნით მივმართე ჩემთვის ნაცნობ ბესო კეიდიას, რომელიც ბადრი პატარკაციშვილის ახლობელი და მეგობარი გახლდათ“.

სანამ გაგაცნობთ, როგორ განვითარდა შემდგომი მოვლენები, მანამდე ორიოდე სიტყვით ბესო კეიდიას შესახებ... ბოლოს მისმა სახელმა ცოტა ხნის წინ სადახლოზე მომხდარ გახმაურებული მკვლელობის საქმეში გაიჟღერა, რა დროსაც 21 წლის გიორგი ფირანიშვილი და ბიზნესმენი მერაბ კალანდაძე ჩაცხრილეს. ისინი სწორედ ბესო კეიდიასთან ერთად სომხეთში აცილებდნენ ვინმე დილარ მუკბანიანს, რომელსაც ერთ-ერთი კრიმინალური დაჯგუფება ანგარიშსწორებით ემუქრებოდა... მუკბანიანმა საზღვარზე გადასვლა ვერ მოასწრო, თავდამსხმელები სადახლოზე დაეწივნენ და ცეცხლი გაუხსნეს. ფირანიშვილი და კალანდაძე ადგილზე გარდაიცვალნენ, თავად მუკბანიანი კი მძიმედ დაიჭრა. სასამართლოს ჩვენება მისცა ბესო კეიდიამ, რომელიც სროლებს სასწაულებრივად გადაურჩა. კეიდია გამოძიების ეტაპზეც დაკითხეს, სადაც ზედმიწევნით მოყვა ყველაფერი, თუმცა მოულოდნელად მან სასამართლოზე ჩვენება შეცვალა და საქმის ირგვლივ მნიშვნელოვანი გარემოებების გამჟღავნება არ ისურვა. რატომ მიიღო ეს გადაწყვეტილება ბესო კეიდიამ? არ არის გამორიცხული, კეიდიას შურისძიების შეეშინდა, რადგან ამბობენ, რომ თავდამსხმელებმა მას ამის შესახებ პი-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ო ხელში „სანაპირო“?

როგორ აღმოჩნდა ბათუმის ყოფილი მერის, ასლან სმირბას მილიონიანი ქონება ბადრი პატარკაციშვილის ხელში? რა ულტიმატუმი წაუყენა ბათუმის ყოფილ მერს ზურაბ ადეიშვილმა და რატომ ვერ ახერხებს ის ამჟამადაც კუთვნილი ქონების დაბრუნებას?

რდაპირ მიანიშნეს. ჩვენების შეცვლის გამო მას სისხლის სამართლის პასუხისგება დაეკისრა და ამჟამად პატიმრობიდან, გირაოს სანაცვლოდ არის განთავისუფლებული.

ახლა კი დავუბრუნდეთ კვლავ სმირბას საქმეს... მოკლედ, ბათუმის ყოფილმა მერმა დახმარებისთვის და ბადრი პატარკაციშვილთან შუამდგომლობის მიზნით სწორედ ბესო კეიდიას მიმართა, რომლისგანაც შესაბამისი პირობაც მიიღო.

„კეიდიას ვთხოვე, რომ დამხმარებოდა და პატარკაციშვილისთვის აეხსნა შექმნილი სიტუაცია და ეთხოვა, რომ აღნიშნული ობიექტის თვითღირებულება მაინც გადაეხადათ ჩემთვის. ბესო კეიდიას გადმოცემით, ის ესაუბრა ბადრი პატარკაციშვილს შექმნილი სიტუაციის თაობაზე და მიიღო დასტური, რომ დააკმაყოფილებდნენ ჩემს მოთხოვნას, გადამიხდიდნენ ობიექტის თვითღირებულებას. ბესო კეიდიამ გადმომცა პატარკაციშვილის ნათქვამი, რომ თუ მე მის ჩამოსვლამდე გადავაფორმებდი შპს „გამა+“-ის საკუთრებად უძრავ ქონებას, უშიშროების მინისტრ ზურაბ ადეიშვილისა და გიგი უგულავას მიერ მოთხოვნილ ობიექტს, ის ამ თანხას გადამიხდიდა.

2004 წლის 21 მაისს „კანონის შესაბამისად“ ჩემმა მეუღლემ გააფორმა უძრავის ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება ოთარ დაბრუნდაშვილთან, რომელმაც მოითხოვა, რომ თანხის გადაუხდელობის მიუხედავად, ხელშეკრულებაში მიგვეთითებინა, რომ მან, ანუ უძრავი ქონების შემძენმა, აღნიშნული თანხა თვითონ გადაუხადა ჩემს მეუღლეს. მე სხვა გზა არ მქონდა. ასე გამომძალეს 960 ათას ლარად ღირებული ქონება, რომელსაც თან ახლდა მუქარა არა მხოლოდ ჩემზე, არამედ ჩემი ოჯახის წევრებზეც. ეს ყველაფერი კი გაკეთდა ვითომ „კანონის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულებით“.

მიუხედავად ამისა, მე სხვადასხვა თანამდებობის პირებისა და ბესო კეიდიას ჩარევით ვცდილობდი სამართლიანობის მიღწევას, ჩემი ოჯახის კუთვნილი თანხის, ან ქონების დაბრუნებას“, – აცხადებს ასლან სმირბა.

მას შემდეგ, რაც ბადრი პატარკაციშვილს ხელისუფლებასთან ურთიერთობა გაუფუჭდა, დღის წესრიგში დადგა მის წინაალმდეგ კომპრომატების მოგროვება. სავარაუდოდ, სწორედ ამ მიზნით გამოიძახეს კუდ-ში ასლან სმირბაც, რომელსაც ბადრი პატარკაციშვილი მისი საკუთრების მოტყუებით მითვისებაში უნდა დაედანაშაულებინა. სანაცვლოდ ასლან სმირბას, რესტორნის დაბრუნებას ჰპირდებოდნენ.

„2007 წლის 15 ნოემბერს გამომიძახეს აჭარის კუდ-ის უფროსთან. თემურ პატარიძემ, მასთან კაბინეტში მისულს მომილოცა, რომ თანხის გადახდას თუ არ მოვითხოვდი, უკან დამიბრუნებდნენ რესტორან „სანაპიროს“, მაგრამ მას ჩემთვის რესტორნის დაბრუნებასთან დაკავშირებული საბუთები არ გადმოუცია, მითხრა, რომ საბუთებს მალე გადმომცემდნენ“, – ყვება ასლან სმირბა.

საბუთებს იმ შემთხვევაში გადასცემდნენ, თუ სმირბა პატარკაციშვილის წინაალმდეგ გამოვიდოდა, რაც ნიშნავდა იმას, რომ მისი საქმე პოლიტიკური ანგარიშსწორების მიზნით უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

სანამ მერაბიშვილის უწყება სმირბასგან პასუხს ელოდა, კუდმა პატარკაციშვილის წინაალმდეგ უფრო მსუყე ლუკმა იპოვა. ასლან სმირბას ინფორმაციით, კუდ-ი პირადად ოთარ დაბრუნდაშვილზე გავიდა.

„2008 წლის პირველ ნახევარში კვლავ მიმიწვია პატარიძემ და ამჟამად საპირისპირო განმიცხადა. მითხრა, რომ რესტორნის საბუთებს ვერ გადმომცემდნენ, რადგან ობიექტი ოთარ დაბრუნდაშვილის საკუთრებაში უნდა დარჩენილიყო. თან გამაფრთხილა, რომ პრეტენზიები აღარ გამომეთქვა. როგორც მოგვიანებით ჩემთვის გახდა ცნობილი, დაბრუნდაშვილი პატარკაციშვილის წინააღმდეგ კუდ-ს შეეკრა. ისიც კი აქვს ნათქვამი, რომ ბადრი ვინ არის, ვანო ყოფილა რაც ყოფილა, კაცად მაქციაო. როდესაც პატარიძისგან კვლავ უარი მივიღე რესტორნის დაბრუნებაზე, ისევ დავუკავშირდი ბესო კეიდიას და შევახსენე დანაპირების შესრულება. მან მიპასუხა, მე და ბადრი პატარკაციშვილი საზღვარგარეთ ვიმყოფებით და დაბრუნებისთანავე შენს პრობლემას მოვაგვარებთო, არ არის აუცილებელი ტელევიზიებისა და გაზეთების შეწუხებაო. ანუ პატარკაციშვილისთვის ცნობილი იყო, რომ მისმა ნდობით აღჭურვილმა პირმა ოთარ დაბრუნდაშვილმა რეალურად ჩემი კუთვნილი თანხა არ გადამიხადა. მან დამირეკა საზღვარგარეთიდან და პირობა მომცა, რომ საქართველოში დაბრუნებისთანავე გაარკვევდა თანხის გადმოუცემლობის მიზეზს და გულნატკენს არ დამტოვებდა. მითხრა, რომ თანხას მისგან და ბესო კეიდიასგან მივიღებდი.

„გადაწყვეტილი ჰქონდათ, ჩემთვის გამოეძალათ 1 მილიონი აშშ დოლარი, ან ამ თანხის შესაბამისი ღირებულების ქონება. მათი პირობების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში დარწმუნებული ვარ, დაპატიმრებასა და დაუმსახურებელ სასჯელს ვერ ავცდებოდი“

დღესაც იმედი მაქვს, რომ აღნიშნული დანაშაული, რომელიც დაკავშირებულია პირადი საკუთრების ხელყოფასთან, დიდი ოდენობით თანხების გამოძალვასთან და მითვისებასთან, ობიექტურად იქნება გამოძიებული და სამართლიანობა აღდგება. იმედს არ ვკარგავ, რომ დამიბრუნდება ჩემი ოჯახის კუთვნილი უძრავი ქონება, ან მივიღებ მოჩვენებითი გარიგებით შედგენილ ხელშეკრულებაში მითითებულ იმ თანხებს, რომელიც თითქოს გადაეცა უძრავის ქონების გამყიდველს, ჩემს მეუღლეს მზია გოგოლიშვილს.

ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, აწ განსვენებული ბადრი პატარკაციშვილის მიერ რესტორნის შესაძენად გადახდილი და ოთარ დაბრუნდაშვილისთვის გამოტანებული თანხა, დაბრუნდაშვილმა მიითვისა. გამოძიებას ამ ფაქტის დასადასტურებლად შეუძლია დაკითხოს პატარკაციშვილთან დაახლოებული პირები: ბესო კეიდია, ბეჟან გაბელია და თვითონ ოთარ დაბრუნდაშვილიც. ამასვე დაადასტურებს იმ დროისთვის ბათუმის სატრანსპორტო პროკურორად მომუშავე გოგი საყვარელიძეც, რომელიც ბადრი პატარკაციშვილის თანაკლასელია და მისივე დავალებით გადაამოწმა რესტორნის „შეძენის“ დროს ჩემს ოჯახზე შეთანხმებული თანხის გადაუხდელობის ფაქტი“, – ამბობს სმირბა.

რესტორნის გარდა, მოგვიანებით ასლან სმირბას ხელვაჩაურში მამაპაპისეული სახლიც სიმბოლურ ფასად დაათმობინეს, რომელიც ასევე ოთარ დაბრუნდაშვილის ხელში აღმოჩნდა. შემდეგ კი ეს სახლი თავადვე გამოასყიდვინეს 250 ათას აშშ დოლარად, რომელიც სმირბას ოჯახმა „თიბისი ბანკისგან“ ისესხა.

პროკურატურაში შეტანილ საჩივარში ასლან სმირბა არა მხოლოდ ქონების დაბრუნებას, არამედ დამნაშავე პირების პასუხისგებაში მიცემას ითხოვს.

ასლან სმირბა: „გამოძიებამ უნდა დაადგინოს იმ დანაშაულებრივი ჯგუფის ყველა წარმომადგენელი, რომლებმაც თანამდებობის ბოროტად გამოყენებით არაერთხელ განახორციელეს ჩემი ოჯახის კერძო საკუთრების უკანონო ხელყოფა, მისი გამოძალვისა და მითვისების მიზნით. დადგენილ მაფიოზურ-რეკეტიორ პირთა სრულ შემადგენლობაზე მოხდეს შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრება. ფაქტია, რომ ზურაბ ადეიშვილს, გიგი უგულავას, დათა ახალაიასა და ოთარ დაბრუნდაშვილს გადაწყვეტილი ჰქონდათ, ჩემთვის გამოეძალათ 1 მილიონი აშშ დოლარი, ან ამ თანხის შესაბამისი ღირებულების ქონება. მათი პირობების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში დარწმუნებული ვარ, დაპატიმრებასა და დაუმსახურებელ სასჯელს ვერ ავცდებოდი“.

„პრაიმტაიმი“ ოთარ დაბრუნდაშვილთან დაკავშირებასაც შეეცადა, თუმცა მან ჩვენს სატელეფონო ზარებს არ უპასუხა. გამოხმაურების შემთხვევაში ჩვენ დაბრუნდაშვილის პოზიციას, ასევე, უცვლელად შემოგთავაზებთ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება